

178
1972/2



სახჭრთა სამაკრთაღი

საქართველოს კვ მანგრაღიკი კომიზავის გარომხეღღოგა

1972

4

საბჭოთა სამართალი

№ 4

ივლისი—აგვისტო

1972 წელი

გამოცემის XIX წელი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და
უმაღლესი სასამართლოს ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი ჟ უ რ ნ ა ლ ი

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოების მუშაობა	3
საბჭოთა ადვოკატურის 50 წლისთავი	5
ნახევარი საუკუნე კანონიერების სადარაჯოზე	5

სსრ კავშირის შექმნის ორმოცდამათე წლისთავი

ზ. ანჩაბაძე — სსრ კავშირის შექმნის ისტორიული წინამძღვრები	7
ვ. ფარქოსაძე — საბჭოთა ხალხი — ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა	15
ზ. ჯინჯოლავა — საქართველოს სსრ სუვერენული სახელმწიფოა	20
ო. ბაკურაძე — მორალისა და სამართლის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი	30
ა. კობახიძე — საუწყებო ბინებიდან მოქალაქეთა გამოსახლების განსაკუთრებული შემთხვევები	38

საბჭოთა ადვოკატურის 50 წელი

მ. კობახიძე — საქართველოს ადვოკატურის სახელოვანი გზა	50
ნ. დავითაია — პროცესზე დამცველის დაშვების შესახებ	53
დ. ნანობაშვილი — უხუცესი ადვოკატი	57
ვ. სიღამონიძე — მებრძოლი სულის იურისტი	59
ა. ანასაშვილი — ღვაწლის დაფასება	61
ოფიციალური მასალა	63

საბჭოთა პროკურატურის 50 წელი

ჯილდო — ღირსეულთ	87
ინფორმაცია	90
ნეკროლოგი	96

11884



СОДЕРЖАНИЕ

Работникам органов прокуратуры Грузинской ССР	3
50-летие Советской адвокатуры	5
Полвека на страже законности	5

50-ЛЕТИЕ ОБРАЗОВАНИЯ СОЮЗА ССР

3. Анчабадзе — Исторические предпосылки образования Союза ССР	7
В. Паркосадзе — Советский народ — новая историческая общность людей	15
3. Джинджолава — Грузинская ССР — суверенное государство	20
О. Бакурадзе — Некоторые вопросы взаимоотношения морали и права	30
А. Кобахидзе — Особые случаи выселения граждан из ведомственных квартир	38

50-ЛЕТИЕ СОВЕТСКОЙ АДВОКАТУРЫ

М. Комахидзе — Славный путь Грузинской адвокатуры	50
Н. Давитаია — О допуске защитника к участию в процессе	53
Д. Нанобашвили — Старейший адвокат	57
В. Сидамонидзе — В. Жгенти	59
А. Анасашвили — Большая оценка заслуг	61
Официальный материал	63

50-ЛЕТИЕ СОВЕТСКОЙ ПРОКУРАТУРЫ

Награда — заслуженным	81
Информация	90
Некролог	96

შეგვ. № 2031
ტირაჟი 18.800
შპ 13512

სარედაქციო კოლეგია
 ი. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი,
 აკ. კარანაძე, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე,
 ზ. რატიანი, ა. ტაკიძე, ს. ქაჯაია, ვ. ქვაჩახია,
 თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბუგოვის ქ. № 82. ტელეფონი — 90-09-62.

გალაქცა წარმოებას 7/VI-72 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/X-72 წ., ქალაქის ზომა 70X108¹/₁₆; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი საბეჭდი ფურცელი 8,4, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბანი 8,87.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
 Типография изд-ва ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოების შეშავება

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების მუშაკებს საბჭოთა პროკურატურის სახელოვან 50 წლისთავს.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ინიციატივით შექმნილი საბჭოთა პროკურატურა გახდა დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დაცვის საიმედო ორგანო, შემუშავებული მახვილი მშრომელი ხალხის ხელში, რომელმაც სოციალური თავისუფლება მოიპოვა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით პროკურატურის ორგანოებმა განვლეს მშრომელთა ინტერესებისათვის უანგარო სამსახურის, სოციალიზმის გამარჯვებისა და საბჭოთა საზოგადოებაში კომუნისტური საწყისების დამკვიდრებისათვის თანმიმდევრული ბრძოლის სახელოვანი ნახევარი საუკუნის გზა. საბჭოთა პროკურატურამ, რომელიც აქტიურ ზეგავლენას ახდენდა ახალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარების, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის ლიკვიდაციის, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დამკვიდრების, გეგმიანი სახალხო მეურნეობის ორგანიზაციის პროცესზე, დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების უზრუნველყოფაში. უაღრესად დიდია მისი ისტორიული დამსახურება ახალი, უმაღლესი ტიპის სამართლის — სოციალისტური სამართლისა და კანონიერების განვითარებაში, რომლებიც ასახავენ და ამკვიდრებენ მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა სახელმწიფოებრივ მიზანს.

ხალხი წმინდად იცავს პროკურატურის მუშაკთა სახელებს, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს პარტიის საქმეს, როცა იცავდნენ საბჭოთა ადამიანების სიცოცხლეს, ღირსებას, პატიოსნებას, მათს მშვიდობიან შრომასა და დასვენებას.

საბჭოთა პროკურატურის რიგებში ღირსეული ადგილი უჭირავს საქართველოს პროკურატურის მუშაკთა კოლექტივს. ასორციელებენ რა სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოები შეუპოვრად იღწვიან დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ქმედითობის ამაღლებისათვის. როცა კოორდინაციას უწყვეტად ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას, განამტკიცებენ კავშირს ხალხთან, რაზემაც მშრომელთა კოლექტივებს სოციალისტური კანონიერების დაცვისათვის საბრძოლველად, ისინი უნარიანად მეთაურობენ სამართალდარღვევის აღკვეთისა და პროფილაქტიკისათვის მუშაობას, აქტიურად უწყობენ ხელს მშრომელთა მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, საბჭოთა კანონისა და სამართლისადმი პატივისცემის ჩანერგვას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ საქართველოს პროკურატურის ორგანოების მუშაკები არ დაიშურებენ ძალღონესა და ცოდნას, რათა წარმატებით შესრულდეს სკკ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების შესახებ და ახალი წარმატებებით აღნიშნონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საბჭოთა აღმოკავების 50 წლისთავი

17 მაისს თბილისში გაიმართა საბჭოთა ადვოკატურის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. ბოშაძემ.

მოსხენება გააკეთა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. რატიანმა. მან ილაპარაკა იმაზე, თუ რა გზა განვლო საბჭოთა ადვოკატურამ.

კრებაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ პროკურორის პირველმა მოადგილემ ბ. ბიწაძემ, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ი. ბურბანიძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინს-

ტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა თ. ტაბუნიამ, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ჯ. კეთილაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა ს. ჯორბანაძემ, თბილისის № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკის ინჟინერ-ტექნოლოგმა მ. პანაშვილმა, ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარმა რედაქტორმა თ. პატიშაძემ.

კრებას ესწრებოდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვარაცხელია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ა. პარბანიძე. (საქინფორმი).


ნახევარი საუკუნე კანონიერების საღაჯოზე

საბჭოთა პროკურატურა 50 წლისაა

საბჭოთა პროკურატურას 50 წელი შესრულდა. მისი შექმნა განუყრელად არის დაკავშირებული გ. ი. ლენინის სახელთან. მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა კანონიერების განმტკიცებისა და დაცვის საქმეს. მის მიერ ხელმოწერილ საბჭოთა დეკრეტებში ხაზგასმულია, რომ საჭიროა რევოლუციური მართლწესრიგის მკაცრად დაცვა, კონტრ-რევოლუციის, საბოტაჟისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. საბჭოთა პროკურატურა შეიქმნა იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ლენინმა ჩამოაყალიბა ცნობილ წერილში „ორმაგი“ დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ“. ამ წერილის დებულებებმა განსაზ-

ღერეს ჩვენი პროკურატურის მთელი შემდგომი საქმიანობა, მის თეორიულ ბაზად გადაიქცინა.

აი უკვე ნახევარი საუკუნეა, რაც საბჭოთა პროკურატურა დარაჯობს სოციალისტურ კანონიერებას, რომლის ძირითადი პრინციპები ის არის, რომ კანონები ყველასათვის სავალდებულოა და უნდა უზრუნველყოთ მათი შესრულება, კანონიერება ერთიანია მთელ სახელმწიფოში, დაუსვებელია კანონიერებისა და მიზანშეწონილობის დაპირისპირება, კანონიერება განუყრელად არის დაკავშირებული კულტურულობასთან, კანონიერებას აღმზრდელი თითო როლი ენიჭება მოქალაქეთა მართლშეგნების განმტკიცებაში, სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში.



საჭიროა მასების მხარდაჭერაზე დაყრდნობა. თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე იგი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აქტიურ მუშაობას ეწეოდა კანონიერების დაცვისადმი ზედამხედველობისათვის, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ესმარებოდა პარტიასა და მთავრობას სოციალიზმის მშენებლობაში. საბჭოთა პროკურატურა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა ეტაპზე განუხრელად ახორციელებდა იმ უმნიშვნელოვანეს მიზანს, რომელიც მას სახელმწიფომ დააკისრა, მტკიცედ და თანმიმდევრულად იცავდა სოციალისტურ კანონიერებას.

საბჭოთა პროკურატურის სახელოვან იუბილეს მიეძღვნა საზეიმო კრება, რომელიც 26 მაისს გაიმართა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში.

კრების პრეზიდიუმში არიან მ. ა. გომიჩაიშვილი, ა. ნ. ინაშვილი, შ. დ. კიბნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ვ. პ. მშაგანაძე, ა. ნ. ჩურკინი, ნ. შ. ცხაკაია, ბ. ს. ქოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, ბ. დ. ჯავახიშვილი, რ. ვ. მმტრეშვილი, ხელმძღვანელი, პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. მ. ბუსრაშვილმა.

საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად

ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს.

საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოების მუშაკებისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება წაიკითხა მ. ა. გომიჩაიშვილმა.

სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა რესპუბლიკის პროკურორს ა. მ. ტაბიძეს. მან ილაპარაკა იმ სახელოვან გზაზე, რომელიც საბჭოთა პროკურატურამ ამ ნახევარ საუკუნეში განვლო.

კრებაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ნ. ინაშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ი. ნ. შპაშმა, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის ამწყობ ზენკალთა ბრიგადის ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ბ. შ. ჩაღუნაშვილმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა დ. ი. ჩხიშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ს. ი. ქაჩაიამ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა მ. ა. შპვარდნაძემ, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ი. ბ. ბამრეკელიძემ, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ვ. ი. მაისურაძემ.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.
(საქინფორმი)

სსკკავშირის შექმნის ოკეანეებზე ნიშნობა

სსრ კავშირის შექმნის ისტორიული წინამძღვრები

პროფ. ზ. ანანაბაძე

ჩვენი სამშობლო, სოციალისტური თანამეგობრობის ხალხები, მთელი პროგრესული კაცობრიობა აქტიურად ემზადებიან მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის დიდი ზეიმის — სსრ კავშირის შექმნის ორმოცდამეათე წლისთავის აღნიშვნისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ იუპილესათვის მზადების პერიოდში საჭიროა ყოველმხრივ იქნეს ნაჩვენები ლენინური ეროვნული პოლიტიკის მთელი სიდიადე, საბჭოთა რესპუბლიკების ერთ მრავალეროვან სახელმწიფოდ გაერთიანების მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა, სოციალისტური ერების დაახლოებისა და განვითარების კანონზომიერება და, ამასთან ერთად, საბჭოთა ხალხის მიღწევები კომუნისმის მშენებლობაში.

ჩვენი საზოგადოებრიობა ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა საბჭოთა კავშირის შექმნის ისტორიისადმი. ეს ინტერესი ამჟამად კიდევ უფრო გაიზარდა. სწორედ ამ საკითხს ეძღვნება წინამდებარე სტატია.

ევროპის მრავალი სახელმწიფოსაგან განსხვავებით, რომლებიც ჩამოყალიბდა და განვითარდა ეროვნულ სახელმწიფოებად, ერთიანი რუსული ცენტრალური სახელმწიფო, ისტორიულ გარემოებათა გამო, იმთავითვე (XV-XVII ს. ს.) მრავალეროვან პოლიტიკურ ერთეულად გაფორმდა. ჯერ კიდევ XV საუკუნეში რუსეთის შემადგენლობაში შევიდნენ მარიელები, მორდველები, კარელიელები, და სხვა ხალხები ხოლო XVI საუკუნეში — ჩუვაშები, ვოლგისპირეთისა და ციმბირის თათრები, ბაშკირები, უდმურტები და სხვანი. ამავე საუკუნეში რუსეთმა თავის მფარველობაში მიიღო ყაზარდოელები და ჩერქეზები. XVII საუკუნის შუა ხანებში კი რუსეთის მრავალეროვანი სახელმწიფოს ისტორიაში უდიდესი ისტორიული მოვლენა მოხდა — უკრაინა შეუერთდა რუსეთს.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა ბალტიისპირეთის ხალხების ერთი ნაწილი — ლატვიელები, ესტონელები და სხვ., აღმოსავლეთით კი ცენტრალური და დასავლეთი ყაზახეთის ხალხი. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, პოლონეთის სამეზბის დანაწილების შედეგად რუსეთთან ხელახლად გაერთიანდა ბელორუსი ხალხი. ამავე ხანაში მოხდა აგრეთვე ლიტვისა და პოლონეთის ძირითადი ნაწილის შეერთებაც.

რუსეთის მრავალეროვანი სახელმწიფოს განვითარებაში XIX საუკუნე მნიშვნელოვანი ეტაპია. 1801 წელს რუსეთს შეუერთდა ქართლ-კახეთის სამეფო, რითაც სათავე დაედო მთელი ამიერკავკასიისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის რუსეთის შემადგენლობაში შესვლას. 1803-1810 წლებში რუსეთს დასავლეთი საქართველო შეუერთდა, 1813 წელს დაღესტანი, 1813 და 1828 წლებში — აზერბაიჯანი, 1828 წელს აღმოსავლეთ სომხეთი, 1864 წელს კი — ჩრდილო-დასავლეთ კავკასია, რითაც დასრულდა კიდევ მთელი კავკასიის რუ-

სეთის იმპერიაში შესვლა. 1843 წელს რუსეთს შეუერთდა აღმოსავლეთ ყაზახეთი, XIX საუკუნის მეორე ნახევარში კი — მთელი შუა აზია.

რუსეთის მრავალეროვანი იმპერიის შექმნის ეს ხანგრძლივი პროცესი, უპირველეს ყოვლისა, შედეგი იყო რუსული საზოგადოების გაბატონებული კლასების პოლიტიკური ექსპანსიისა და ხორციელდებოდა მათი ვიწრო კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოვლენას მნიშვნელოვანწილად საფუძვლად ედო აგრეთვე თვით რუსეთის საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესები, ქვეყნის თავდაცვის აუცილებლობა თავდაპირველად თათარ-მონღოლთა, ხოლო შემდეგ კი თურქეთის, ირანის, შვეციის, ფეოდალური ჩინეთისა და სხვათა აგრესიისაგან. იმის გამო, რომ მრავალი ამ ეროვნებათაგანი რუსეთს უშუალოდ მეზობლობდა და ისინი აგრესიული თავდასხმების პირველი მსხვერპლი ხდებოდნენ, ბევრი მათგანი იძულებული იყო ნებაყოფლობით დაახლოებოდა ან შეერთებოდა რუსეთს. როცა ისეთი შემთხვევებიც იყო, რომ მეფის რუსეთი არ ერიდებოდა ძალდატანების გზით შეეყვანა რომელიმე მათგანი თავისი სახელმწიფოს შემადგენლობაში.

რუსეთის სახელმწიფოში არარუსი ხალხის შესვლის პროცესი წინააღმდეგობრივი იყო, რამდენადაც მას თან ახლდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მომენტები. ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინი მეფის რუსეთს „ხალხთა საპყრობილეს“ უწოდებდა. აქ „ხალხთა საპყრობილის“ ჩამოყალიბება ხდებოდა რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოსა და თვითმპყრობელობის ჩამოყალიბებასთან ერთად. არარუს ხალხებს ცარიზმი ჩაგრაავდა, უსპობდა ეროვნულ დამოუკიდებლობას და კოლონიად აქცევდა. ეს დიდი ბოროტება იყო, მაგრამ იმასთან შედარებით, რაც მათ ელოდათ, თუ რუსეთის სახელმწიფოს არ შეუერთდებოდა, ეს უმცირესი ბოროტება გახლდათ.

მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც საქართველო XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე. იგი ალტერნატივის წინაშე იდგა: ან უნდა ჩაეყლაპა ჩამორჩენილი ძირმომპალ სულთანის თურქეთს თუ შაჰის ირანს, ან უნდა შესულიყო რუსების შემადგენლობაში.

რუსეთთან შეერთებას, მეფის თვითმპყრობელობის რეაქციული მისწრაფების მიუხედავად, ობიექტურად საქართველოსათვის ბევრი პროგრესული შედეგები მოჰქონდა. მაგალითად რუსეთთან შეერთებამ საქართველო იხსნა პოლიტიკური დაქუცმაცებისაგან და გაუთავებელი შინაფეოდალური ომისაგან, მუდმივი გარეშე თავდასხმებისაგან და, რაც მთავარია, გამოიყვანა ეკონომიური ჩიხიდან. საქართველომ უმალ იგრძნო თავის თავზე რუსული ეკონომიკისა და მოწინავე რუსული კულტურის კეთილმოყვრელი გავლენა. მაგრამ არარუსი ხალხების რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობის შეფასებაში მთავარი ისაა, რომ ამ ხალხებმა მკიდროდ დაუკავშირეს თავიანთი ბედი დიდ რუს ხალხს, რომელმაც ცარიზმთან, მემამულეებთან და ბურჟუაზიასთან ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად რუსმა ხალხმა კოლოსალური რევოლუციური ენერჯია დააგროვა. რამდენადაც თვით რუსი ხალხიც იტანჯებოდა მეფის „ხალხთა საპყრობილეში“ და განიცდიდა ბურჟუაზიულ-ბატონყმურ ექსპლოატაციას, ამდენად მისთვის სავსებით გასაგები იყო რუსეთის იმპერიაში შემავალი მოძმე ხალხების ყველა რევოლუციური და ეროვნული მისწრაფება. რუსეთთან შემოერთებული ხალხები სულ უფრო და უფრო აქტიურად ებმოდნენ სოციალურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში, რომელსაც სათავეში ედგა დიდი

რუსი ხალხი. XX საუკუნეში ამ ბრძოლამ მიიღო მსოფლიო-ისტორიული რეზონანსი, რამდენადაც მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა რუსეთში გადმოინაცვლა.

XIX საუკუნეში რუსეთში იმარჯვებს კაპიტალისტური ურთიერთობები. ამან რუსეთის იმპერიის ეროვნული რაიონები კიდევ უფრო შეაკავშირა განაპირა რუსეთთან. ვ. ი. ლენინმა მაღალი შეფასება მისცა იმ ეკონომიურ და პოლიტიკური ერთიანობის ეტაპს, რომელიც მიღწეულ იქნა ბურჟუაზიულ ეპოქაში. თავის ნაშრომში „კრიტიკული შენიშვნები ეროვნულ საკითხზე“, ვ. ი. ლენინი წერდა: „ცენტრალიზებული დიდი სახელმწიფო არის შუასაუკუნეობრივი დაქაქსულობიდან მთელი მსოფლიოს მომავალი სოციალისტური ერთობისაკენ წინგადადგმული უდიდესი ისტორიული ნაბიჯი, და სხვანაირად, თუ არა ამგვარი (კაპიტალიზმთან განუყრელად დაკავშირებული) სახელმწიფოს საშუალებით, არ არის და არც შეიძლება არსებობდეს გზა სოციალიზმისაკენ“¹. რუსეთის იმპერიაში ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად კლასობრივი ბრძოლა ახალ ეტაპზე ადის; ქვეყანაში იწყება რევოლუციური მოძრაობა ცარიზმის, მემამულეების, ბურჟუაზიისა და ეროვნული ჩაგრვის წინააღმდეგ. რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიას ვ. ი. ლენინი სამ პერიოდად ჰყოფს იმისდა მიხედვით თუ რომელი კლასის წარმომადგენლები ასრულებდნენ მასში მთავარ, გადამწყვეტ როლს. ლენინის მიხედვით პირველი პერიოდი ეს არის თავადაზნაურული (1825-1861 წ.წ.), მეორე — რაზნოხინული (1861-1895 წ. წ.) და მესამე პროლეტარული (1895 წლიდან). თუ პირველი ორი პერიოდი გამოირჩეოდა კლასობრივი შეზღუდულობით, განსაკუთრებით თავადაზნაურული, სამაგიეროდ მესამე ეტაპზე რევოლუციური მოძრაობის გადამწყვეტ ეტაპზე მშრომელთა ფართო მასების კლასობრივი ბრძოლა მიმდინარეობდა რუსეთის ინტერნაციონალური პროლეტარიატის ჰეგემონობით, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბოლშევიკური პარტია.

დიდი ლენინის მიერ შექმნილი ახალი ტიპის მარქსისტული პარტია — ბოლშევიკური პარტია იყო მარგანიზებული ძალა დიდი სოციალისტური რევოლუციისა, რომელმაც 1917 წლის ოქტომბერში გაიმარჯვეს. ეს მოვლენა ისტორიული კანონზომიერებით აჩის ნაკარნახევი. XX საუკუნის დასაწყისში, როგორც ხემოთ ავლნიშნეთ, ობიექტურ ისტორიულ გარემოებათა გამო, მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა გერმანიიდან რუსეთში გადმოინაცვლა. იმპერიალიზმის ეპოქაში რუსეთის ისტორიული განვითარების თავისებურებებმა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას წაართვა დამოუკიდებელი მნიშვნელობა და იგი აქცია ზაწყის ეტაპად სოციალისტური რევოლუციისა, რომელიც უშუალოდ მას მოჰყვა.

რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და სოციალისტურ რევოლუციების უმნიშვნელოვანესი რეზერვი იყო განაპირა, ეროვნული რაიონების სოციალური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამის ნათელი მაგალითი იყო ამიერკავკასიის მშრომელთა რევოლუციური ბრძოლა. 1913 წელს თავის წერილში მ. გორკისადმი ვ. ი. ლენინი წერდა „ჩვენში, კავკასიაში ქართველები, სომხები, თათრები, რუსები 10 წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდნენ ერთად, ერთიან სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში. ეს ფრაზა კი არ არის, არამედ

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 39.

ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტა, ერთდერთი გადაწყვეტა². ეროვნულ საკითხზე ლენინური მოძღვრების არსი გამომდინარეობს იმ მარქსისტული იდეიდან, რომ საჭიროა ეროვნული საკითხი დაექვემდებაროს პროლეტარული რევოლუციის ამოცანებს, და იმპერიაში შემავალ ყველა არარუს ხალხს მიეცეს უფლება ეროვნული თვითგამორკვევისა თვით დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოდ გამოყოფამდე. მაგრამ ამასთან ლენინი გაფრთხილებას იძლეოდა, რომ არ შეიძლება აღიარებულ იქნას უფლება თვითგამორკვევის შესახებ ამა თუ იმ ერის გამოყოფის მიზანშეწონილობასთან. ამდენად მარქსისტები რუსეთის წვრილ თუ მცირე სახელმწიფოებად დაყოფის წინააღმდეგი გამოდიოდნენ. ლენინის ამ ნათელმა მოძღვრებამ ეროვნულ საკითხზე თეორიულად შეაიარაღა პარტია ყველა ჯურის ნაციონალისტებისა და შოვინისტების წინააღმდეგ ბრძოლაში და უზრუნველყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერა სოციალისტურ განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ სათავე დაუდო ახალ ერ-ას კაცობრიობის ისტორიაში. დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილში გაიმარჯვა სოციალისტურმა წყობილებამ. ამასთან ისიც ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ერთდროულად არ გაუმარჯვია მთელს ჩვენს ქვეყანაში. საერთაშორისო იმპერიალიზმის მიერ გაჩაღებულმა სამოქალაქო ომმა და უცხოეთის ინტერვენციამ რამდენადმე შეაყოვნა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება რუსეთის იმპერიის ზოგიერთ განაპირა მხარეში, მათ შორის ამიერკავკასიაშიც. მაგრამ ჩვენი ქვეყნის ხალხების საბრძოლო კავშირმა, რომელიც განმტკიცდა შინაური კონტრევოლუციისა და უცხოური ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლებში, საბოლოოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე მიიყვანა ყოფილი რუსეთის იმპერიის თითქმის ყველა ხალხი. 1921 წლის თებერვალში საბჭოთა ხელისუფლების დროშა საქართველოშიც აფრიალდა.

სამოქალაქო ომის წლებში საბჭოთა რესპუბლიკებმა შეკრეს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ კი დაიღო საკავშირო ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებდნენ თანამშრომლობას არა მარტო სამხედრო დარგში არამედ სამეურნეო მშენებლობაშიც.

20-იანი წლების დასაწყისში ჩვენს ქვეყანაში ძირითადად ფედერაციის ორი სახე გამოიკვეთა: პირველი დამყარებული იყო ავტონომიებზე, უპირველეს ყოვლისა რსფსრ, რომელიც წარმოადგენდა თანსწორუფლებიანი ხალხების ისტორიაში არნახულ ფედერაციას, და მეორე ხელშეკრულებაზე დამყარებული რსფსრ-სა და დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაცია. მაგრამ ცხოვრება სულ უფრო მეტად მოითხოვდა რესპუბლიკების გაერთიანებას საკავშირო სახელმწიფოდ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მთავარი პოლიტიკური პირობა იყო დიდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება. მთავარ ეკონომიურ წინამძღვარს კი წარმოადგენდა საწარმოო საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დამყარება. საბჭოთა ხელისუფლება, იყო რა თავისი ბუნებით ინტერნაციონალური ხასიათისა ამავე დროს წარმოადგენდა მეტად ხელსაყრელ პო-

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 76.

ლიტიკურ ფორმასაც, რომელიც აადვილებდა სოციალისტური რესპუბლიკების გაერთიანებას.

სსრ კავშირის შექმნა, უწინარეს ყოვლისა, ნაკარნახევი იყო საშინაო მიზეზებით. იმისათვის, რომ დაჩქარებულიყო სახალხო მეურნეობის აღდგენა და შემდგომი აღმავლობა, საჭირო იყო რესპუბლიკებს გაერთიანებინათ თავიანთი რეზერვები და რესურსები. საამისოდ კი ის საფუძველი არსებობდა, რომ ცალკეულ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ისტორიულად უკვე იყო ჩამოყალიბებული შრომის დანაწილება. ასე, მაგალითად, უკრაინა იძლეოდა ქვანახშირსა და ლითონს, აზერბაიჯანი, ნავთობს, შუა აზია—ბამბას, საქართველო—მარგანეცს, ცენტრალური სამრეწველო რაიონები —საფეიქრო ნაწარმს, პეტროგრადი — მანქანებს, მოწყობილობებს და ა. შ. რესპუბლიკები დაკავშირებული იყვნენ აგრეთვე ერთიანი სატრანსპორტო სისტემით. „გოელროს“ გეგმა, რომლის საფუძველზეც წარმოებდა სახალხო მეურნეობის აღდგენა და შემდგომი განვითარება, ყველა რესპუბლიკის გეგმაც იყო და ამდენად მისი შესრულება საერთო ძალ-ღონეს მოითხოვდა.

გაერთიანების აუცილებლობას საგარეო მიზეზებიც ედო საფუძველად. იმპერიალისტური გარემოცვა, რომელიც ჩვენს ქვეყანას დიდ საშიშროებას უქმნიდა, აუცილებელს ხდიდა, რომ საბჭოთა რესპუბლიკები გაერთიანებულიყვნენ საკავშირო სახელმწიფოდ, ერთიადი არმიითა და ფლოტით, რათა ყველა რესპუბლიკას შესძლებოდა დაცვა ინტერვენციის ეკონომიური და დიპლომატიური იზოლაციის საშიშროებისაგან.

მისწრაფებას ერთიანობისაკენ ხელს უწყობდა ის დიდი დახმარებაც, რომელსაც რსფსრ უწევდა მოძმე რესპუბლიკებს სამეურნეო მშენებლობაში. მაგალითად, 1921-22 წლებში საბჭოთა რუსეთმა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს გადასცა რამდენიმე საფეიქრო ფაბრიკა, სტამბა, ლითოგრაფია, რუსი ხალხის დახმარებით შენდებოდა მტკვარზე ზაჰესი და სხვ.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელება განამტკიცებდა ნდობასა და მეგობრობას ხალხებს შორის. 1922 წლის მარტში აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკები გაერთიანდნენ ფედერაციულ კავშირში, რომელიც შემდგომ გარდაიქმნა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკად.

პირველად ისტორიაში განხორციელდა საკავშირო ფედერაციის იდეა, რომელმაც ერთიან სახელმწიფოდ გააერთიანა დამოუკიდებელი რესპუბლიკები, ამასთან მათ შეინარჩუნეს სახელმწიფო სუვერენიტეტი. ამრიგად, ლენინის მითითებით შექმნილი ამიერკავკასიის სფსრ-ს სტრუქტურა სსრ კავშირის სტრუქტურის წინა ნიმუშად იქცა.

1922 წლის აგვისტოში რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა კომისია საბჭოთა რესპუბლიკებს შორის შემდგომი ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე წინადადებათა შესამუშავებლად. კომისიას მეთაურობდა ი. ბ. სტალინი. კომისიაში შევიდნენ უკრაინის, ბელორუსიის და ამიერკავკასიის სფსრ-წარმომადგენლები. ი. ბ. სტალინმა წამოაყენა ავტონომიზაციის გეგმა, რომლის მიხედვით უკრაინა, ბელორუსია, აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი რსფსრ-ში შედიოდა ავტონომიური რესპუბლიკების უფლებით. ამასთან რსფსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები საერთოფედერალურ ორგანოებად უნდა გარდაქმნილიყვნენ. ეს გეგმა მცდარი იყო. იგი ნი-


შნავდა ეროვნული საბჭოთა რესპუბლიკების უფლებების შებღალვას და არ პასუხობდა ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისა და თანამშრომლობის ამოცანებს.

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის, ბელორუსიის და საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა მხარი არ დაუჭირეს „ავტონომიზაციის“ გეგმას, კომისიამ მაინც საფუძვლად მიიღო „ავტონომიზაციის“ პროექტი და წარუდგინა იგი განსახილველად ცენტრალურ კომიტეტს. ვ. ი. ლენინი ავადმყოფობის მიუხედავად, გაეცნო ამ დოკუმენტს და 1922 წლის 26 სექტემბერს წერილი გაუგზავნა პოლიტიბუროს წევრებს, რომელშიც მკაცრად გააკრიტიკა პროექტი საბჭოთა რესპუბლიკების „ავტონომიზაციის“ შესახებ. ლენინმა წამოაყენა ერთადერთი მართებული და ბრძნული წინადადება — შექმნილიყო ახალი საკავშირო სახელმწიფო—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, როგორც თანასწორუფლებიანი, სუვერენული რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანება. თითოეული რესპუბლიკას უნდა შენარჩუნებოდა სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1922 წლის ოქტომბერში მიიღო ლენინის წინადადება რსფს რესპუბლიკის, ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის, უკრაინის სსრ რესპუბლიკისა და ბელორუსიის სსრ რესპუბლიკის გაერთიანების შესახებ. პლენუმის შემდეგ ყველგან გაიმართა მშრომელთა კრებები, საბჭოების პლენუმები. მიღებული რეზოლუციები იწონებდნენ სოციალისტური რესპუბლიკების ერთ კავშირში გაერთიანებას. დეკემბერში შედგა უკრაინის, ბელორუსიის, ამიერკავკასიის და რსფს რესპუბლიკის საბჭოების რესპუბლიკური ყრილობები, რომელთაც ერთსულოვნად მოიწონეს ახრი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ და აირჩიეს სსრ კავშირის საბჭოების პირველი ყრილობის დელეგატები.

ყრილობა გაიხსნა ქ. მოსკოვში 1922 წლის 30 დეკემბერს. მძიმე ავადმყოფობის გამო ვ. ი. ლენინი მას ვერ დაესწრო მაგრამ ყრილობამ იგი აირჩია თავის საპატიო თავმჯდომარედ. ყრილობის დადგენილებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში შევიდა ოთხი რესპუბლიკა: რსფსრ, აკსფსრ, უსსრ და ბსსრ. ყრილობამ მიიღო დეკლარაცია და დამტკიცა ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ, რომლებშიც ჩამოყალიბებული იყო საკავშირო სახელმწიფოდ რესპუბლიკების გაერთიანების მოტივები და პირობები. ყრილობამ აირჩია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და მისი თავმჯდომარეები (მ. ი. კალინინი, გ. ი. პეტროვსკი, ნ. ნ. ნარიშკინი, ა. გ. ჩერვიაკოვი). მალე შედგა სსრ კავშირის ცაკის პირველი სესია, რომელმაც დაამტკიცა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს პირველი შემადგენლობა ვ. ი. ლენინის მეთაურობით. სსრ კავშირის ცაკის მეორე სესიამ 1923 წლის 6 ივლისს მიიღო კონსტიტუცია, რომელიც საბოლოოდ დაამტკიცა საბჭოების სრულიად საკავშირო II ყრილობამ 1924 წლის 31 იანვარს.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა 1923 წლის 13 ივლისს გამოაქვეყნა მიმართვა მსოფლიოს „ყველა ხალხისა და მთავრობისადმი“, რომელშიც აღნიშნული იყო: „საბჭოთა ხალხებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს შეიქმნას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, ერთიანი საკავშირო სახელმწიფო. თანასწორ-



უფლებიან ხალხთა ეს გაერთიანება რჩება ნებაყოფლობით გაერთიანებად, რომელიც გამორიცხავს ეროვნულ ჩაგვრასა და ამ სახელმწიფოს ფარგლებში რომელიმე ხალხის იძულებით ყოფნას. იგი თითოეულ რესპუბლიკას ანიჭებს კავშირიდან თავისუფლად გასვლის უფლებას და ამავე დროს მასში შესვლა თავისუფლად შეუძლია ყველა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, აგრეთვე იმათ, რომლებიც მომავალში წარმოიქმნებიან...


საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა ძმური თანამშრომლობის საფუძველზე ამ სახით შექმნილი საკავშირო სახელმწიფო თავის მიზნად ისახავს მშვიდობის შენარჩუნებას ყველა ხალხთა. თანასწორუფლებიანი ეროვნებანი მჭიდრო თანამშრომლობით და ერთობლივი მუშაობით ხელისხელჩაკიდებულნი განავითარებენ თავიანთ კულტურას, აამაღლებენ კეთილდღეობის დონეს და შეასრულებენ მშრომელთა ხელისუფლების ამოცანებს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ისწრაფვის ყველა ხალხთან ჰქონდეს მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა და ეკონომიური თანამშრომლობა. იგი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესებს გაშლილი უდიდეს სივრცეზე ბალტიის, შავი და თეთრი ზღვიდან დაწყებული წყნარ ოკეანემდე, იგი ახორციელებს ხალხთა შორის ძმობას, ამავე დროს ისწრაფვის რათა ხელი შეუწყოს მთელი მსოფლიოს ხალხთა მეგობრულ თანამშრომლობას“.

თანდათანობით სსრ კავშირის შემადგენლობაში გაერთიანდენ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიც.

სსრ კავშირის შექმნის მომენტში შუა აზიის ტერიტორიაზე, გარდა თურქმენეთის ავტონომიური სს რესპუბლიკისა, რომელიც რუსეთის სფს რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა, არსებობდნენ აგრეთვე ბუხარისა და ხორეზმის სახალხო საბჭოთა რესპუბლიკები, რომლებიც იმხანად არ შევიდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, რადგან ჯერ კიდევ არ იყვნენ სოციალისტური რესპუბლიკები. მაგრამ 1923 წლის შემოდგომაზე ხორეზმის, ხოლო ზუსტად ერთი წლის შემდეგ ბუხარის რესპუბლიკები უკვე დაადგნენ სოციალისტური განვითარების გზას და თავი სოციალისტურ რესპუბლიკებად გამოაცხადეს. 1924 წლის შემოდგომაზე ადგილობრივი ხალხების ნებასურვილით შუა აზიაში განხორციელდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გამიჯვნა, რის შედეგად შეიქმნა ახალი ეროვნული სახელმწიფოები.

შეიქმნა უზბეკეთის სსრ და თურქმენეთის სსრ რესპუბლიკები, ტაჯიკეთის ავტონომიური რესპუბლიკა შევიდა უზბეკეთის სსრ შემადგენლობაში, ყირგიზეთისა და ყარა-კალფაკეთის, ავტონომიური ოლქები კი — რსფს რესპუბლიკების შემადგენლობაში. გაუქმდა ბუხარისა და ხორეზმის სსრ რესპუბლიკები, აგრეთვე თურქესტანის ასს რესპუბლიკა. 1925 წლის თებერვალში უზბეკეთისა და თურქმენეთის სს რესპუბლიკების საბჭოების ყრილობებმა მიიღეს გადაწყვეტილება სსრ კავშირის შემადგენლობაში შესვლის შესახებ. 1925 წლის მაისში საბჭოების III სრულიად-საკავშირო ყრილობამ უზბეკეთისა და თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები მიიღო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. 1929 წელს ტაჯიკეთის ასს რესპუბლიკა გამოეყო უზბეკეთის სს რესპუბლიკას, თავი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა და შევიდა სსრ კავშირის შემადგენლობაში მოკავშირე რესპუბლიკის უფლებებით.



1936 წელს საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის საფუძველზე ყაზახეთისა და ყირგიზეთის ავტონომიური რესპუბლიკები გარდაიქმნენ დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებად და შევიდნენ სსრ კავშირში როგორც მოკავშირე რესპუბლიკები. ამავე დროს გაუქმდა ამიერკავკასიის ფედერაცია, რის შემდეგ აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკებიც უშუალოდ შევიდნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში. 1940 წელს ლატვიაში, ლიტვასა და ესტონეთში აღდგენილ იქნა საბჭოთა ხელისუფლება და სამივე მათი თხოვნით მიღებულ იქნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებებით.

ამავე წელს მოლდაველი ხალხის გაერთიანების შედეგად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებით მოლდავეთის ავტონომიური სს რესპუბლიკა გარდაიქმნა მოკავშირე რესპუბლიკად.

სსრ კავშირის შექმნას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ჩვენი ქვეყნის ხალხების ცხოვრებაში, ისე საერთაშორისო მასშტაბით. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ყველა ძალებისა და რესურსების გაერთიანებით შესაძლებელი გახდა იმ ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია, რომელიც მემკვიდრეობით დაუტოვა, ჩვენს ხალხებს ბურჟუაზიულ-ბატონყმურმა წყობილებამ. შეიქმნა მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის შესაძლებლობა, სოციალისტური საზოგადოების შემდგომი განვითარებისა და კომუნისმის გაშლილ მშენებლობისათვის. მსოფლიოში პირველი საკავშირო სახელმწიფოს შექმნას, რომელშიც ლიკვიდირებულია ყველა ფორმის სოციალური და ეროვნული ჩაგვრა, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მშრომელთა ფართო მასების გარეგოლუციონერებისათვის.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების შედეგად შეიქმნა მსოფლიო სოციალისტური სისტემა, რამაც გამოიწვია იმპერიალისტური კოლონიალური სისტემის კრახი.

საბჭოთა ხალხი, რომელიც სსრ კავშირში სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლობის წლებში ჩამოყალიბდა, როგორც ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა, მონოლითურად შეკავშირებული ეგებება სსრ კავშირის ორმოცდამეათე წლისთავს და მშობლიური პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ მიაბიჯებს კომუნისმისაკენ.



საბჭოთა ხალხი—აღმავანთა ახალი ისჯორიული ერთობა

პროფ. ვ. ზარაშკაძე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა საანგარიშო მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაზე აღნიშნა, რომ „სოციალისტური მშენებლობის წლებში ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. ერთობლივ შრომაში, სოციალიზმისათვის ბრძოლაში, მისი დაცვისათვის ბრძოლებში წარმოიშვა კლასებისა და სოციალური ჯგუფების, ერებისა და ეროვნებების ახალი, ჰარმონიული ურთიერთობა — მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა“¹.


კანონიერი სიამაყის გრძნობით შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ადამიანთა ამ ახალი ისტორიული ერთობის წარმოშობა ლენინური ეროვნული პოლიტიკის კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვების დადასტურებაა.

საბჭოთა ხალხის წარმოშობას თავდაპირველად ნაყოფიერი საფუძველი ჩაეყარა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად, როდესაც განხორციელდა ძირფესვიანი სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები და გზა გაეკაფა ლენინური ეროვნული პოლიტიკის პროგრამის ცხოვრებაში პრაქტიკულად განხორციელებას. გამარჯვებული საბჭოთა რესპუბლიკების სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა საერთო ინტერესებმა და მიზნებმა იმ მშრომელებისა, რომლებიც ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზას დაადგენენ ეკონომიური, პოლიტიკური და თავდაცვითი ღონისძიებათა გაერთიანების და გულწრფელი ძმური თანამშრომლობისაკენ მათმა ერთსულოვანმა მისწრაფებამ ლოგიკური და საქმიანი დადასტურება ჰპოვა 1922 წლის 30 დეკემბერს საბჭოების სრულიად საკავშირო I ყრილობაზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნით. ამ გონივრული ღონისძიებით საფუძველი ჩაეყარა ჭეშმარიტად თავისუფალ ხალხთა ისეთ ერთიანობას, მეგობრობისა და ძმობის ისეთ ურთიერთობას, რაც წინათ ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიაში არასდროს არ ყოფილა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50-ე წლისთავისათვის მზადების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნათქვამია, რომ „საბჭოთა კავშირის შექმნას თავისი პოლიტიკური მნიშვნელობით და სოციალურ-ეკონომიური შედეგებით დიდი ადგილი უჭირავს საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში. ეს ისტორიული მოვლენა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეის დამაჯერებელი გამარჯვებაა, კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების ნაყოფიერი შედეგია“².

¹ სკვპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971 წ. გვ. 97.

² გაზ. „კომუნისტი“, 1972 წ. 22 თებერვალი.



მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნაში და ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის წარმოშობის მტკიცე საფუძვლის ჩაყრაში უდიდესი როლი ეკუთვნის კომუნისტური პარტიისა და მსოფლიო პროლეტარიატის დიდ ბელადს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს. ვ. ი. ლენინმა „შემოქმედებითად განავითარა რა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის იდეები, მან შექმნა მწყობრი მოძღვრება ეროვნულ საკითხში, შეიმუშავა კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის მეცნიერული პრინციპები. მარქსიზმ-ლენინიზმმა გამოავლინა ეროვნული საკითხის ადგილი და როლი მსოფლიოს რევოლუციურ გარდაქმნაში, გვიჩვენა, რომ იგი ექვემდებარება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს, სოციალიზმის ინტერესებს... თეორიაში და პრაქტიკულად დამტკიცდა, რომ აუცილებელია ყველა ეროვნების პროლეტარიატის ერთიანობა კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ, სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში“³.

საბჭოთა ქვეყანაში ახალი ტიპის მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის გამოცდილებამ ცხადყო, რომ თანმიმდევრულად ხორციელდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განმტკიცების ლენინური კურსი. უდიდესი ყურადღება ექცევა საბჭოთა სახელმწიფოს საერთო ინტერესებს, აგრეთვე თითოეული რესპუბლიკის ინტერესებს. შექმნილია პირობები ცალკეული ერების შემდგომი აყვავებისა და განვითარებისათვის. ახლა ყველსათვის ცხადია, რომ მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ შექმნა ყველა შესაძლებლობა ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრის მოსპობისათვის სახელმწიფოებრივი წყობილების ფედერაციულ ფორმაში თავისუფალ და თანასწორუფლებიან ერთა და ეროვნებათა ერთიან პოლიტიკურ ერკულად ნებაყოფლობითი გაერთიანებისათვის.

კაცობრიობის განვითარების ისტორიაში არც ერთი მრავალეროვანი ქვეყნის არცერთ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც ხელისუფლების სათავეში იდგა, არა ჰქონია ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ისეთი სწორი და თეორიულად ყოველმხრივ დამუშავებული პროგრამა და პოლიტიკა, როგორც კომუნისტურ პარტიას ჰქონდა.

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა „შემთხვევითი მოვლენა“ კი არ იყო, როგორც ეს ისტორიის ბურჟუაზიულ ფალსიფიკატორებს მიაჩნიათ, არამედ ისტორიული განვითარების, რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის, ლენინის პარტიის დაუღალავი მოღვაწეობის კანონზომიერი შედეგი“⁴.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ზემოთ დასახლებულ დადგენილებაში დასაბუთებულია საბჭოთა ხალხის, როგორც ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის წარმოშობის საფუძვლები. საბჭოთა ხალხი, როგორც ახალი ისტორიული ერთობა, ჩამოყალიბდა წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების, ეკონომიური, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის, მუშათა კლასის ინტერესებისა და კომუნისტური იდეალების ერთიანობის ბაზაზე. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა საბჭოთა ადამიანების საუკეთესო თვისებებით აღჭურვა. ეს თვისებებია: ერთგულება კომუნისმის საქმისადმი, საბჭოთა პატ-

³ გაზ. „კომუნისტი“, 1972 წ. 22 თებერვალი.

⁴ გაზ. „კომუნისტი“, 1971 წ. 30 დეკემბერი.

რიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, დიდი შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა, შეურიგებლობა ექსპლოატაციისა და ჩაგვრისადმი, ეროვნული და რასობრივი ცრუ შეხედულებებისადმი, კლასობრივი სოლიდარობა ყველა ქვეყნის მშრომელებთან.


სოციალიზმის მშენებლობის პროცესში ჩვენს ქვეყანაში აღიზარდნენ ინტერნაციონალისტთა, კომუნისმისათვის თავდადებულ მებრძოლთა თაობები. საბჭოთა კავშირში შექმნილია საჭირო მატერიალური და სულიერი პირობები თვითეული საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობის შემდგომი ზრდისათვის, პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისა და მისი ცოდნის გაღრმავებისათვის.

საბჭოთა კავშირი 100-ზე მეტ ერსა და ეროვნებას აერთიანებს. მათი ეკონომიური, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურის ერთიანობის ნიადაგზე დაფუძნებული საბჭოთა ხალხი, როგორც ადამიანთა ახალი ისტორიული და ინტერნაციონალური ერთობა, წარმოიშვა და განვითარდა ჩვენი ქვეყნის საერთო ეკონომიური წყობის, მეურნეობის სოციალისტური სისტემის, საწარმოო იარაღებზე და საშუალებებზე სოციალისტური საკუთრების, საერთო სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის, ერთიანი მსოფლმხედველობის — მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების, კომუნისტური საზოგადოების აშენების საერთო მიზნისა და საერთო სოციალისტური სამშობლოს აშენებისა და საბჭოთა კავშირის განმტკიცების საფუძველზე.

საბჭოთა ხალხის ურთიერთდამოკიდებულების საფუძველია ინტერესთა და მიზანთა, ნებისა და მოქმედების, ნდობისა და ურთიერთდამარების ურღვევი ერთიანობა, ნამდვილი, სრული ურთიერთგაგების ნიადაგზე დამყარებული ძმობა და მეგობრობა. ეს ძმური ერთიანობა სოციალიზმის განვითარების ობიექტური კანონზომიერებაა. საბჭოთა ხალხის, ადამიანთა ამ ახალი ისტორიული ერთობის აუცილებელი დამახასიათებელი თავისებურება ისიც არის, რომ აქ ჰარმონიულად არის შეხამებული მთელი საბჭოთა ხალხისა და მასში შემავალი ყველა ერისა და ეროვნების ინტერესები, ინტერნაციონალური და ეროვნული მიზნები და ამოცანები. ახლა ფაქტი გახდა, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებასთან ერთად მტკიცედ გაიმარჯვა ერთა თანასწორუფლებიანობის, მეგობრობის და ძმობის პრინციპებმა, რომელმაც მრავალ გამოცდას გაუძლო. იგი კიდევ უფრო მეტად დაიხვეწა და საბჭოთა საზოგადოების სწურობუზარის, მამოძრავებელი ძალა გახდა.

საბჭოეთის გრანდიოზული მიღწევები პოლიტიკურ და ეკონომიურ, იდეოლოგიურ და კულტურულ სფეროში წარმოუდგენელი იქნებოდა ყველა ეროვნების მშრომელ ადამიანთა ძმური მეგობრობისა და მათი ერთობლივი შრომის გარეშე. ამ ერთობლიობაში რელიეფურად გამოვლინდა თითოეული ერისა და ეროვნების შემოქმედებითი უნარი, ნიჭი და ენერჯია. საბჭოთა ხალხი კვლავაც მონოლითური ერთიანობით მიაღწევს სასურველ გამარჯვებას — კაცობრიობის ნათელი მომავლის — კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ჩვენი ქვეყნის უდიდეს გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს საბჭოთა კავშირის თითოეული მოქალაქის მაღალი კომუნისტური მორალის სულისკვებით აღზრდა. „კომუნისტური მორალი — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში — სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლობის მსვლელობაში მდიდრდება ახალი პრინციპებით, ახალი შინაარსით“. საბჭოთა ადამიანები აღიჭურვნენ კომუნისმის მშენებლობის მორალურ კოდექსში გან-



მტკიცებული ზნეობრივი თვისებებით. მათი მიზნებისა და საქმიანობის განუყრელ თანამგზავრად იქცა: კომუნისმის საქმისადმი ერთგულება, სოციალისტური სამშობლოსადმი, სოციალიზმის ქვეყნისადმი სიყვარული; კეთილხინდისიერი შრომა საზოგადოების საკეთილდღეოდ; თვითეულის ზრუნვა საზოგადოებრივი დოვლათის დაცვისა და გამრავლებისათვის; საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნება, შეუწყნარებლობა საზოგადოებრივი ინტერესების დარღვევებისადმი, კოლექტივიზმი და ამხანაგური ურთიერთდახმარება დევიზით: ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის; ჰუმანური ურთიერთობა და ურთიერთპატივისცემა ადამიანთა შორის; დევიზით: ადამიანი ადამიანისათვის მეგობარი, ამხანაგი და ძმად; პატიოსნება და სიმართლე, ზნეობრივი სიწმინდე, უბრალოება და თავმდაბლობა საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში; ურთიერთპატივისცემა ოჯახში, ზრუნვა ბავშვების აღზრდისათვის; შეურიგებლობა უსამართლობისადმი, მუქთახორობისადმი, უპატიოსნობისადმი, კარიერიზმისადმი, მომხვეჭელობისადმი; საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მეგობრობა და ძმობა, შეუწყნარებლობა ეროვნული და რასობრივი მტრობისადმი; შეურიგებლობა კომუნისმის, ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების საქმის მტრებისადმი; ძმური სოლიდარობა ყველა ქვეყნის მშრომელებთან, ყველა ხალხთან⁵. ამ თვისებებით აღიჭურვენ მილიონობით საბჭოთა ადამიანები, რომლებსაც გააჩნიათ პარმონიულად შეხამებული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა.

ამ ზნეობრივი პრინციპებით მილიონობით საბჭოთა ადამიანების აღჭურვა სრულიადაც არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ჩვენს ქვეყანაში საბოლოოდ დამთავრდა ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების სრულყოფილად ჩამოყალიბება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის რეზოლუციაში სრულიად გასაგებად არის ნათქვამი, რომ „ყრილობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ყველა მშრომელის აღზრდას საბჭოთა პატრიოტიზმის, სოციალისტური სამშობლოსათვის, საბჭოთა ხალხის დიადი საქმეებისათვის სიამაყის, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ნაციონალიზმის, შოვინიზმისა და ეროვნული შეზღუდულობის გამოვლინებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, ყველა ერისა და ეროვნების პატივისცემის სულისკვეთებით“⁶.

საბჭოთა ხალხის, როგორც ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის დამკვიდრების საწინდარია ისიც, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საბჭოთა კავშირში შემავალი თითოეული ეროვნული რესპუბლიკისა და ავტონომიური სახელმწიფოებრივი ტერიტორიალური ერთეულებისა და ცალკე ერების პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას, ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაციას, ეროვნული კადრების აღზრდას და სოციალისტური ერების შემდგომ დაახლოებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქისა და ნაციონალური ოკრუგის პარტიული ორგანიზაციების ავანგარდული როლის შესახებ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში.

⁵ იხ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა. თბ., 1961 წ. გვ. 132-133.

⁶ გაზ. „კომუნისტი“, 1972 წ. 4 აპრილი.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრულ განხორციელებაში, ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში.

ახლა, როცა მთელი საბჭოთა ხალხი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ემზადება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50-ე წლისთავისათვის, სიამაყის გრძნობით ვაჯამებთ იმ დიდ მონაპოვარს, რასაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწია თითოეულმა თანასწორუფლებიანმა მოკავშირე რესპუბლიკამ სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ერთ მთლიან კავშირში გაერთიანების შედეგად.

ნახევარი საუკუნის ასაკის მქონე საბჭოთა კავშირი მთელი მსოფლიოს წინაშე დგას როგორც კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ქვეყანა, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ნიმუში, მსოფლიოში მშვიდობის მედროშე, საერთაშორისო რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმედიანი მხარის დამჭერი, ინტერნაციონალური სოციალისტური ერთიანობის ორგანიზატორი და მშრომელი ხალხის ბედნიერებისა და უკეთესი მომავლის შექმნისათვის დაუღალავი მებრძოლი ქვეყანა.

საბჭოთა ხალხი, როგორც ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა, ისწრაფვის შესანიშნავი საყოველთაო-სახალხო დღესასწაული — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავი აღნიშნოს ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობაში მოპოვებული ახალი წარმატებებით, მეცნიერების განვითარების დონის კიდევ უფრო ამაღლებით, მშრომელთა გაზრდილი მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილებითა და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებით.

საქართველოს სსრ სუვერენული სახელმწიფო

ზ. ჯინჯოლავა,

თსუ სახელმწიფო სამართლის კათედრის მასწავლებელი

თანამედროვე ეტაპზე სუვერენიტეტის საკითხი მიჩნეულია ერთ-ერთ მეტად სერიოზულ პოლიტიკური მნიშვნელობის პრობლემად.

სახელმწიფო სუვერენიტეტის თეორია წარმოიშვა XIX საუკუნეში (ელინეკი, ჰეგელი). მის ქვეშ იგულისხმებოდა სახელმწიფოს არსი, მისი უფლებათა წყაროები. ამ თეორიის წარმომადგენელი ორლანდო ამბობდა: „ჩვენ სუვერენიტეტს განვსაზღვრავთ, როგორც სახელმწიფოს იურიდიული პირის დამტკიცებას და, ამ საფუძველზე, როგორც მისი საერთო უფლებაუნარიანობის წყაროს“¹.

სხვადასხვა პერიოდში სუვერენიტეტის საკითხი სხვადასხვანაირად წყდებოდა.

მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლები სუვერენიტეტის ცნებას ყველა შემთხვევაში განიხილავენ ერთადერთი განსაზღვრული აზრით. მიუთითებდა რა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში მიწაზე სახელმწიფო საკუთრების გადამწყვეტ მნიშვნელობაზე, კ. მარქსი წერდა: „სახელმწიფო აქ მიწის უმაღლესი მესაკუთრეა. აქ სუვერენიტეტი წარმოადგენს ნაციონალური მასშტაბით კონცენტრირებულ მიწის საკუთრებას“².

ვ. ი. ლენინი სუვერენიტეტის საკითხს უკავშირებდა ეროვნულ საკითხს და მისი ცნების ქვეშ გულისხმობდა: 1. ყოველი ერის უფლებას დამოუკიდებლად გადაწყვიტოს თავისი ბედი, 2. ყველა ერის თანასწორუფლებიანობას.

სუვერენიტეტის სწორად გაგებას დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ურთიერთობაში. საერთაშორისო სამართლის კლასიკურ დოქტრინად აღიარებულია სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პრინციპი, რომელიც გულისხმობს ერთი სახელმწიფოს დამოუკიდებლობას მეორე სახელმწიფოს ხელისუფლებისაგან. სუვერენიტეტის პრინციპი ბურჟუაზიული საერთაშორისო სამართლით ვრცელდებოდა მხოლოდ „ცივილიზებულ“ სახელმწიფოებზე. კაპიტალისტური ქვეყნების პრაქტიკა ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა სუვერენიტეტის პრინციპს. იმპერიალიზმის ეპოქაში ბურჟუაზიულმა იურისტებმა უარი თქვეს სუვერენიტეტის თვით ცნებაზე. თანმიმდევრული დემოკრატიული შინაარსი სუვერენიტეტის ცნებამ მიიღო საერთაშორისო ურთიერთობაში საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მეოხებით. წარმოადგენს რა სუვერენულ სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირი მთელ თავის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდებს ყველა ხალხთა და სახელმწიფოთა სუვერენიტეტის დაცვასა და პატივისცემას. საბჭოთა დიპლომატიის საქმიანობა წარმოადგენს სახელმწიფოთა სუვერენიტეტის დაცვის ნიმუშს³.

¹ В. Орландо. Принципы конституционного права, стр. 31. Изд. 1907 г.

² К. Маркс. Капитал, т. III, стр. 570. Изд. 1938 г.

³ В. И. Ленин. Соч., т. 24, стр. 505, 605.

საბჭოთა იურისტები ეყრდნობიან რა მარქსისზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მოძღვრებას სახელმწიფოს შესახებ, სრულიად ახლებურად წყვეტენ სუვერენიტეტის საკითხს და სახავენ მისი გამოკვლევის სწორ გზებს. მიუხედავად ამისა, სუვერენიტეტის თაობაზე საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა, თუმცა თვით ცნების განსაზღვრისას თითქმის ერთსა და იმავე დასკვნამდე მიდიან.

აკადემიკოს ტრანინის განსაზღვრით სუვერენიტეტი არის უმაღლესი ხელისუფლება განუსაზღვრელი სახელმწიფოს შიგნით და დამოუკიდებელი საგარეო ურთიერთობაში⁴. ძირითადი ნაკლი ამ განსაზღვრისა (რაც შემდეგში თვით ავტორმა აღიარა) იმაშია, რომ აქ არაფერია ნათქვამი სუვერენიტეტის კლასობრივ არსზე.

ს. გოლუნსკის აზრით სუვერენიტეტი არის არა თვით უმაღლესი ხელისუფლება, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების არსებითი ნიშანი. სუვერენიტეტი არის სახელმწიფო ხელისუფლების მბრძანებლობის შესაძლებლობის იურიდიული ფორმა, არ დაუშვას სხვა სახელმწიფოთა ჩარევა თავის მბრძანებლობაში. დაახლოებით ასეთივე აზრი აქვს გატარებული პროფ. მ. სტროგოვიჩს „ლოგიკის“ კურსში⁵.

ვ. დოროგინის აზრით სუვერენიტეტი არის გაბატონებული კლასის სახელმწიფო ხელისუფლების თვისება — სხვა ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად განახორციელოს სახელმწიფოს ფუნქციები⁶.

ვერ დავეთანხმებით ს. იაკუბოვსკის, რომელიც ავტონომიურ ოლქს სუვერენულ სახელმწიფოდ თვლის. ავტონომიური ოლქი სახელმწიფო არ არის და ამდენად მის სახელმწიფო სუვერენიტეტზე ლაპარაკი არ შეიძლება⁷.

მცდარ დასკვნამდე მიდიოდა პროფ. ი. ლევინი, რომელიც სუვერენიტეტს სახელმწიფოს აუცილებელ ნიშნად არ თვლიდა და შესაძლებლად მიაჩნდა არასუვერენული სახელმწიფოების არსებობაც⁸. თუმცა შემდეგში ეს შეცდომა ლევინმა გამოასწორა⁹. ვფიქრობთ დავას არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ სახელმწიფოს, ძლიერია ის თუ სუსტი, აქვს უნარი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა თუ არა, ყოველთვის უნდა ახასიათებდეს სუვერენიტეტი, მიუხედავად მისი ტიპისა და ფორმისა. სწორია პროფ. გრ. ერემოვი, რომელიც სუვერენიტეტის ცნებას შემდეგნაირად განმარტავს: სახელმწიფო სუვერენიტეტი გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების მუდმივ დამოუკიდებლობას და სრულუფლებიანობას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საგარეო ურთიერთობაში, განურჩევლად მისი ფაქტიური მდგომარეობისა და ადგილისა სახელმწიფოთა სისტემაში¹⁰.

⁴ Журн. «Советское государство» № 2, 1938 г., стр. 75.

⁵ М. Строгович. Логика, стр. 225, изд. 1946 г.

⁶ В. Дорогин. Суверенитет в Советском государственном праве. М., 1948 г. стр. 40.

⁷ С. Якубовски. Стронительство союзного Советского Социалистического государства, изд-во АН СССР, 1960, стр. 30.

⁸ И. Левин. Принципы суверенитета в Советском и международном праве, 1947 г., стр. 3, 5.

⁹ И. Левин. «О сущности и значении принципа суверенитета». Журн. «Советское государство и право» № 6, 1949 г.

¹⁰ გრ. ერემოვი — საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები. თბილისი, 1960 წ., გვ. 68.



სახელმწიფო სუვერენიტეტი ხასიათდება შემდეგი სამი განსაკუთრებული ნიშნით: სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესობა, ერთიანობა და დამოუკიდებლობა¹¹.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესობა იმაში გამოიხატება, რომ სახელმწიფო ხელისუფლება განსაზღვრავს მოცემულ სახელმწიფოში სამართლებრივ ურთიერთობათა მთელ წყობას. ადგენს საერთო მართლწესრიგს, განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა უფლებაუნარიანობას. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესობა ყველაზე სრულ გამოხატულებას პოულობს უმაღლეს ორგანოთა მიერ მიღებულ კონსტიტუციასა და სხვა კანონებში.

სახელმწიფო ხელისუფლების ერთიანობა განისაზღვრება მისი ერთიანი კლასობრივი არსით, რაც გამოხატულებას პოულობს საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ საფუძველში. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები — საბჭოები თავიანთი საქმიანობით ახორციელებენ მთელი საბჭოთა ხალხის ნებას.

სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებლობა გულისხმობს დამოუკიდებლობასა და ხელშეუხებლობას სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში.

სსრ კავშირში სახელმწიფო სუვერენიტეტი ეყრდნობა სოციალისტური სახელმწიფოებრივ წყობილებას. სუვერენიტეტი საბჭოთა სახელმწიფოში წარმოუდგენელია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის, საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობისა, საბჭოთა ხალხების ერთიანობის გარეშე.

საბჭოთა სუვერენიტეტის დაცვა სხვადასხვა ფორმებით ხორციელდება: სამხედროს — ახორციელებენ საბჭოთა შეიარაღებული ძალები, დიპლომატიურს — საბჭოთა მთავრობა და საგარეო საქმეთა სამინისტრო, ეკონომიურს — საბჭოთა მთავრობა და საგარეო ვაჭრობის სამინისტრო. სუვერენიტეტის დაცვის განსაკუთრებულ ფორმად გვევლინება ისეთი ორგანოების საქმიანობა, როგორცაა: სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, სასამართლო და პროკურატურა. უმაღლესი საბჭოს კანონები და სხვა სახელმწიფო ორგანოთა ნორმატიული აქტები ემსახურებიან სუვერენიტეტის დაცვას. სახელმწიფო სუვერენიტეტის მთავარი დამცველი მთელი საბჭოთა ხალხია. საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომით იქმნება ყველა მატერიალური ფასეულობა, რაც აუცილებელია დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ამგვარად ხალხი უწინარეს ყოვლისა ეკონომიური ფორმით ახორციელებს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვას.

სსრ კავშირის სუვერენიტეტის ხასიათი განისაზღვრება სსრ კავშირის ფედერაციული ბუნებით. სუვერენულ სახელმწიფოს წარმოადგენს არა მარტო სსრ კავშირი მთლიანობაში, არამედ მასში შემავალი ყველა მოკავშირე რესპუბლიკა. ამასთან სსრ კავშირის სახელმწიფო სუვერენიტეტი კი არ უპირისპირდება მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტს, არამედ ჰარმონიულად ერწყმის მას.

სსრ კავშირის უმაღლესობაში შემავალი მოკავშირე რესპუბლიკა, რო-

¹¹ В. Дорогин. Суверенитет в Советском государственном праве, М., 1948 г., стр.

გორც სუვერენული სახელმწიფო, ფლობს მთელ რიგ სუვერენულ უფლებებს, რომლებიც ფიქსირებულია როგორც სსრ კავშირის, ისე ამ მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციაში. სსრ კავშირის შემადგენლობაში გაერთიანებისას მოკავშირე რესპუბლიკები განსაზღვრულ უფლებებს უთმობენ საკავშირო სახელმწიფოს. მართალია, ეს დათმობა წარმოადგენს მათი უფლებების ერთგვარ შეკვეცას, მაგრამ ეს არ არის იძულებითი ხასიათის. ამ შეზღუდვას იღებს თვით რესპუბლიკა. მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტი შეზღუდულია მხოლოდ სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლით. ამ ფარგლებს გარეთ თვითეული მოკავშირე რესპუბლიკა სახელმწიფო ძალაუფლებას დამოუკიდებლად ახორციელებს. სსრ კავშირი იცავს მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებს.


ჩვენი სტატიის მიზანია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მავალითზე ვუჩვენოთ, რომ მოკავშირე რესპუბლიკა სუვერენური სახელმწიფოა. ჩვენ განვიხილავთ საქართველოს სს რესპუბლიკის მხოლოდ იმ უფლებებს, რომლებიც სუვერენიტეტის საკითხს უკავშირდება.

მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენული უფლების გარანტიას წარმოადგენს ის, რომ თვითეულ მოკავშირე რესპუბლიკას აქვს თავისი კონსტიტუცია — ძირითადი კანონი. სუვერენიტეტის გამოვლინებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ კონსტიტუციას იღებს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო — უმაღლესი საბჭო და შემდგომ იგი არ საჭიროებს დამტკიცებას სხვა რომელიმე ორგანოს მიერ, მათ შორის რომელიმე საკავშირო ორგანოს მიერ.

სსრ კავშირის კონსტიტუციით საკავშირო უმაღლეს საბჭოს აქვს უფლება საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მიიღოს ახალი მოკავშირე რესპუბლიკა. ეს უფლება თავის დროზე გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებაში სსრ კავშირის შექმნის შესახებ. ამ უფლების საფუძველზე სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი მოკავშირე რესპუბლიკების რაოდენობა 4-დან გაიზარდა 15-მდე. მოკავშირე რესპუბლიკების რაოდენობის ზრდა მოხდა ხალხთა სურვილის თავისუფალი გამოხატულებისა და ნებაყოფლობის საფუძველზე.

მოკავშირე რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანება წარმოადგენს კონსტიტუციურ, სამართლებრივ ნორმას. აქედან გამომდინარეობს კავშირის ვალდებულება თვალყური ადევნოს მის შესრულებას კავშირის შემადგენლობაში რესპუბლიკების შესვლის შემდეგაც. კავშირის მიერ ამ ვალდებულების შესრულებაზე მეტყველებს მოკავშირე რესპუბლიკებისათვის გარანტირებული სუვერენული უფლება — უფლება სსრ კავშირის შემადგენლობიდან თავისუფალი გასვლისა (სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-17 მუხლი). საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-15 მუხლში ჩაწერილია: „საქართველოს სსრ ინარჩუნებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან თავისუფლად გამოსვლის უფლებას“. ეს უფლება შეზღუდული არ არის არავითარი ვადით და პირობებით. კავშირს არ შეუძლია წინ აღუდგეს მის განხორციელებას. ეს უფლება წარმოადგენს მოკავშირე რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ელემენტს.

სსრ კავშირის არსებობის მანძილზე არც ერთ მოკავშირე რესპუბლიკას არ უცდია ამ უფლების გამოყენება. სწორედ ამიტომ იყო, რომ საბჭოების საგანგებო მერვე ყრილობაზე კონსტიტუციის პროექტის განხილვისას მე-17 მუხლის შესახებ ი. ბ. სტალინმა აღნიშნა: „ამბობენ, რომ სსრ კავშირი არ



არის არც ერთი რესპუბლიკა, რომელსაც სურდეს სსრ კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლა, რომ ამის გამო მე-17 მუხლს არა აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა, რომ ჩვენთან არ არის არც ერთი რესპუბლიკა, რომელსაც სურდეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლა. ეს, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ აქედან არ გამოდის ის, რომ ჩვენ კონსტიტუციაში არ შევიტანოთ მოკავშირე რესპუბლიკის უფლება — სსრ კავშირიდან თავისუფალი გამოსვლის უფლება¹².

კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება დამახასიათებელია მხოლოდ სოციალისტური ტიპის ფედერაციისათვის. ასეთ უფლებას არც ფორმალურად და არც ფაქტიურად არა აქვს ადგილი ბურჟუაზიულ ფედერაციაში, ვინაიდან ისინი გამოდიან სახელმწიფო ტერიტორიის „განუყოფლობის“ პრინციპებიდან¹³. შევიცაიროში, როცა 22-დან 7 კანტონმა შეკრეს ე. წ. „ზონდენრბუნდის“ კავშირი და ისურვეს ფედერაციიდან გამოსვლა, საკავშირო ხელისუფლებამ სამხედრო ძალით გაანადგურა „მეამბოხეები“. 1861 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთის პლანტატორთა შტატების ცდამ კავშირიდან გასვლისა, გამოიწვია სამოქალაქო ომი, რომელიც სამხრეთის შტატების დამარცხებით დამთავრდა.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-16 მუხლით „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე“.

მოკავშირე რესპუბლიკის ეს უფლება ფიქსირებულ იქნა ჯერ კიდევ სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციის მე-6 მუხლში და შემდგომ 1936 წლის კონსტიტუციის მე-18 მუხლში.

მოკავშირე რესპუბლიკის საზღვრების შეცვლა ხდება რესპუბლიკასთან შეთანხმებით და საბოლოოდ მას ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო. როცა ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკა ახორციელებს მსხვილ სამეურნეო ღონისძიებას, რომელიც უშუალოდ ეხება სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიულ ინტერესებს, ასეთი საკითხი მასთან უნდა შეთანხმდეს. მაგალითად, უზბეკეთის სსრ-ში დიდი ფერგანის არხის მშენებლობის ნაწილს უნდა გაეწოდო ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე. უზბეკეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ თხოვნით მიმართეს ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის რესპუბლიკებს — გამოეყოთ მათთვის არხის მშენებლობისათვის საჭირო ზოლი. ეს თხოვნა ორივე რესპუბლიკამ დააკმაყოფილა¹⁴.

მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიის ცვლილებასთან დაკავშირებული აგრეთვე ისეთი ცვლილებები სსრ კავშირის სახელმწიფო წყობილებაში, როგორცაა ავტონომიური რესპუბლიკის გადასვლა ერთი მოკავშირე რესპუბლიკიდან მეორეში (მაგ., 1936 წელს ყარა-ყალფაკეთის ასსრ რსფსრ-ის შემადგენლობიდან გადავიდა უზბეკეთის სსრ-ის შემადგენლობაში) და ავტონომიური რესპუბლიკის გარდაქმნა მოკავშირე რესპუბლიკად.

სსრ კავშირის ტერიტორია შედგება მოკავშირე რესპუბლიკების ტერი-

¹² ი. Сталин. Вопросы ленинизма, изд. II, стр. 527.

¹³ იხ. Д. Брайс. Американская республика, т. I, II, М., 1890 г.

¹⁴ იხ. გაზეთი «Правда востока» (Ташкент) от 10 июня 1939 г. №131.

ტორიისაგან და იგი ერთიანია. ეს განპირობებულია რესპუბლიკათა ნებაყოფლობითი გაერთიანებით და სსრ კავშირის საზოგადოებრივი წყობილების პრინციპების ერთიანობით. ტერიტორიის იურიდიული მნიშვნელობა არ შემოიფარგლება იმით, რომ იგი წარმოადგენს მოცემული სახელმწიფოს ხელისუფლების სივრცობრივ ზღვარს, არამედ ტერიტორია ნებისმიერ სახელმწიფოში გამოდის, როგორც მისი სუვერენიტეტის ერთ-ერთი საფუძველი. სოციალისტური სახელმწიფოს ტერიტორიული უმაღლესობა ეს არის სახელმწიფო უმაღლესობის ორგანული ნაწილი, საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო სუვერენიტეტის ერთ-ერთი არსებითი ნიშანი. ცხადია, რომ კაპიტალისტურ გარემოცვაში მყოფი საბჭოთა კავშირისათვის საბჭოთა ტერიტორიის დაცვის ფუნქციას გარეშე თავდასხმისაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა ტერიტორიის დამოკიდებულებას და ხელშეუხებლობას იცავს ერთიანი საკავშირო სახელმწიფო.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 21-ე მუხლით სსრ კავშირის მოქალაქეთათვის წესდება ერთიანი საკავშირო მოქალაქეობა. მოკავშირე რესპუბლიკის თვითეული მოქალაქე არის სსრ კავშირის მოქალაქე. ამის შესაბამისად საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-18 მუხლში ჩაწერილია: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქე არის სსრ კავშირის მოქალაქე.“

ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სარგებლობს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქის თანაბარი უფლებებით“.

როგორც ვხედავთ, ამ მუხლის მეორე ნაწილით ნებისმიერი მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარგებლობს ყველა უფლებით, მათ რიცხვში ჩვენი რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებით. პრაქტიკულად ასეთი წესი დადგინდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში სსრ კავშირის შექმნის მომენტიდან და შემდგომი ასახვა ჰპოვა მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებში.

მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეობა წარმოადგენს სახელმწიფო სუვერენიტეტის ერთ-ერთ გამოხატულებას, რადგან წარმოუდგენელია სუვერენული სახელმწიფოს არსებობა მისი საკუთარი მოქალაქეების გარეშე. ამასთან ერთად იგი წარმოადგენს სსრ კავშირის შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის დამატებით საგარანტიო უფლებას, რადგან გასვლის შემთხვევაში დამოუკიდებელი სახელმწიფო არსებობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს საკუთარი მოსახლეობის შენარჩუნება.

რესპუბლიკური მოქალაქეობის იურიდიული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი გამოხატავს მოქალაქის სამართლებრივ კავშირს განსაზღვრულ მოკავშირე რესპუბლიკასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ მოკავშირე რესპუბლიკის თვითეულ მოქალაქეს აქვს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებით და კანონებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი.

სსრ კავშირში მოქალაქეობის საკითხი რეგულირდება 1938 წლის აგვისტოს კანონით „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“. ამ კანონის მე-3 მუხლით სსრ კავშირის მოქალაქედ მიღების საკითხს წყვეტს როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ისე მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმიც. სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გასვლის ან გარიცხ-

ვის საკითხის გადაწყვეტის უფლებით კი სარგებლობს მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

1944 წლის 1 თებერვალს სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-10 სესიაზე მიღებული კანონით მოკავშირე რესპუბლიკებს მიეცათ უფლება უშუალოდ დაემყარებინათ ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან. ამ კანონმა ასახვა ჰპოვა მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებშიც. საქართველოს სსრ კონსტიტუციაში გაჩნდა ახალი, მე-16-ა მუხლი, რომლის ძალით „საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას უფლება აქვს დაამყაროს უშუალო ურთიერთობა უცხოეთის სახელმწიფოებთან, დადოს მათთან შეთანხმებანი და გაცვალოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლები“.

საბჭოთა კავშირი, მთლიანად კავშირის სახელით ინარჩუნებს რა საერთაშორისო ურთიერთობაში წარმომადგენლობითობის უფლებას, საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებისა და რატიფიკაციის უფლებას, ამასთან ერთად ადგენს მოკავშირე რესპუბლიკათა საგარეო ურთიერთობის ზოგად წესს. საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან. მოკავშირე რესპუბლიკების საერთაშორისო ურთიერთობისა და წარმომადგენლობის კონკრეტული საკითხები უშუალოდ წყდება მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ. ცხადია, რომ მოკავშირე რესპუბლიკები საგარეო ურთიერთობებში ხელმძღვანელობენ საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მდგომი საერთო პრინციპებით და ამოცანებით. ამასთანავე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო თავის მხრივ იცავს და მხარს უჭერს ყოველი ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკის სპეციფიკურ ინტერესებს, საერთაშორისო არენაზე იცავს საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფო დამოუკიდებლობას. ამ უფლების მოკავშირე რესპუბლიკებისათვის მინიჭების შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ სსრ კავშირის საერთო-საკავშირო საგარეო საქმეთა სამინისტრო გარდაქმნა საკავშირო-რესპუბლიკური ტიპის სამინისტროდ.

მოკავშირე რესპუბლიკათა სრულუფლებიანობა საგარეო ურთიერთობაში გამოიხატება იმითაც, რომ მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერ საერთაშორისო კონფერენციებში და საერთაშორისო ორგანოებში ჰყავდეთ თავიანთი წარმომადგენლები¹⁵.

მოკავშირე რესპუბლიკების საერთაშორისო ურთიერთობაში მონაწილეობის უფლება დამახასიათებელია მხოლოდ სოციალისტური ტიპის ფედერაციისათვის. მართალია, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციით შტატებს საერთაშორისო ურთიერთობაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ, მაგრამ ეს კონსტიტუციური უფლება ფორმალურია, რადგან ამ უფლების რეალიზაციისათვის საჭიროა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის თანხმობა.

შვეიცარიის კანტონებს უფლება არა აქვთ პოლიტიკური ხასიათის შეთანხმებანი დადონ საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან. ცალკეულ შემთხვევაში მათ აქვთ უფლება შეთანხმებანი სხვა სახელმწიფოებთან დადონ ნაკლე-

¹⁵ აქ მხედველობაში გვაქვს უკრაინისა და ბელორუსიის მოკავშირე რესპუბლიკების მონაწილეობა „გაერთიანებული ერების“ ორგანიზაციაში.

ბად მნიშვნელოვან საკითხებზე, მაგალითად, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სამდინარო ნაოსნობის საკითხი.

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-10 სესიაზე მიღებული კანონით მოკავშირე რესპუბლიკებს უფლება მიენიჭათ ჰყავდეთ საჯარისო ფორმირებანი. საქართველოს სსრ მე-16-ბ მუხლით „საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ჰყავს თავისი რესპუბლიკური საჯარისო ფორმირებანი“.

სამხედრო საქმეში მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენული უფლების გაფართოება განპირობებული იყო სსრ კავშირის თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების ინტერესებით.

სსრ კავშირი, ინარჩუნებს რა თავის მხრივ სახელმწიფოს დაცვის ორგანიზაციას და შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობას, ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების საჯარისო ფორმირებათა ხელმძღვანელობის საერთო საფუძვლებს. ამის შესაბამისად ამავე სესიაზე სსრ კავშირის საერთო-საკავშირო თავდაცვის სამინისტრო გარდაიქმნა საკავშირო-რესპუბლიკური ტიპის სამინისტროდ.

მოკავშირე რესპუბლიკას უფლება აქვს მოითხოვოს რეფერენდუმის ჩატარება მთელი კავშირის მასშტაბით. ამის შესახებ სსრ კავშირის კონსტიტუციის 49-ე მუხლის „ე“ პუნქტში ნათქვამია: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი „ახდენს სრულიად სახალხო დაკითხვას (რეფერენდუმს) თავისი ინიციატივით ან ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის მოთხოვნით“.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 46-ე მუხლის ძალით მოკავშირე რესპუბლიკას უფლება აქვს მოითხოვოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიის ჩატარება.


მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ენად აღიარებულია მოკავშირე რესპუბლიკის ძირითადი ერის ენა და ამავე დროს ეროვნულ უმცირესობათათვის უზრუნველყოფილია დედაენის გამოყენება. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ეს სუვერენული უფლება ასახულია მისი კონსტიტუციის 156-ე მუხლში: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათათვის უზრუნველყოფილია უფლება თავისუფალი განვითარებისა და დედაენის ხმარებისა როგორც თავის კულტურულ, ისე სახელმწიფო დაწესებულებებში“. ასეთივე მუხლი აქვს კონსტიტუციაში სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას¹⁶. დანარჩენ მოკავშირე რესპუბლიკებს სახელმწიფო ენის შესახებ კონსტიტუციებში სპეციალური მუხლი არა აქვთ.

მოკავშირე რესპუბლიკებში, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესაბამისად, კანონები ქვეყნდება როგორც რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე, ისე რუსულ და რესპუბლიკაში შემავალი ავტონომიური ერთეულების ენებზე. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სასამართლო წარმოება მიმდინარეობს არა მართლ იმ ენებზე, რომლითაც კანონები ქვეყნდება, არამედ ეროვნებათა კომპაქტური ჯგუფების ენებზეც.

სსრ კავშირის ხალხთა ენების შემდგომ განვითარებაზე სკკპ პროგრამაში

¹⁶ იხ. სომხეთის სსრ კონსტიტუციის 119-ე მუხლი.



წერია: პარტიას მიაჩნია „შემდეგშიც უზრუნველყოს სსრ კავშირის ხალხთა ენების თავისუფალი განვითარება, სსრ კავშირის თვითეული მოქალაქისათვის სრული თავისუფლება ილაპარაკოს, აღზარდოს და ასწავლოს თავის შვილებს ყოველ ენაზე, არ დაუშვას არავითარი პრივილეგიები, შეზღუდვა ან იძულება ამა თუ იმ ენის ხმარებაში. ხალხები ს ძმური მეგობრობისა და ურთიერთნდობის პირობებში ეროვნული ენები ვითარდებიან თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთგამდიდრების საფუძველზე“¹⁷.

ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას აქვს თავისი სახელმწიფო გერბი და სახელმწიფო დროშა.

მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებათა ზრდა სსრ კავშირის შექმნის დღიდან დაიწყო და ეს პროცესი დღესაც გრძელდება. მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებული ზომები მიღებულ იქნა ბოლო წლებში და ისინი ცხოვრებაში გატარდა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კანონების, აგრეთვე სკკპ პარტიის ყრილობებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

სკკპ XXIV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „გასულ წლებში პარტიის ხელმძღვანელობით გადაიდგა ახალი ნაბიჯები ყოველი მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის ყოველმხრივი განვითარების გზაზე, ჩვენი ქვეყნის ერთა და ეროვნებათა შემდგომი თანდათანობითი დაახლოების გზაზე. ეს დაახლოება მიმდინარეობს ეროვნულ თავისებურებათა გულდაგულ გათვალისწინების, სოციალისტურ ეროვნულ კულტურათა განვითარების პირობებში. როგორც მთელი ჩვენი კავშირის საერთო ინტერესების, ისევე მასში შემავალი თვითეული რესპუბლიკის ინტერესების მუდმივი გათვალისწინება — ასეთია პარტიის პოლიტიკის არსი ამ საკითხში“¹⁸.

ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკებს უფლებები გაუფართოვდათ სახალხო მეურნეობის მართვის და დაგეგმვის, აგრეთვე კაპიტალური მშენებლობის დარგში, დაფინანსების, შრომის, ხელფასისა და საბიუჯეტო უფლებების დარგში, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასა და საკანონმდებლო საქმიანობაში.

მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოება ნაკარნახევი იყო იმით, რომ გაიზარდა მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიური განვითარების დონე, აღიზარდა და გამოიბრძმედა ახალი ეროვნული კადრები, მომწიფდა წარმოებისადმი უფრო ოპერატიული ხელმძღვანელობის პირობები, შეიქმნა წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის ახალი ბაზები ადგილობრივი რეზერვებიდან, საჭირო გახდა სახელმწიფო აპარატი კიდევ უფრო მეტად მიახლოებოდა პრაქტიკულ საქმიანობას, მატერიალური დოვლათის შემქმნელ ადამიანებს, მასებს¹⁹.

მნიშვნელოვნად გაუფართოვდა მოკავშირე რესპუბლიკათა უფლებები საკანონმდებლო სფეროშიც.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1957 წლის 11 თებერვალს მიიღო კანონი

¹⁷ სკკპ პროგრამა, თბილისი, 1967 წ. გვ. 131.

¹⁸ სკკპ XXIV ყრილობის მასალები. თბილისი, 1971 წ. გვ. 97.

¹⁹ ვ. ფარქოსაძე. მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო უფლებათა გაფართოება. ურბ. „საბჭოთა სამართალი“, 1958 წ., № 1.

„მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონმდებლობის, სა-
მოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების, მოკავ-
შირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“.

სსრ კავშირის გამგებლობაში დარჩა ამ დარგებში კანონმდებლობის სა-
ფუძვლების მიღება.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები
მართლმსაჯულების სფეროში. 1957 წლის 12 თებერვალს, სსრ კავშირის უმაღ-
ლესმა საბჭომ გააუქმა სატრანსპორტო სასამართლოები და მათი ფუნქციები
პოლიანად გადაეცა მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოებს. ამასთან და-
კავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 3 მარ-
ტის ბრძანებულებით სსრ კავშირის პროკურატურის სისტემაში გაუქმებულ
იქნა სატრანსპორტო პროკურატურა და მისი ფუნქციები გადაეცა მოკავშირე
რესპუბლიკების პროკურატურას.

1957 წლის 12 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო „დე-
ბულება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შესახებ“. ამ დებულებით
გაფართოებულია მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების
უფლებები სასამართლო ზედამხედველობის სფეროში, სსრ კავშირის უმაღ-
ლესი სასამართლოს ზედამხედველობითი ფუნქციის შეზღუდვის ხარჯზე. სისხ-
ლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეები უნდა დამთავრდეს
თვით მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო ორგანოებში. სსრ კავშირის
უმაღლეს სასამართლოში, მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს
განაჩენი, გადაწყვეტილება და დადგენილება ზედამხედველობის წესით შე-
იძლება გასაჩივრდეს მხოლოდ ორ შემთხვევაში, როდესაც დარღვეულია
საერთო-საკავშირო კანონი ან როდესაც შელახულია რომელიმე მოკავშირე
რესპუბლიკის ინტერესები.

და, ბოლოს, გაფართოვდა მოკავშირე რესპუბლიკათა წარმომადგენლობა
სსრ კავშირის სახელმწიფო ორგანოებში. კერძოდ, მინისტრთა საბჭოში და
უმაღლეს სასამართლოში. მოკავშირე რესპუბლიკათა მონაწილეობა სსრ კავ-
შირის მინისტრთა საბჭოში და უმაღლეს სასამართლოში ნიშნავს მათი თანას-
წორუფლებიანობის გამოვლინებას და საშუალებას იძლევა გათვალისწინებული
იქნას მოკავშირე რესპუბლიკათა ეროვნული თავისებურებანი.

მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებას დიდი მნიშვნელობა
აქვს მოკავშირე რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარე-
ბისათვის და საბოლოო ანგარიშით სსრ კავშირის ეკონომიური ძლიერების გან-
მტკიცებისათვის.

მორალისა და სამართლის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი

პროფ. მ. ბაქრაძე

მორალი და სამართალი იდეოლოგიის სხვა ფორმებისაგან იმითაც გამოირჩევიან, რომ ისინი კლასთა ინტერესებს გარკვეული ნორმების ფორმაში განოხატავენ. მორალური და სამართლებრივი ნორმების შედარებითი ანალიზი კარგი მეთოდია მათი ბუნების გასარკვევად.

ცნობილია, რომ სამართლებრივ ნორმაში მის სამ შემადგენელ ნაწილს განასხვავებენ: ჰიპოთეზას, დისპოზიციას და სანქციას. ჰიპოთეზა ნიშნავს იმ პირობებზე მითითებას, რომლებშიც ნორმა გამოიყენება. დისპოზიცია წარმოადგენს თვითონ ქცევის წესის გადმოცემას, ხოლო სანქცია იმას გვეუბნება, თუ რა შედეგები მოჰყვება ნორმის დარღვევას.

შეიცავს თუ არა მორალური ნორმა იმას, რასაც იურისტები ჰიპოთეზას უწოდებენ? ერთი რამ უდავოა: გარკვეული ჰიპოთეზა მორალურ ნორმაში არ არის. არ არსებობს ისეთი მორალური ნორმა, რომელშიც ზუსტად იყოს მითითებული მისი გამოყენების პირობები, მაშინ როდესაც სამართლის კოდექსებში ბევრია ასეთი ნორმა.

მორალური ნორმა შეიცავს ჰიპოთეზას, ოღონდ ისეთს, რომელსაც სამართლის მეცნიერებაში შედარებით გარკვეული ჰიპოთეზა ჰქვია. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, შესაბამის ფაქტებზე მიუთითებს, მაგრამ სათანადო ორგანოებს უფლებას უტოვებს თვითონ განსაზღვრონ მისი გამოყენების მიზანშეწონილობა. მაგ. „მორალური ნორმა „გაჭირვებაში მეგობარს უნდა დაეხმაროს!“ მეგობრისადმი დახმარების მოთხოვნას უკავშირებს გარკვეულ სიტუაციას — გაჭირვებაში ყოფნას. მაგრამ ესა თუ ის სიტუაცია ასეთად ჩავთვალოთ თუ არა, ეს თვითეულმა ჩვენგანმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს. რა თქმა უნდა, ასეთ დროს ჩვენ ვხელმძღვანელობთ ტერმინების იმ მნიშვნელობით, რომელიც მათ მოიპოვეს მორალურ პრაქტიკაში, მაგრამ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ამ მნიშვნელობის შესატყვისი ვითარების განსაზღვრა ჩვენს მიერ ხდება.

ჰიპოთეზის გარეშე ნორმა, სამართლებრივი იქნება ეს თუ მორალური. ქცევის აბსტრაქტულ წესად იქცევა, რომელიც ამის გამო არც ერთ კონკრეტულ შემთხვევაში მოქმედი არ იქნება. მაგალითად, ჩვენ რომ მორალურ ნორმად გვეგულვა „არ იცრუო!“ და არ მიგვითითებინა, თუნდაც ზოგადად, იმ გარემოებაზე, რომელშიც ეს ნორმა გამოიყენება, მაშინ იგი ზოგიერთ შემთხვევაში ამორალურ ფუნქციას შეასრულებდა. (კარგად ცნობილი მაგალითი: ვუთხრათ თუ არა ავადმყოფს სიმართლე, თუ ეს გააუარესებს მის მდგომარეობას და ა. შ.).

მორალურ ნორმაში ჰიპოთეზა ჩვეულებრივ *explicite* გამოთქმული არ არის, მაგრამ ის მასში მაინც იგულისხმება. სამართლებრივ ნორმაში ჰიპოთეზა აუცილებლად არის მოცემული. ამასთან, სამართლებრივი ნორმის ჰიპოთეზა გაცილებით უფრო კონკრეტული და ზუსტია, ვიდრე მორალური ნორმისა. მარ-

თალია, ჰიპოთეზის თავისუფალი განმარტების შესაძლებლობას არც სამართლებრივი ნორმა გამორიცხავს, მაგრამ ეს განმარტება მორალური ნორმის შემთხვევაში ბევრად უფრო თავისუფალი შეიძლება იყოს.

სამართლებრივი ნორმის აუცილებელ და ძირითად ელემენტებს დისპოზიცია წარმოადგენს. სწორედ დისპოზიციაშია გადმოცემული ქცევის წესი ან ის მოთხოვნა, რომელსაც გაბატონებული კლასი აყენებს საზოგადოების წინაშე.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ დისპოზიცია არსებითია მორალური ნორმისთვისაც. ეს არის მისი ძირითადი ნაწილი. მოთხოვნა, რომელსაც აყენებს მორალური ნორმა, გამოხატავს ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ინტერესებს. კლასობრივი საზოგადოების მორალური ნორმა კლასის ინტერესების, მისი ნების გამოხატულებაა. განსხვავება სამართალსა და მორალს შორის ამ მხრივ იმაში მდგომარეობს, რომ სამართალში გამოხატულია კლასის სახელმწიფოებრივი ნება.

მორალური ნორმით გამოთქმული მოთხოვნა გაცილებით უფრო ფართო სფეროს შეეხება, ვიდრე ადამიანთა საქმიანობის ის მხარეებია, რომლებიც სამართლებრივ ნორმას აქვს მხედველობაში. ეს გასაგებიც არის. მორალური ურთიერთობები ბევრად უფრო მრავალმხრივი და რთული ურთიერთობებია, ვიდრე სამართლებრივი.

არის სამართლებრივი ნორმები ისეთი დისპოზიციით, რომელშიც მითითებულია იმ მოქმედების ნიშნები, რომელსაც ეს ნორმა უშვებს ან კრძალავს. ეს არის ე. წ. აღწერითი დისპოზიცია. მორალურ ნორმებში ასეთ დისპოზიციას თითქმის არ ვხვდებით. ასე, მაგ., ქურდობას კრძალავს იურიდიული ნორმაც და მორალური ნორმაც. მაგრამ იურიდიულ ნორმაში აღწერილია ქურდობის ძირითადი ნიშანი, როგორც არის მოქალაქეთა პირადი ქონების ფარულად გატაცება. მორალურ ნორმებში არ ვხვდებით ასეთ დისპოზიციებს. აქ მოქმედების კვალიფიკაციის შესაძლებლობა მეტისმეტად ფართოა.

მორალური ნორმა ჰგავს სამართლებრივ ნორმას არა აღწერითი დისპოზიციით, არამედ მარტივი დისპოზიციით. მარტივი დისპოზიცია ნიშნავს დაშვებული ან აკრძალული მოქმედების მითითებას, მითითებას და მეტს არაფერს. კანონმდებლები ასე ნორმას მაშინ აყალიბებენ, როდესაც გულისხმობენ, რომ შესაბამისი მოქმედება ყველასათვის ცნობილი და გასაგებია. სწვა შემთხვევებში კი ისინი აღწერით დისპოზიციას მიმართავენ. მორალური ნორმა — სულ ერთია საქმე შეეხება საყოველთაოდ ცნობილ მოქმედებას თუ ისეთს, რომლის აღწერაშიც მოსალოდნელია აზრთა სხვაობა, — მარტივი დისპოზიციით იფარგლება. გამონაკლისს შეადგენენ პრაქტიკული ეთიკის სისტემები, რომელთა ავტორებიც ხშირად ცდილობენ ამა თუ იმ მოქმედების არსებითი ნიშნები აღწერონ, რათა უფრო ნათელი გახადონ შესაბამისი ნორმით წარმოდგენილი მოთხოვნა.

სამართლებრივი ნორმის მესამე ელემენტი არის სანქცია. სამართლებრივ ნორმაში მითითებულია იძულების იმ ზომებზე, რომლებიც მიღებული იქნება სახელმწიფოს მიერ ნორმის დარღვევის შემთხვევაში. სახელმწიფოებრივი იძულება სამართლის ნორმის მოთხოვნის შესრულების გარანტიაა.

მართალია, მორალური ნორმის შესრულება სახელმწიფოებრივი ძალით არ არის უზრუნველყოფილი, მაგრამ ის მაინც საჭიროებს გარანტიას. სანქციის გარეშე ქცევის წესი ფიქციურია. ამიტომ მორალური ნორმა, რომელიც ადამიანთა ქცევას არეგულირებს, გარკვეულ სანქციას გულისხმობს. ეს არის სპე-


ციფიკური მორალური სანქცია. მისი ბუნება საგანგებო გამოკვლევას მოითხოვს. აქ მას მოკლედ შევხებით.

ამორალურ ქცევას, ე. ი. ისეთს, რომელიც მორალურ ნორმას არ შეესაბამება, ჰკიცხავს საზოგადოებრივი აზრი. საზოგადოებრივი აზრი, ამრიგად, იმ გარანტიად გვევლინება, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში უზრუნველყოფს მორალური იმპერატივის შესრულებას. რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი აზრი ისეთი ძალა არ არის, რომელიც მთლიანად აღკვეთდა მორალური ნორმების დარღვევას, მაგრამ არც სახელმწიფოებრივი ძალა არის ასეთი სამართლებრივი ნორმების შემთხვევაში.

საზოგადოებრივი აზრი გარეგან სანქციას წარმოადგენს. შეიძლება თქვან, რომ ასეთი, „გარედან“ მოტივირებული ქცევა ნამდვილად მორალური არ არის, რადგანაც ის იძულებას ემყარება და არა პიროვნების მორალურ შეგნებას. ჩვენ ასეთ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით. ჩვენთვის უდავოა, რომ ქცევის მორალური შეფასება მისი მოტივის მორალურ ღირებულებაზე არის დამოკიდებული. არც ის არის სადავო, რომ იძულებული ქცევა მორალურად ღირებულს არ წარმოადგემს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ საზოგადოებრივი აზრისათვის ანგარიშის გაწევა სრულიადაც არ არის ქცევის მორალური ღირებულებისათვის უცხო და გარეგანი. როდესაც პიროვნება ქცევის დროს ისეთ გარეგანს იღებს მხედველობაში, როგორც არის, მაგ., კარიერა ან რაიმე ანგარებასთან დაკავშირებული გარემოება, მაშინ ჩვენ საფუძველი გვაქვს უარყოფით ასეთი ქცევის მორალური ღირებულება. საზოგადოებრივი აზრი ასეთ გარემოებებს არ მიეკუთვნება. საზოგადოებრივი აზრი ისეთი სოციალური ფენომენია, რომლის ზეგავლენაც პიროვნების შეგნებაზე არ აუქმებს მისი ქცევის მორალურ ღირებულებას. თუ პიროვნება ქცევას იმის შიშით ასრულებს, რომ უამისოდ ის თავის ანგარებიდან მიზანს ვერ მიაღწევს, მაშინ უფლება გვაქვს უარყოფით მისი ქცევის მორალური ღირებულება. მაგრამ შეცდომა იქნებოდა საზოგადოებრივი აზრის წინაშე მოკრძალება ამგვარ შიშად ჩაგვეთვალა. უწევს რა ანგარიშს საზოგადოებრივ აზრს, პიროვნება ამით თავის მორალურ პოზიციას ადასტურებს და მორალურად ღირებულ ქცევას მიმართავს.

მაგრამ აქ ერთი გარემოება აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. კლასობრივ საზოგადოებაში არ არსებობს ერთიანი საზოგადოებრივი აზრი. ეს უკანასკნელი ისეთივე ანტაგონიზმით ხასიათდება, როგორც თვითონ კლასობრივი საზოგადოება. ამიტომ ერთი კლასის საზოგადოებრივი აზრი ვერ შეასრულებს, და არც ასრულებს, მორალური სანქციის როლს მეორე კლასის წარმომადგენლისათვის. შეგნებული პროლეტარი კაპიტალისტების წინააღმდეგ ეკონომიურ ბრძოლას პოლიტიკურ ბრძოლამდე განავითარებს და მორალური თვალსაზრისით უხერხულობას არ იგრძნობს იმის გამო, რომ გაბატონებული კლასის საზოგადოებრივი აზრი მას ამორალურად ჩათვლის და გაკიცხავს. სხვანაირად რომ ვთქვათ, კლასობრივ საზოგადოებაში გარეგანი მორალური სანქცია კლასობრივი მნიშვნელობის მქონეა — მორალური სუბიექტი აქ თავისი კლასის მორალურ შეხედულებებს უწევს ანგარიშს და სწორედ ამ პოზიციიდან გაკიცხვს აღიქვამს როგორც სასჯელს.

სულ სხვა ვითარება იქმნება სოციალისტურ საზოგადოებაში. აქ საზოგადოებრივი აზრი თავისუფალია კლასობრივი ანტაგონიზმისაგან და ისევე ერთიანია, როგორც თვით სოციალისტური საზოგადოება. ამიტომ ამ საზოგადოებაში მოქმედებს ერთი გარეგანი მორალური სანქცია — ერთი საზოგადოებრივი



აზრი, რომელიც საზოგადოების უდიდესი უმრავლესობის ინტერესებს გამოხატავს.

საზოგადოებრივი აზრი თავის გამოხატულებას პოულობს არა მარტო მორალში, არამედ სამართალშიც. ცხადია, სამართალში ის საკანონმდებლო აქტით არის დადგენილი. ის როგორც სანქცია, სამართალში არ მონაწილეობს, თუ მისი მოთხოვნა საკანონმდებლო ორგანოს მიერ არ არის იურიდიული ნორმის ელემენტად დაწესებული. ამიტომ არის, რომ საზოგადოებრივი აზრის ცვლილება თავისთავად აისახება მორალურ ნორმაში, მაშინ როდესაც, როგორც უნდა შეიცვალოს საზოგადოებრივი აზრი, სანამ საკანონმდებლო ორგანო არ დააკანონებს, მისი მოთხოვნა სამართლებრივ ნორმაში არ აისახება.

იურიდიული სანქციისა და მორალური სანქციის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ პირველი ზუსტად არის წინასწარ განსაზღვრული და დამნაშავე ამის მიხედვით ისჯება. მართალია, სისხლის სამართლის სფეროში, ვხვდებით არა მარტო აბსოლუტურად გარკვეულ სანქციებს, არამედ ისეთებსაც, რომელთა გარკვეულობაც შეფარდებითია (მითითებულია სასჯელის უმაღლესი და უდაბლესი საზღვრები), მაგრამ ეს შეფარდებობაც აქ ბევრად უფრო კონკრეტულია, ვიდრე მორალური სანქციების შემთხვევაში. მორალის სფეროში არ ვხვდებით წინასწარ დადგენილ, აბსოლუტურად ან შეფარდებითად განსაზღვრულ სანქციებს. აქ რაც წინასწარ შეიძლება ითქვას, ის არის, რომ საზოგადოებრივი აზრი ვაკიცხავს ასეთი და ასეთი ტიპის ქცევას, მაგრამ კონკრეტულად რა ხასიათის იქნება ეს სასჯელი, ეს წინასწარ დადგენილი არ არის. გამონაკლისს შეადგენენ იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ნორმები, რომლებსაც თავიანთი წესდება აქვთ და სანქციებსაც ასე თუ ისე ზუსტად განსაზღვრვენ.


მორალური ნორმების სპეციფიკა უმთავრესად და ყველაზე მეტად მათი შესრულების შინაგან გარანტიაში ჩანს. ეს არის სინდისი, ჩვენი შინაგანი მსახული. სინდისის ქენჯნა ის სასჯელია, რომელიც მორალური ნორმის დამრღვევისათვის არის განკუთვნილი. არავინ არ აწესებს ამ სასჯელის ხასიათს ან ზომებს, მაგრამ ის, როგორც სანქცია, განუყრელია მორალური ნორმისაგან, წარმოადგენს მისი შესრულების ყველაზე საიმედო გარანტიას.

და, ბოლოს, მოკლედ შევჩერდებით მორალური პასუხისმგებლობისა და იურიდიული პასუხისმგებლობის ურთიერთობაზე.

პასუხისმგებლობა, მორალური იქნება იგი თუ იურიდიული, თავისუფალ ნებისყოფას გულისხმობს. პასუხისმგებელი მხოლოდ პიროვნება შეიძლება იყოს, და ეს იმიტომ, რომ მას აქვს უნარი იმოქმედოს სხვაგვარად, ვიდრე იმოქმედა. ალტერნატიული მოქმედების შესაძლებლობა პიროვნებას არჩევანის წინაშე აყენებს. სადაც არჩევანი არ არის, იქ არც თავისუფალი ნებელობა, და პირიქით, ნებისყოფი თავისუფალი რომ არ იყოს, არც არჩევანზე ექნებოდა აზრი ლაპარაკს.

აღამიანს პასუხისმგებლობა ეკისრება იურიდიული და მორალური ნორმების დარღვევისათვის. მას შეეძლო ეს ნორმები არ დაერღვია და სწორედ ამიტომ არის, რომ ის პასუხისმგებელია. ცხოველს არა აქვს ნებისყოფა, ის არც აგებს პასუხს თავისი მოქმედებისათვის.

ეგზისტენციალიზმში პასუხისმგებლობის პრობლემა ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. მას ეგზისტენციალისტები ინდეტერმინიზმის თვალსაზრისით წყვეტენ. ისინი ფიქრობენ, რომ მიზეზობრიობისაგან დამოუკიდებელი ნებისყოფა



ხდის ადამიანს პასუხისმგებლად თავისი მოქმედებისათვის. სინამდვილეში კი, ასეთი ნებისყოფა არ არსებობს და არც აუცილებელია პასუხისმგებლობის დაფუძნებისათვის. დიალექტიკური მატერიალიზმის მოძღვრება თავისუფლებისა და აუცილებლობის შესახებ წარმოადგენს მორალური და იურიდიული პასუხისმგებლობის პრობლემის გადაწყვეტის თეორიულ საფუძველს.

პასუხისმგებლობისათვის საკმარისი არ არის, რომ ადამიანის მოქმედება თავისუფალი იყოს, ე. ი. მის ნებისყოფაზე იყოს დამოკიდებული. თუნდაც რომ მოქმედება განზრახვით განისაზღვრებოდეს, თუ ეს განსაზღვრა გარემოებებზე ერთმნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, უზარბადა იქნებოდა ადამიანისათვის პასუხი მოგვეთხოვა იმისათვის, რაც მან გააკეთა. ასეთ შემთხვევაში მან ხომ ის გააკეთა, რაც განიზრახა, და განიზრახა ის, რაც გარემოებებმა უკარნახეს. მაშასადამე, თვითონ განზრახვა უნდა იყოს სუბიექტზე დამოკიდებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ის თავისი მოქმედებისათვის პასუხს არ აგებს. სხვათაგან რომ ვთქვათ, პასუხისმგებლობის აუცილებელ პირობას შეადგენს ნებისყოფის თავისუფლება და არა მხოლოდ მოქმედების თავისუფლება. გასაგებია, რომ მოქმედების თავისუფლების გარეშე ნებისმიერი ქცევა შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ მხოლოდ თავისუფალი მოქმედება არც იმის მაჩვენებელია, რომ განზრახვა სუბიექტზეა დამოკიდებული, და არც იმისა, რომ მისგან დამოუკიდებელია.

იურიდიული პასუხისმგებლობაცა და მორალური პასუხისმგებლობაც ნორმების დარღვევასთან არის დაკავშირებული. ერთ შემთხვევაში საქმე შეეხება მორალურ ნორმებს, მეორეში — იურიდიულს. მოქმედება იურიდიული ფაქტი უნდა იყოს, რათა ის განისაზღვროს როგორც სამართლის შესაბამისი ან მისი დარღვევა. თუ ასეთსავე ტერმინს ეთიკაშიც ვიხმართ, შეიძლება ვთქვათ, რომ მორალური პასუხისმგებლობა მორალურ ფაქტებს გულისხმობს.

იურიდიული ფაქტი და მორალური ფაქტი არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ესა თუ ის ფაქტი (ცხოვრების ესა თუ ის ვითარება) იურიდიულ ფაქტად გახდება, თუ მას ასეთად ცნობს სახელმწიფო და ამას კანონში განამტკიცებს. და, პირიქით, იურიდიული ფაქტი მაშინვე დაკარგავს თავის იურიდიულ მნიშვნელობას, როგორც კი მას სახელმწიფოებრივი აღიარება ჩამოსცილდება. მორალურად ღირებული ქცევა, ე. ი. მორალური ფაქტი, საზოგადოებრივ აღიარებას ემყარება და არა სახელმწიფოებრივს. ამასთან, ერთი და იგივე ცხოვრებისეული ვითარება სამართლის თვალსაზრისით ერთმნიშვნელოვანი ფაქტია, მორალურ მიმართულებაში განხილული კი ის შეიძლება მრავალ მნიშვნელობას ატარებდეს და როგორც ფაქტი ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფების მიერ სრულიად განსხვავებულად აღიქმებოდეს.

სამართლის დარღვევისთვისაც და მორალური ნორმების დარღვევისთვისაც პიროვნებამ პასუხი უნდა აგოს, იურიდიული თუ მორალური სანქცია უნდა განხორციელდეს. ამაში მდგომარეობს მისი პასუხისმგებლობა. გასაგებია, რომ პასუხისმგებლობა არსებითად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ არის გაგებული ნორმების საწინააღმდეგო მოქმედება.

სამართლის დარღვევა მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის მოქმედება შეიძლება იყოს. ამიტომ პიროვნება პასუხისმგებელი არ არის თავისი აზრების ან გრძნობებისათვის. მას სამართალი არ დასჯის იმისათვის, რომ სამართლის საწინააღმდეგოდ იფიქრა ან მის მიმართ სიძულვილი იგრძნო. მაგრამ თუ ეს ფიქრი ან გრძნობა მის მოქმედებაში გამოვლინდა, მაშინ ის ამისათვის პასუხს აგებს.

საქართველოს
საზოგადოებრივი

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სამართალი დანაშაულის დადგენის დროს იფარგლება მოქმედებით, როგორც ფიზიკური მოცემულობით და მხედველობაში არ იღებს ადამიანის ცნობიერებას. იურიდიული პასუხისმგებლობა გულისხმობს არა მარტო სამართლის დარღვევის ობიექტურ მხარეს (სამართლის საწინააღმდეგო მოქმედება ან უმოქმედობა, საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის ზიანის მიყენება, მიზეზობრივი კავშირი სამართლის საწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის), არამედ სუბიექტურსაც — ბრალს. ბრალის გარეშე არ არის დანაშაული და, მაშასადამე, არ არის არც პასუხისმგებლობა. ბრალთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც კანონს ვინმე არღვევს განზრახვით ან გაუფრთხილებლობით. დამნაშავე არის სუბიექტი, რომელმაც განიზრახა კანონში გამოხატული და განმტკიცებული ინტერესებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების ხელყოფა. მან გაითვალისწინა, ან შეეძლო გაეთვალისწინებინა, თავისი მოქმედების სოციალური შედეგები. სამართლის დარღვევა ამ ორი მხარის — სუბიექტურის და ობიექტურის ერთიანობაა და პასუხისმგებლობაც ამის მიხედვით განისაზღვრება.

რა როლს ასრულებენ მოტივები იურიდიული პასუხისმგებლობის განსაზღვრაში? სამართალში უდავოდ ითვლება, რომ თუ ადამიანის მოქმედება იურიდიულ კანონს არ ეწინააღმდეგება, მაშინ რა მოტივებითაც უნდა მოქმედებდეს იგი, პასუხს არ აგებს. ერთ რამეს მივაქციოთ ყურადღება: ლაპარაკია მოტივებზე და არა განზრახვაზე. ამ უკანასკნელის როლი იურიდიული პასუხისმგებლობის განსაზღვრაში საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ ასევე არ ითქმის მოტივების შესახებაც. ხშირად იმას ამტკიცებენ, რომ იურიდიული პასუხისმგებლობის განსაზღვრის დროს მხედველობაში მისაღებია განზრახვა და არა მოტივები, ეს იმ აზრით კი არა, თითქოს სამართლებრივ განსჯას დაქვემდებარებული მოქმედება მოტივირებული არ იყოს. ასეთი მოქმედება ნებისმიერი არც იქნებოდა და მისი სუბიექტი ვერც პასუხისმგებლობას იკისრებდა. საქმე შეეხება თვითონ მოტივის, როგორც ასეთის, როლს მოქმედების შეფასებაში, ე. ი. პასუხისმგებლობის განსაზღვრაში.

ზოგიერთი თანამედროვე ბურჟუაზიული ეთიკოსი არ იზიარებს იმ შეხედულებას, რომ სამართლისათვის მოტივებს არა აქვს მნიშვნელობა. მაგ., ზ. ბრანდტი ამტკიცებს, რომ პრაქტიკულად კანონი მოტივებს უწევს ანგარიშს, როდესაც პიროვნების ამა თუ იმ აქტს დანაშაულად თვლის. პიროვნება განზრახვით ახორციელებს აკრძალულ აქტს, ის გვიჩვენებს, რომ მას არ ჰქონდა ამ აქტის თავიდან აცილების მოტივები. აი ეს ფაქტი მიიღება მხედველობაში, როდესაც პიროვნებას ბრალი ედება¹.

საეჭვოა ამგვარი მოსაზრება იმას ამტკიცებდეს, რაც მის ავტორს სურს. ამ შემთხვევაშიც გამოდის, რომ სათანადო განზრახვის უქონლობა ყოფილა დამადასტურებელი სამართლის დარღვევისა, მაგრამ ის არ ამტკიცებს, თითქოს დანაშაული მოტივებზე მითითებით განისაზღვრებოდეს. სხვა საქმეა, რომ სამართლო პრაქტიკაში, და ისიც უფარდებით გარკვეული სანქციების გამოყენების დროს, მოსამართლემ თავისი მართლშეგნების მიხედვით შეიძლება გაითვალისწინოს დამნაშავის მოტივები, მაგრამ ეს მაინც იმის საბუთად არ გამოდგება, რომ მოტივები იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძვლად ვიგულებოთ.

¹ R. Brandt. Ethical Theory, p. 242.

არც მ. კარევა უნდა იყოს მართალი, როდესაც იურიდიული პასუხისმგებლობის აუცილებელ პირობად მოტივების დადგენას თვლის.

მისი არგუმენტი ასეთია:

ასეთია: «В советском социалистическом праве уголовная ответственность предусмотрена только в случаях наличия субъективной вины, а для выяснения ее наличия или отсутствия, решающее значение имеют мотивы действий, являющиеся предметом рассмотрения суда»².

რაც შეეხება მ. კარევას იმ მოსაზრებას, რომ მოტივების გათვალისწინების გარეშე სუბიექტური ბრალი შეუძლებელი იქნებაო, არც ეს არგუმენტი გამოიყურება დამაჯერებლად. იმის დასადგენად, რასაც იურისტები სუბიექტურ ბრალს უწოდებენ, საკმარისია ის გაირკვეს, სუბიექტი მოქმედებდა თუ არა განზრახვით ან გაუფრთხილებლობით. როგორი იყო ამ განზრახვის მოტივები — ამის მიხედვით კანონმდებლობა პასუხისმგებლობას არ განსაზღვრავს.

მორალურ მოტივს გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მორალური ღირებულებისა და, მაშასადამე, პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვისაც. ეს მორალური პასუხისმგებლობის სპეციფიკური ნიშანია. ამ ნიშნით იგი არსებითად განსხვავდება იურიდიული პასუხისმგებლობისაგან.

ქცევა არ შეიძლება მორალურად ჩაითვალოს, თუ მისი მოტივი მორალურ ღირებულებას მოკლებულია. ჯ. სტ. მილი მართალი არ იყო, როდესაც უარყოფდა მოტივის შეფასების მნიშვნელობას ქცევის შეფასებისათვის. მილი ფიქრობდა, რომ მოტივის ღირებულებაზე პიროვნების შეფასება არის დამოკიდებული და არა ქცევისა. მის მიხედვით გამოდის, რომ ცუდი მოტივებით ჩადენილი ქცევა შეიძლება კარგი იყო. ზმ შემთხვევაში უარყოფით შეფასებას მხოლოდ სუბიექტი დომინირებდა. მის ქცევაზე კი უნდა გვეთქვა, რომ ის კარგია, ვინაიდან მისი შედეგები საზოგადოებრივად სასარგებლოა და ა. შ. მორალური ქცევისა და მისი სუბიექტის ასეთი გამიჯვნა ჩვენ არასწორი ვგვონია. ქცევის მორალური ღირებულება მხოლოდ შედეგით ან ნორმასთან შესაბამისობით რომ განისაზღვრებოდეს, მორალი დაკარგავდა შინაგანობის იმ ნიშანს, რითაც იგი ასე აშკარად გამოირჩევა სხვა სოციალური ფენომენებისაგან.

ქცევის მორალურობის განსაზღვრაში გადაწყვეტ როლს, როგორც ითქვა, მოტივი ასრულებს. თუ ქცევის მოტივი ამორალურია, სუბიექტს პასუხისმგებლობა ეკისრება. აქ აშკარად ჩანს მორალისა და სამართლის არსებითი განსხვავება: იურიდიული სუბიექტი პასუხისმგებელი არ არის ქცევისათვის, რომელიც სამართლის დარღვევას არ წარმოადგენს. სულ სხვაა მორალური სუბიექტი. ქცევა შეიძლება არც ერთ მორალურ ნორმას არ ეწინააღმდეგებოდეს, მაგრამ მისი სუბიექტი მაინც პასუხისმგებელი იყოს იმ მოტივისათვის, რომელიც მორალურ მოწონებას არ იმსახურებს.


იურიდიული პასუხისმგებლობის დროს სამართლის დარღვევის მიმართ იურიდიული სანქციები გამოიყენება. ეს იმას ნიშნავს, რომ დამნაშავეს სახელმწიფო აიძულებს შეასრულოს სამართლის მოთხოვნები, ან სჯის მას მათი შესრულებლობისათვის, ან ხდება დარღვეული სამართლის იძულებითი აღდგე-

² იხ. М. П. Карева. Право и нравственность в социалистическом обществе. М., 1951, стр. 124

ნა. ყველა შემთხვევაში იურიდიული პასუხისმგებლობა ნიშნავს სახელმწიფოებრივ იძულებას. შინაარსის მიხედვით ეს ყოველთვის ასეთია.

ერთ მომენტს საგანგებოდ უნდა მივაქციოთ ყურადღება. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ იურიდიული მოვალეობის შესრულება ნებაყოფლობით ხდებოდეს, ხოლო იურიდიული სანქცია საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გამოიყენებოდეს და არა სახელმწიფო ორგანოების მიერ. მაგრამ თუ იურიდიული სანქცია გამოიყენება, ვინც უნდა აკეთებდეს ამას, იურიდიულ პასუხისმგებლობასთან გვაქვს საქმე. მორალური პასუხისმგებლობის სპეციფიკა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მისი სანქციების რეალიზაცია საზოგადოებრივ ხასიათს ატარებს, არამედ იმაში, რომ ის შინაარსობრივად არ წარმოადგენს სახელმწიფოებრივ იძულებას.

მეორე მხრივ, ისეთი ვითარება, როდესაც საბჭოთა სამართლის ნორმებს ჩვენი საზოგადოების წევრთა უმრავლესობა ნებაყოფლობით ასრულებს, ხოლო იურიდიული სანქციები საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერაც გამოიყენება, იმას ადასტურებს, რომ ჩვენი სახელმწიფო კომუნისტური თვითმმართველობისაკენ ვითარდება, ხოლო იურიდიულმა პასუხისმგებლობამ მომავალში მთლიანად უნდა დაუთმოს ადგილი მორალურ პასუხისმგებლობას.



საუწყებო ბინებიდან მოქალაქეთა გამოსახლები ს განსაკუთრებული შემთხვევები

ა. კობახიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საუწყებო ბინებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენი ქვეყნის საბინაო ფონდში. კომუნალური ფონდისაგან განსხვავებით საუწყებო ფონდის ბინებს მიზნობრივი ხასიათი აქვთ. ისინი გამოიყენებიან იმ მუშა-მოსამსახურეთა საბინაო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რომლებსაც შესაბამის უწყებასთან აკავშირებთ შრომითი საქმიანობა. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში თანდათან წაიშალა სხვაობა კომუნალური და საუწყებო ბინების სამართლებრივ რეჟიმში, ჯერ კიდევ არის ერთგვარი თავისებურება. მაგალითად, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 310-ე მუხლის მიხედვით კომუნალური ბინის დამქირავებელს, რომელსაც ზედმეტი იზოლირებული ოთახი აღმოაჩნდება, უფლება აქვს საბინაო ორგანოს გაფრთხილებიდან სამი თვის განმავლობაში ჩასახლოს ამ ოთახში სხვა პირი. საუწყებო ბინების დამქირავებლები კი ასეთი უფლებით არ სარგებლობენ.

გარდა ამისა, თავის მხრივ, თვით საუწყებო საბინაო ფონდიც არაერთგვაროვანია. ამ ფონდიდან გამოიყოფა სპეციალური ნაწილი სახალხო მეურნეობისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დარგების საცხოვრებელი სახლების სახით, რომელთა იურიდიული რეჟიმი თავისებურებებით ხასიათდება. ამ სახლებში მცხოვრებ დამქირავებელთა საბინაო უფლებები კომუნალური და საუწყებო ფონდის სხვა ბინებში მცხოვრებ პირებთან შედარებით ერთგვარად შეზღუდულია და ხასიათდება თავისებური მიზნობრივი პირობების დაწესებით, რომელთა დარღვევა იწვევს ბინიდან მათ გამოსახლებას სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად.

ასეთი განსაკუთრებული გამონაკლისი ნაკარნახევია იმით, რომ სახალხო მეურნეობისათვის უაღრესად მნიშვნელოვან დარგებში მეტი სტიმული მიეცეს ახალგაზრდა მუშებისა და მოსამსახურეების მიზიდვას, უკეთესი პირობები შეიქმნას მათი საბინაო-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და არ იყოს კადრების დენადობა. საბოლოო ჯამში, ეს ხელს უწყობს შრომის დისციპლინის განმტკიცებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და წარმოების კულტურის ზრდას.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62-ე მუხლისა და მის შესაბამისად საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის თანახმად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლიათ დაადგინონ სახალხო მეურნეობის იმ უმნიშვნელოვანესი დარგების საწარმოთა და დაწესებულებათა და ცალკეულ უწყებათა სიები, რომელთა სახლებიდან დასაშვებია მუშა-მოსამსახურეთა სასამართლო წესით გამოსახლება საცხოვრებელი ფარ-

თობის მიუცემლად, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა ბინის მიმცემ ორგანიზაციასთან პირადი სურვილით, შრომის დისციპლინის დარღვევის ან დანაშაულის ჩადენისათვის. მაგრამ საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად ამ შემთხვევაშიც არ შეიძლება გამოსახლებული იქნან ომის ინვალიდები, შრომის პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები, პერსონალური და მოხუცებულობით პენსიონერები, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამსახურში მყოფ პირთა ოჯახები, აგრეთვე იმ სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთა ოჯახები, რომლებიც დაიღუპნენ ან უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ სსრ კავშირის დაცვის დროს ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას.

აღნიშნული ნორმის გამოყენება პრაქტიკაში წარმოშობს ბევრ თავისებურებას, რომლებიც საფუძვლიან გარკვევასა და კვალიფიციურ გადაწყვეტას მოითხოვს. ამიტომ დასახლებული საფუძვლით სასამართლოების მიერ ბინიდან დამქირავებელთა გამოსახლებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს არაერთ საკითხზე, რომელთა კომპლექსური ანალიზის გარეშეც არ შეიძლება გადაწყვიტოს სასამართლო დავა. ასეთი კატეგორიის საქმეთა განხილვისას სასამართლომ, სახელდობრ, უნდა გაარკვიოს შემდეგი საკითხები: 1. შეტანილია თუ არა ორგანიზაცია მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ სიაში; 2. ეკუთვნის თუ არა მოსარჩელეს სახლი, რომელშიც მოპასუხე ცხოვრობს, ე. ი. არის თუ არა ის მის ოპერატიულ-სამეურნეო მმართველობაში, იმყოფება თუ არა მის ბალანსზე; 3. რა საფუძვლით აქვს მოპასუხეს მიღებული სადავო ბინა; 4. რა საფუძვლით შეწყდა შრომითი ურთიერთობა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის; 5. ვინ არიან გამოსასახლებელი პირები.

1. პირველ ყოვლისა ორგანიზაცია, რომელიც აყენებს საკითხს ამ საფუძვლით დამქირავებლის გამოსახლების შესახებ, შეტანილი უნდა იყოს სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ სიაში. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დაამტკიცა იმ საწარმოებისა და დაწესებულებების სია, რომელთა სახლებიდანაც შეიძლება გამოსახლება საფუძვლების 62-ე მუხლის შესაბამისად, იმ დროისათვის ეს სია მოიცავდა 66 ორგანიზაციას. შემდგომ ასეთი ორგანიზაციების რიცხვი გაიზარდა და 1971 წლის ბოლოსათვის 121-ს შეადგენდა.

საფუძვლების 62-ე მუხლის გამოყენების პრაქტიკის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 18 მარტის № 5 დადგენილების მე-2 მუხლში ნათქვამია, რომ ამ მუხლით დადგენილი პირობები ამომწურავია და განგრცობით ახსნა-განმარტებას არ ექვემდებარება. მაშასადამე, ორგანიზაცია, რომელიც ამ სიაში არ არის შეტანილი, უფლებამოსილი არაა მოითხოვოს თავისი ბინიდან იმ პირის გამოსახლება, რომელმაც შრომითი კავშირი გაწყვიტა მასთან. მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლომ 1970 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა ძაფსალები ფაბრიკის სარჩელი გ. მამალაძის მიმართ საუწყებო ბინიდან მისი გამოსახლების შესახებ, ვინაიდან მოსარჩელე ორგანიზაცია შეტანილი არ არის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ სიაში.

საკავშირო დაქვემდებარების ის საწარმოები და დაწესებულებები, რომლებსაც საფუძვლების მიღებამდე ჰქონდათ უფლება მოეთხოვათ იმ დამქირავებელთა გამოსახლება, რომელთაც შრომითი ურთიერთობა გაწყვიტეს მათთან, ასეთივე უფლებით სარგებლობენ საფუძვლების მიღების შემდეგაც, მიუ-

ხედავად იმისა, შეტანილი არიან თუ არა ისინი მოკავშირე რესპუბლიკების მიერ დამტკიცებულ სიებში. არასაკავშირო დაქვემდებარების საწარმო-დაწესებულებები, რომლებსაც საფუძვლების მიღებამდე ჰქონდათ მინიჭებული უფლება მოეთხოვათ თავიანთი სახლებიდან იმ დაქირავებულთა გამოსახლება, რომლებმაც შრომითი კავშირი გაწყვიტეს მათთან, საფუძვლების მიღების შემდეგ ასეთივე უფლებას ინარჩუნებენ მხოლოდ მაშინ, თუ შეტანილი არიან დამტკიცებულ სიებში. ასეთ უფლებას ისინი მოიპოვებენ სიის დამტკიცების დღიდან. ე. ი. მათ შეუძლიათ მოითხოვონ მხოლოდ იმ პირთა გამოსახლება, რომელთაც საწარმოსთან ან დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა გაწყვიტეს მას შემდეგ, რაც ეს საწარმოები და დაწესებულებები შეიტანეს აღნიშნულ სიაში. გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლომ 1970 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით დააკაყოფილა გარდაბნის საცდელი სარემონტო ქარხნის სარჩელი გ. ბადრიშვილის მიმართ ბინიდან მისი გამოსახლების შესახებ. საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის პროტესტის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება იმის გამო, რომ მოპასუხემ მოსარჩელესთან შრომითი კავშირი გაწყვიტა 1969 წლის 22 ოქტომბერს, ხოლო ქარხანა სიაში შევიდა იმავე წლის 25 დეკემბერს. საქმის ხელახალი განხილვისას სახალხო სასამართლომ სარჩელი უარყო.

იმ შემთხვევაში, როცა ორგანიზაციას ასეთი უფლება მინიჭებული ჰქონდა ადრე, მაგრამ სიის დამტკიცებისას არ ყოფილა მასში შეტანილი და მხოლოდ შემდეგ, დამატებით, იქნა იგი შეტანილი ამ სიაში, მისთვის ასეთი უფლება წარმოიშობა სიის შევსების შესახებ დადგენილების გამოტანის დღიდან. როცა ხდება საწარმო-დაწესებულებათა რეორგანიზაცია (შეერთება, გაყოფა, შემოერთება, გამოყოფა) და წარმოიშობა ახალი იურიდიული პირი, ეს უკანასკნელი საფუძვლების 62-ე მუხლით დაქირავებლის გამოსახლებას მოითხოვს მხოლოდ მაშინ, თუ სათანადო ცვლილება იქნება შეტანილი დამტკიცებულ სიაში, მიუხედავად იმისა, სარგებლობდა თუ არა ასეთი უფლებით რეორგანიზაციამდე არსებული საწარმო ან დაწესებულება.

2. მეორე პირობას საუწყებო ბინებიდან საფუძვლების 62-ე (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე) მუხლის გამოყენებით მოქალაქეთა გამოსახლებისათვის წარმოადგენს ის, რომ სახლი, რომელშიც სადავო ბინაა, უნდა ეკუთვნოდეს მოსარჩელე ორგანიზაციას, იყოს მის ბალანსზე ანდა იჯარით ჰქონდეს მას აღებული. ამიტომ გამოსახლების საკითხის გადაწყვეტისას მთავარია არა ის, რომ შრომითი ურთიერთობის საფუძველზე მიიღო თუ არა მოპასუხემ ბინა, არამედ ის, რომ ეს ბინა ეკუთვნოდეს მოსარჩელეს ან იჯარით ჰქონდეს მას აღებული. ხოლო თუ ბინა არ ეკუთვნის მოსარჩელე ორგანიზაციას, დაქირავებლის გამოსახლება არ დაიშვება, მიუხედავად იმისა, ამ ორგანიზაციასთან შრომითი ურთიერთობის საფუძველზე მიიღო თუ არა მოპასუხემ ეს ბინა. მაგალითად, როცა საწარმოს ან დაწესებულებას ბინა გამოეყოფა მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ფონდიდან და ამ ბინას ეს საწარმო თუ დაწესებულება თავის მუშაკებს შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებით აძლევს, ამ მუშაკთა მიერ აღნიშნულ საწარმოსთან ან დაწესებულებასთან შრომითი კავშირის შეწყვეტა არ წარმოშობს საფუძველს მათი გამოსახლებისათვის.

ამრიგად, თუ სახლი მოსარჩელე ორგანიზაციას ეკუთვნის, მის ბალანსზეა

ან იჯარით აქვს აღებული, მას უფლება აქვს მოითხოვოს იმ დამქირავებელთა გამოსახლება, რომელთაც კავშირი გაწყვიტეს ამ ორგანიზაციასთან.

ამასთან ერთად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ბინიდან გამოსახლების მოთხოვნის უფლება აქვთ თვით იმ ორგანიზაციებს, რომელთაც ვკუთვნივთ ეს სახლები და არა ამ ორგანიზაციათა გაერთიანებებს, თუ ისინი ცალკე არ არიან სიაში შეტანილი. მაგალითად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ სიაში შეტანილია ტრესტ „საქჩაის“ ჩაის ფაბრიკები და არა თვით ტრესტი. ამიტომ ბინიდან გამოსახლებას ექვემდებარებიან ის პირები, რომლებიც ცხოვრობენ ჩაის ფაბრიკების და არა ტრესტის ბინებში.

ზოგჯერ სიაში შეტანილია ამა თუ იმ ორგანიზაციის არა ყველა, არამედ გარკვეულ დასახლებულ პუნქტში მდებარე სახლი. ამიტომ საფუძვლების 62-ე მუხლით გამოსახლება დაიშვება მხოლოდ სიაში მითითებულ ადგილზე მდებარე სახლებიდან და არა საწარმო-დაწესებულებათა კუთვნილი ყველა სახლიდან. მაგალითად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 27 ნოემბრის № 667 დადგენილებით სიაში შეტანილია ტრესტ „ამიერკავკასიის ტრანსმშენის“ საცხოვრებელი სახლები ქ. თბილისში, „იუჟდორსტროის“ ავტოსაგზაო მშენებლობის სამხრეთის ტრესტის № 893 სამშენებლო სამმართველოს საცხოვრებელი სახლები ქ. გუდაუთაში. ე. ი. სახლები, რომლებიც ამ ორგანიზაციებს აქვს სხვა, არასპეციალურად მითითებულ ადგილებში, არ მიეკუთვნებიან საუწყებო სახლების იმ კატეგორიას, რომლებიდანაც შეიძლება გამოსახლება საფუძვლების 62-ე მუხლის მიხედვით.

3. შემდეგ საჭიროა სასამართლომ გაარკვიოს, თუ რა საფუძვლით აქვს მიღებული სადავო ბინა მოპასუხეს. შესაძლებელია მოსარჩელე ორგანიზაცია შეტანილი იყოს მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ სიაში, სახლიც ეკუთვნოდეს მას, მაგრამ ეს საკმარისი არ იყოს საფუძვლების 62-ე მუხლით მოპასუხის გამოსახლებისათვის. აუცილებელია, რომ მოპასუხეს ბინა მიღებული ჰქონდეს მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის საფუძველზე. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა ზემოთ დასახელებულ დადგენილებაში პირდაპირ მიუთითა, რომ ამ საფუძვლით შეიძლება მხოლოდ იმ პირთა გამოსახლება, რომელთაც საცხოვრებელი ფართობი მიეცათ შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებით. ის პირები, რომლებმაც საუწყებო სახლებში ბინა მიიღეს არა შრომითი კავშირის საფუძველზე, არ შეიძლება გამოსახლდნენ ამ ბინიდან, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა შრომითი კავშირი ამ ორგანიზაციასთან და რა საფუძველზე შეწყვიტეს მათ ეს კავშირი. ასეთი პირებია, მაგალითად, ისინი, ვინც სადავო სახლში შესახლებული იყვნენ მანამდე, სანამ ეს სახლი ორგანიზაციას გადაეცემოდა; ის მუშაკები, რომლებმაც ბინა სხვა ორგანიზაციასთან შრომითი ურთიერთობის საფუძველზე მიიღეს; ოჯახის წევრები, რომლებიც საცხოვრებლად დარჩნენ ბინაში დამქირავებლის გარდაცვალების შემდეგ და სხვ. იგივე ითქმის იმ დამქირავებლებზე, რომლებიც მართალია ცხოვრობენ საუწყებო ბინებში, მაგრამ არა შრომითი ურთიერთობის საფუძველზე, არამედ უწყებათა მიერ მშრომელთა დებუტატების საბჭოებისა და მშენებელი ორგანიზაციებისათვის დადგენილი წესით გადაცემულ საცხოვრებელ ფართობში. ქ. გორის სახალხო სასამართლომ 1970 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ბამბეულის კომბინატის სარჩელი ა. ბოთარიშვილის მიმართ ბინიდან მისი გამოსახლების შესახებ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტით სასამართლოს.

გადაწყვეტილება გაუქმდა, რამდენადაც მოპასუხეს ბინა მიღებული ჰქონდა არა მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის საფუძველზე, არამედ მშენებელი ორგანიზაციებისათვის მიცემული 10 პროცენტიდან.

სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულების მიხედვით ასეთ კატეგორიას მიეკუთვნებიან ის პირებიც, რომლებმაც საუწყებო ბინა მიიღეს გაცვლის წესით, რაც, ჩვენი აზრით, არ შეიძლება ყველა შემთხვევაზე გავავრცელოთ. როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 320-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით საცხოვრებელი სადგომის გაცვლა არ დაიშვება, თუ ერთ-ერთი გასაცვლელი სადგომთაგანი ამავე კოდექსის 327-ე მუხლში აღნიშნული საწარმოს ან დაწესებულების სახლშია, ხოლო მეორე სადგომის დამქირავებელს ამ საწარმოს ან დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა არა აქვს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამქირავებელი სადგომით სარგებლობს შესაბამის საწარმოსა თუ დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობის გარეშე და არ შეიძლება გასახლებულ იქნეს სხვა ფართობის მიუხედავად. ამიტომ თუ დამქირავებელი გაცვლის შედეგად შესახლდა საუწყებო ბინაში და გაცვლის ნებართვა მიიღო იმის გამო, რომ მას შრომითი ურთიერთობა ჰქონდა ამ უწყებასთან, მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს საფუძველების 62-ე (კოდექსის 327-ე) მუხლი. ეს არ ეხება იმ შემთხვევას, როცა გაცვლა მოხდა იმის გამო, რომ ბინის პირველ დამქირავებელს შრომითი ურთიერთობის გარეშე ჰქონდა მიღებული ეს ბინა და არ შეიძლებოდა მისი გამოსახლება საფუძველების 62-ე მუხლის მიხედვით.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა დამქირავებელმა უწყებისაგან ბინა მიიღო საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით და ამ ნიადაგზე ჩააბარა ბინა, რომელიც ადრე ჰქონდა დაქირავებული. ასეთ პირობებში საუწყებო ბინიდან მისი გამოსახლება რთულდება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ, თუ დამქირავებელი ცხოვრობდა არასაუწყებო ბინაში, გაუმჯობესების წესით უწყებისაგან მიიღო სხვა ბინა და შემდეგ შეწყვიტა შრომითი კავშირი ამ უწყებასთან, ბინიდან მისი გამოსახლება სხვა ბინის მიუხედავად არ უნდა ჩაითვალოს გამართლებულად. სახელდობრ, თუ მისი ყოფილი ბინა ახალი ბინის მიმცემმა უწყებამ ჩაიბარა, მაშინ ამავე უწყებამ უნდა მისცეს მას სხვა ბინა, ხოლო თუ ძველი ბინა აღმასკომს დარჩა, მაშინ ასეთი პირის ბინით დაკმაყოფილება აღმასკომის კუთვნილი ფონდიდან უნდა მოხდეს.

4. შემდეგ საჭიროა გარკვეული იქნეს, თუ რა საფუძველით გაწყვიტა მოქალაქემ შრომითი კავშირი ორგანიზაციასთან. საუწყებო ბინიდან მოქალაქეთა გამოსახლება დაიშვება შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის არა ყველა, არამედ კანონის მიერ კონკრეტულად განსაზღვრულ შემთხვევებში, სახელდობრ, როცა მოპასუხე დათხოვილია ორგანიზაციიდან: ა) პირადი სურვილით, ბ) შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ან გ) დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. მხოლოდ ამ სამი პირობიდან ერთ-ერთის არსებობა იძლევა საფუძველს დაისვას საკითხი ბინიდან მოქალაქის გამოსახლების შესახებ.

როცა მუშაკი სამუშაოდან განთავისუფლებულია შრომის დისციპლინის დარღვევის ან დანაშაულის ჩადენისათვის, სადავო არ არის მის მიმართ საფუძველების 62-ე მუხლის გამოყენება.

შედარებით რთულდება საკითხი, როცა მუშაკი განთავისუფლებულია პირადი სურვილით. პრაქტიკაში ხშირად ერთმანეთში ურევენ პირადი სურვილით

განთავისუფლებასა და განთავისუფლებას პირადი განცხადების საფუძველზე, კანონში ლაპარაკია შრომითი კავშირის შეწყვეტაზე მუშაკის სურვილით და არა განცხადების მიხედვით. ამ ორ ცნებაში იურიდიული თვალსაზრისით არსებითი სხვაობაა. შრომის კანონმდებლობა, როგორც ცნობილია, გარდა ამისა იცნობს შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის მრავალ საფუძველს (მხარეთა შეთანხმება, სამხედრო სამსახურში გაწვევა ან შესვლა, სასწავლებლად წასვლა, პენსიაში გასვლა, გადაყვანა, შტატის შემცირება, არასაკმარისი კვალიფიკაციის თუ ჯანმრთელობის გამო შეუფერებლობა, ავადმყოფობა და სხვ). ასეთი საფუძველით მუშაკის დათხოვნა არ წარმოშობს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ იურიდიულ შედეგებს, თუნდაც რომ ამ განთავისუფლებასაც საფუძველად ედოს მუშა-მოსამსახურის განცხადება.

ამიტომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ახსნილი უნდა იქნას მუშაკის განთავისუფლების ნამდვილი მიზეზი. ვინაიდან კანონმდებელი საუწყებო ბინებიდან გამოსახლების დადგენისას მიზნად ისახავს სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგებში მომუშავე მუდმივი კადრების შენარჩუნებასა და შრომის დისციპლინის განმტკიცებას, ამიტომ შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის მხოლოდ ფორმალური აღბეჭდვა როგორც პირადი სურვილით განთავისუფლებისა, არ შეიძლება მივიჩნიოთ საუწყებო ბინიდან გამოსახლების საფუძველად. პირადი სურვილით განთავისუფლება როგორც საფუძველი მუშაკის ბინიდან გამოსახლებისათვის გულისხმობს, რომ მუშაკი, რომელმაც უწყებისაგან ბინა მიიღო, რაიმე არსებითი საპატიო მიზეზის გარეშე წყვეტს შრომით კავშირს ამ უწყებასთან და უარს აცხადებს იქ დაბრუნებაზე. მაგრამ, თუ მუშაკი თანახმაა დაბრუნდეს წინანდელ სამუშაოზე და ადმინისტრაცია უარს აცხადებს მის მიღებაზე ან არ აძლევს მას სამუშაოს სპეციალობის მიხედვით, მაშინ იგი, როგორც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა განმარტა, არ შეიძლება გამოსახლდეს ბინიდან.

თუ მუშაკმა სპეციალური განათლება მიიღო, ადმინისტრაცია კი მას არ მოაწყობს სამუშაოზე სპეციალობის მიხედვით და მუშაკი დაწერს განცხადებას განთავისუფლების შესახებ, კანონმდებლის გაგებით ეს არ ნიშნავს პირად სურვილს და მის მიმართ საფუძველების 62-ე მუხლი არ გამოიყენება, მიუხედავად იმისა, რომ იგი პირადი განცხადების მიხედვით იქნება განთავისუფლებული. ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლომ 1971 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა ავტოქარხნის საბინაო-კომუნალური განყოფილების სარჩელი ვ. ჟორჯოლიანის მიმართ, ვინაიდან მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო მოპასუხის სამუშაოზე მოწყობა სპეციალობის მიხედვით.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა მიუთითა, რომ სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ აგრეთვე სხვა განსაკუთრებული გარემოებანი, რომლებიც ხელს უშლიან მუშებისა და მოსამსახურეების წინანდელ სამუშაო ადგილზე დაბრუნებას. ასეთ განსაკუთრებულ გარემოებად უნდა ჩაითვალოს ჯანმრთელობის მდგომარეობა, სასწავლად ყოფნა, მუშაობა უკიდურესი ჩრდილოეთისა და მასთან გათანაბრებულ ადგილებში, ბავშვების მოვლა, როცა

1 სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება კ-ს საქმეზე (ჟურნ. «Социалистическая законность», 1968, № 7, გვ. 83).



საბავშვო დაწესებულებაში მოწყობა არ ხერხდება¹, მძიმე ავადმყოფის მოვლის საჭიროების აუცილებლობა² და სხვა. ასეთივე გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს მუშის ხელფასის სიმცირე წინანდელ სამუშაოზე და მისი ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინება.

როცა წყდება საკითხი, პირადი სურვილით წასულად ჩაითვალოს თუ არა მუშაკი, მთავარია გაირკვეს მისი განთავისუფლებისადმი ადმინისტრაციის დამოკიდებულება. თუ მუშაკმა განთავისუფლება ისურვა და ადმინისტრაცია ამის თანახმაა, ამ შემთხვევაში გვაქვს შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეთა შეთანხმებით და არა მუშაკის ინიციატივით. ადმინისტრაციის მიერ ასეთი თანხმობის მიცემა ნიშნავს, რომ მან უარი თქვა კანონით მინიჭებულ უფლებაზე — დადგენილი წესის გარეშე არ დართოს მუშაკს წასვლის ნება. მხარეთა შეთანხმებით მუშაკის განთავისუფლებისას ადმინისტრაციას აღარა აქვს უფლება მოითხოვოს ამ მუშაკის გამოსახლება საფუძვლების 62-ე მუხლით³.

ამიტომ, როცა კანონმდებელი ლაპარაკობს დამქირავებლის გამოსახლებაზე პირადი სურვილით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას, მხედველობაში აქვს არა საერთოდ მისი სურვილით წასვლა, არამედ ძირითადად სამუშაოდან განთავისუფლება საკუთარი ინიციატივით (შრომის კანონმდებლობის საფუძვლების მე-16 მუხლი). მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მუშაკმა სამუშაო თავისი ინიციატივით დატოვა და სხვაგან დაიწყო მუშაობა (არა გადაყვანით) ადმინისტრაციის თანხმობის გარეშე და არასაპატიო მიზეზით უარს აცხადებს დაუბრუნდეს წინანდელ სამუშაოს, შეიძლება გადაწყდეს საუწყებო ბინიდან მისი გამოსახლება სხვა ბინის მიუცემლად. ამასთან ადმინისტრაცია ვალდებული არ არის მიუჩინოს მუშაკს ის სამუშაო, რომელიც ადრე ჰქონდა. საკმარისია გამოენახოს მას სამუშაო იმავე ორგანიზაციაში იმავე სპეციალობითა და კვალიფიკაციით, მხოლოდ არ უნდა შეუმცირდეს ხელფასი.

სხვა ვითარებაა, როცა მუშაკი დათხოვილია შრომის დისციპლინის დარღვევის ან დანაშაულის ჩადენისათვის. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაცია ვალდებული არ არის გამოუძენოს მას სამუშაო. ამ მოტივით მუშაკის განთავისუფლების ფაქტი თავისთავად წარმოადგენს საფუძველს საუწყებო ბინიდან მისი გამოსახლებისათვის, მიუხედავად იმისა, სურს თუ არა მას დაბრუნდეს სამუშაოდ უწყებაში.

კანონის თანახმად დამქირავებელთან ერთად საცხოვრებელ ფართობზე თანაბარი უფლება აქვს მასთან მცხოვრებ მისი ოჯახის წევრებს. ამიტომ თუ ერთ-ერთი მათგანი მაინც მუშაობს ბინის დამქირავებელ ორგანიზაციაში, გამოსახლება არ დაიშვება, მიუხედავად იმისა, თუ რა საფუძვლით გაწყვიტა შრომითი კავშირი დამქირავებელმა ამ ორგანიზაციასთან. მაგრამ თუ ოჯახის არცერთი წევრი იქ არ მუშაობს, დამქირავებელმა კი მასთან კავშირი გაწყვიტა ზემოაღნიშნული საფუძვლით და უარს აცხადებს დაუბრუნდეს წინანდელ სამუშაოს, ოჯახის წევრის ამ ორგანიზაციაში მუშაობის დაწყების სურვილი არ ართმევს ადმინისტრაციას უფლებას მოითხოვოს ბინის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა და ბინიდან დამქირავებლის გამოსახლება.

ოჯახის წევრის გამოსახლება არ დაიშვება იმ შემთხვევაში, როცა ბინის

² რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება კ-ს საქმეზე (ტურბ. «Социалистическая законность», 1966, № 1, стр. 88).

³ იხ. «Бюллетень Верховного суда РСФСР», 1968, № 4, გვ. 12.

ძირითადი დამქირავებელი გარდაიცვალა სარჩელის წარდგენამდე და მანამ ცოცხალი იყო არ მოუთხოვიათ მისთვის ძველ სამუშაოზე დაბრუნება.

სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში სადავოა საკითხი იმის შესახებ, უნარჩუნდებათ თუ არა უფლება საუწყებო ბინაზე იმ პირებს, რომლებმაც თავიანთი სურვილით დატოვეს სამუშაო და გადავიდნენ იმავე სისტემის სხვა ისეთ ორგანიზაციაში, რომელიც თვით სარგებლობს საფუძვლების 62-ე მუხლით მინიჭებული უფლებებით. ვ. მასლოვი, ა. პერგამენტი და ზოგიერთი სხვა ავტორი ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში დამქირავებელს არ უნარჩუნდება ბინაზე უფლება და მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს საფუძვლების 62-ე მუხლი⁴. იგივე აზრია გატარებული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ გაკეთებულ სასამართლო პრაქტიკის განზოგადებაში⁵. საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამს ტ. დობროვოლსკი⁶. ვფიქრობთ, არასწორია პირველი შეხედულება, რამდენადაც ის არ შეესაბამება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 18 მარტის დადგენილების მე-6 მუხლის პირველი ნაწილის არსს, რომლის მიხედვით საფუძვლების 62-ე მუხლის თანახმად მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლების საკითხის გადაჭრის დროს საჭიროა გაირკვეს, ხომ არ იმყოფებიან ისინი ან მათი ოჯახის წევრები შრომით ურთიერთობაში იმ უწყებათა საწარმოებთან, რომელთა მუშაკებიც სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებათა შესაბამისად არ უნდა იქნენ გამოსახლებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ უწყებას ეკუთვნის სახლი. ასეთ უწყებებს მიეკუთვნებიან, მაგალითად, საგარეო საქმეთა სამინისტრო, „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ გამომცემლობა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა და სხვა.


ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლომ 1970 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა თბილისის ელექტრომედულების მოწყობილობათა ქარხნის სარჩელი ფ. ნადარეიშვილის მიმართ ბინიდან მისი გამოსახლების შესახებ. მოპასუხემ, მუშაობდა რა მოსარჩელე ორგანიზაციაში ღირექტორის მოადგილედ, მიიღო სამოთახიანი ბინა და 1969 წლის 10 ნოემბერს სამუშაოდ გადავიდა პროფტექნიკური სასწავლებლის ღირექტორის მოადგილედ. შემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით შრომითი რეზერვების (ამჟამად პროფესიულ-ტექნიკური განათლების) სისტემაში მომუშავე პირები ინარჩუნებენ საუწყებო ბინებში ცხოვრების უფლებას. ამიტომ საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის პროტესტით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმის ხელმეორედ განხილვისას ქარხანას უარი ეთქვა მოპასუხის გამოსახლებაზე.

როგორც ვხედავთ, ზოგიერთ უწყებათა მუშა-მოსამსახურეები ინარჩუნებენ უფლებას იმ ბინაზე, რომელიც მათ მიიღეს სხვა უწყებაში მუშაობასთან

⁴ В. Ф. Маслов. Защита жилищных прав граждан, Харьков, 1970, 33. 113 — 114; Комментарий К ГК РСФСР, М., 1970, 33. 505.

⁵ «Бюллетень Верховного Суда СССР», 1964, № 6.

⁶ Т. Ф. Добровольский, Е. И. Аюева, А. И. Седугин, М. И. Барышев. Вопросы применения Основ гражданского законодательства в судебной практике, М., 1964, 33. 40.



დაკავშირებით მიუხედავად იმისა, თუ რა საფუძვლით გაწყვიტეს მათ შრომითი ურთიერთობა ბინის მიმცემ ორგანიზაციასთან.

5. ბოლოს, საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული, თუ ვინ არიან გამოსასახლებელი პირები, ხომ არ მიეკუთვნებიან ისინი საფუძვლების 62-ე (კოდექსის 327-ე) მუხლის მეორე ნაწილში ჩამოთვლილ პირთა კატეგორიას. აღნიშნული ნორმის მიხედვით საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად არ შეიძლება გამოსახლებულ იქნენ: ომის ინვალიდები, შრომის პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები, პერსონალური და მოხუცებულობით პენსიონერები, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამსახურში მყოფ პირთა ოჯახები და იმ სამხედრო მოსამსახურეთა ან პარტიზანთა ოჯახები, რომლებიც დაიღუპნენ ან უკვალოდ დაიკარგნენ სსრ კავშირის დაცვის დროს ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას.

ამრიგად, საუწყებო ბინიდან გამოსახლების საერთო წესისაგან განსხვავებით, რომლის დროსაც გამოსახლება ბინის მიუცემლად ხდება, ჩამოთვლილი კატეგორიის პირთა გამოსახლება სხვა ბინის მიუცემლად დაუშვებელია; მათი გამოსახლება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ სხვა კეთილმოწყობილი ბინის მიცემის პირობით.

ომის ინვალიდები ასეთი შეღავათით სარგებლობენ მიუხედავად ინვალიდობის ჯგუფისა. მართალია კანონი ლაპარაკობს ომის ინვალიდებზე, მაგრამ სასამართლო პრაქტიკა ასეთივე შეღავათს აგრძელებს საბჭოთა არმიის ინვალიდებზეც. რაც შეეხება შრომის ინვალიდებს, ისინი ასეთი შეღავათით სარგებლობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ მიეკუთვნებული აქვთ ინვალიდობის პირველი ან მეორე ჯგუფი. ამასთან შრომის ინვალიდობის ცნება კანონმდებელს ესმის ფართო გაგებით და ის გულისხმობს ამ ჯგუფების როგორც საერთო დაავადების მქონე, ისე უბედური შემთხვევით დასახიჩრებულ და აგრეთვე ბავშვობიდან დაავადებულ პირებს⁷. მთავარია, რომ სათანადო პირს შრომითი საქსპერტო კომისიის მიერ მიკუთვნებული ჰქონდეს ინვალიდობის ჯგუფი.

ასეთივე შეღავათით სარგებლობენ საკავშირო, რესპუბლიკური თუ ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერები მიუხედავად იმისა, საკუთარი დამსახურებისათვის აქვთ დანიშნული თუ არა პენსია, აგრეთვე მოხუცებულობით პენსიონერები. რაც შეეხებათ იმ პირებს, რომლებიც პენსიას ღებულობენ მარჩენალის დაკარგვის გამო, მსგავსი შეღავათით ისინი ისარგებლებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასაკის გამო შრომისუნარმოკლებული არიან ანდა აქვთ პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდობა.

ის პირები, რომლებსაც შრომის უნარი დაკარგული აქვთ ხანდაზმულობით, მაგრამ პენსიას არ ღებულობენ და არც აქვთ მისი მიღების უფლება, არ სარგებლობენ კანონით დაწესებული შეღავათით და ექვემდებარებიან საფუძვლების 62-ე მუხლის მიხედვით გამოსახლებას.

ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომ საუწყებო ბინიდან გამოსახლებისას ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის დაწესებული შეღავათი გავრცელდეს იმ ოჯახებზეც, რომლებსაც ჰყავთ მცირეწლოვანი ბავშვი, რადგან ბარადოქსად მიაჩნიათ ის გარემოება, რომ ოჯახი, სადაც პენსიონერი თუ ინვა-

⁷ В. Замятин. Применение ст. 62 Основ гражданского законодательства, журн. «Социалистическая законность», 1963, № 1, с. 13.

ლიდია, სარგებლობს ამ შეღავათით, ხოლო პატარაბავშვიან ოჯახს ასეთი უფლება არ გააჩნია. ვფიქრობთ, ასეთი შეღავათის საერთო წესად აღიარება არ იქნებოდა გამართლებული, მაგრამ ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევებში სხვა ფაქტორების გათვალისწინებით შესაძლოა სასამართლომ მხედველობაში მიიღოს ეს გარემოება და მოპასუხე არ გამოასახლოს ბინიდან.

სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად არ დაიშვება აგრეთვე იმ პირთა ოჯახების გამოსახლება, რომლებიც სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამსახურში იმყოფებიან. ეს ეხება როგორც ვადიან სამხედრო სამსახურში მყოფ პირთა, ისე ზევადიანი სამსახურისა და კადრის ოფიცერთა ოჯახებს⁸. დაუშვებელია სხვა ბინის მიუცემლად იმ სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთა ოჯახების გამოსახლება, რომლებიც დაიღუპნენ ან უკვალოდ დაიკარგნენ სსრ კავშირის დაცვის დროს ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას.

სასამართლო პრაქტიკასა და ცივილისტურ ლიტერატურაში არ არსებობს დაზუსტებული შეხედულება იმაზე, თუ კონკრეტულად ვინ იგულისხმება საფუძვლების 62-ე მუხლის მეორე ნაწილში ჩამოთვლილ პირებში: მხოლოდ დამქირავებელთან ერთად მცხოვრები, თუ ცალკე, დამოუკიდებლად მყოფი პირებიც, იმავე ბინაში მცხოვრები ოჯახის წევრები, რომელშიც სამხედრო მოსამსახურე (პარტიზანი) ცხოვრობდა, თუ ახალ ბინაში მყოფი ოჯახის სხვა წევრებიც.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის № 5 დადგენილების მე-7 მუხლი ამ საკითხთან დაკავშირებით ამბობს, რომ გამოსახლება არ დაიშვება მხოლოდ ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრთა მიმართ. ე. ი. იგულისხმება, რომ ეს ეხება ჩამოთვლილი კატეგორიის ყველა პირს, რაც სწორი არ არის. პლენუმის ამ განმარტების გავლენით უნდა აიხსნას, რომ რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის კომენტარებში ჯერ განმეორებულია იგივე აზრი, სახელდობრ ნათქვამია, რომ ამ კატეგორიის დამქირავებელთა ოჯახის ის წევრები, რომლებიც ცალკე ცხოვრობენ, თითქოს საერთოდ არ სარგებლობენ დადგენილი შეღავათით⁹, ხოლო შემდეგ, სხვა ადგილას, განმარტებულია, რომ სამხედრო მოსამსახურეთა (პარტიზანთა) ოჯახის წევრებისათვის არ არის სავალდებულო, რომ ასეთ დამქირავებელთან ერთად ცხოვრობდნენ¹⁰.

ამ საკითხის გადაწყვეტისას საჭიროა საფუძვლების 62-ე მუხლის მეორე ნაწილში ჩამოთვლილი პირებიც დავყოთ ცალ-ცალკე კატეგორიებად, რამდენადაც სასამართლო პრაქტიკით მათთვის არაერთნაირად არის დაწესებული შეღავათები. პირველ რიგში უნდა გამოვყოთ ინვალიდები და პენსიონერები. მათ მიმართ ვრცელდება პლენუმის დასახელებული განმარტება და ისინი შეღავათით სარგებლობენ მხოლოდ, მაშინ თუ დამქირავებელთან ერთად ცხოვრობენ.

⁸ არასწორად მიგვაჩნია რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის კომენტარებში მოცემული მითითება, რომ თითქოს ასეთი შეღავათი არ ვრცელდება ზევადიანი სამსახურისა და კადრის ოფიცერთა ოჯახებზე, რადგან კანონი ლაპარაკობს ზოგადად „შეიარაღებულ ძალებზე“ და მისი შეზღუდული განმარტების საფუძველი არ არსებობს (იხ. დასახელებული კომენტარები, გვ. 508). ამის საწინააღმდეგო თვალსაზრისზე დგას რსფსრ სასამართლო პრაქტიკა (იხ. ჟურნ. «Советская юстиция», 1972, № 1, გვ. 17).

⁹ იხ. Комментарий к ГК РСФСР, М., 1970, გვ. 506 — 507.

¹⁰ იქვე, გვ. 508—509.

მაგალითად, თუ დამქირავებელს, რომელიც უნდა გამოსახლდეს, ჰყავს ინვალიდი თუ პენსიონერი დედა, მაგრამ ის ცალკე ცხოვრობს, ცხადია, არ ეკუთვნის კანონით დაწესებული შეღავათი. მაგრამ თუ დამქირავებელთან ცხოვრობს ოჯახის ერთ-ერთი ისეთი წევრი მაინც, რომელიც არის ომის ინვალიდი, შრომის პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდი, ანდა პერსონალური თუ მოხუცებულიობით პენსიონერი, ასეთი ოჯახი არ შეიძლება გამოსახლდეს. ასე არ დგას საკითხი შეიარაღებული ძალების სამსახურში მყოფ პირთა ოჯახების მიმართ. მათთვის დაწესებული შეღავათი ვრცელდება ყოველგვარ პირობებში. თუ დამქირავებელს ახლო ნათესაური კავშირი აქვს სამხედრო სამსახურში მყოფ პირთან, მაშინ საფუძვლების 62-ე მუხლით მისი გამოსახლება არ დაიშვება. მაგალითად, არ შეიძლება ბინიდან გამოსახლებულ იქნეს არმიის რიგებში მყოფი პირის დედა, მიუხედავად იმისა, ის ამ პირთან ცხოვრობდა, თუ ცალკე, სხვა შეილთან ერთად, რომელმაც შრომითი კავშირი გაწყვიტა ბინის მიმცემ უწყებასთან.

რაც შეეხება იმ სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთა ოჯახის წევრებს, რომლებიც დაიღუპნენ (უკვალოდ დაიკარგნენ) სამხედრო მოვალეობის შესრულების დროს, საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო პრაქტიკა მნიშვნელობას ანიჭებს მათ ვინაობასა და იმას, რომ ისინი იმავე ბინაში ცხოვრობენ, რომელშიც დაღუპული (უკვალოდ დაკარგული) ცხოვრობდა, თუ სხვა ბინაში არიან გადასული. მშობლები, შრომისუუნარო შვილები და მეუღლე, რომელსაც ახალი ოჯახი არ შეუქმნია, შეღავათებით სარგებლობენ ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, თუ სად ცხოვრობენ ისინი. შრომისუუნარიანი შვილები და ოჯახის სხვა წევრები კი კანონით დადგენილი შეღავათით სარგებლობენ მხოლოდ მაშინ, როცა ცხოვრობენ იმავე ბინაში, რომელშიც ადრე ცხოვრობდნენ დაღუპულ (უკვალოდ დაკარგულ) პირებთან ერთად, ხოლო როცა მათ დამოუკიდებლად სხვა ბინა აქვთ მიღებული უწყებასთან შრომითი ურთიერთობის საფუძველზე, მათზე ასეთი შეღავათი ადარ გავრცელდება¹¹. იგივე ითქმის მეუღლეზე, რომელმაც დაქორწინების შედეგად ახალი ოჯახი შექმნა.

ადმინისტრაციის (გამქირავებლის) უფლება საუწყებო ბინიდან გამოსახლების მოთხოვნის შესახებ განისაზღვრება შრომითი კავშირის გაწყვეტის მომენტით. თუ ამ კავშირის შეწყვეტის მომენტში დამქირავებელი შეღავათით სარგებლობს, მისი ოჯახის შემადგენლობაში შემდგომ მომხდარი ცვლილებები არ წარმოშობს საფუძველს გამოსახლების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებისათვის. მაგალითად, თუ ოჯახის რომელიმე წევრი ომის ინვალიდი ან სხვა შეღავათის მქონე კატეგორიის პირი იყო, მისი გარდაცვალება ან ოჯახიდან გასვლა არ შეიძლება იყოს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, თუ დამქირავებელმა ორგანიზაციასთან შრომითი კავშირი მანამდე გაწყვიტა.

საფუძვლების 62-ე მუხლით გამოსახლების მოთხოვნაზე ვრცელდება სასარჩელო ხანდაზმულობა. თუ დამქირავებლის მიერ უწყებასთან შრომითი კავშირის გაწყვეტიდან სამი წელი გავიდა, დამქირავებელს უარი უნდა ეთქვას დამქირავებლის გამოსახლებაზე. შესაძლოა, სასამართლომ საპატიოდ ცნოს ხანდაზმულობის ვადის გასვლა და აღუდგინოს მოსარჩელეს ეს ვადა¹².

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა ზემოთ დასახელებულ

¹¹ იხ. «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1967, № 6, გვ. 13.

¹² იხ. «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1969, № 12, გვ. 2.

დადგენილებაში სპეციალურად გაუხვია ხაზი იმ გარემოებას, რომ სასამართლოებმა საუწყებო ბინებიდან გამოსახლების დროს განიხილონ გადაწყვეტილების აღსრულების ვადის საკითხი, გაითვალისწინონ წლის დრო, სხვა საცხოვრებელი ბინის მოსაძებნად საჭირო ვადა და სხვა გარემოებანი. გარდა ამისა სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგაც გააგრძელოს მისი აღსრულების ვადა.

ყველა აღნიშნული გარემოება ერთობლივად უნდა გაითვალისწინოს სასამართლომ საუწყებო ბინებიდან გამოსახლების დროს.

როგორც ვხედავთ, კანონმდებელი განსაკუთრებულ, შესამჩნევად შეზღუდულ შემთხვევაში ითვალისწინებს დამჭირავებელთა საუწყებო ბინებიდან გამოსახლებას სხვა ბინის მიუხედავად. ასეთივე ტენდენციაა სასამართლო პრაქტიკაში, რაც თავის გამართლებას პოულობს, ჯერ ერთი, იმ თვალსაზრისით, რომ საბინაო ფონდების მართვის გასაიაფებლად, უმჯობესია თანდათან წაიშალოს სხვაობა კომუნალურ და საუწყებო ფონდს შორის და დროთა განმავლობაში ყველა საცხოვრებელი სახლი მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მმართველობაში გადავიდეს, მეორეც, იმ თვალსაზრისით, რომ გაფართოვდეს და გაძლიერდეს მოქალაქეთა საბინაო უფლებების დაცვა, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის გარანტია.

ცხადია, ასეთ ტენდენციას თავისი გამართლება აქვს. მაგრამ, როგორც ეს სავსებით სწორად არის აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, იგი არახელსაყრელია ცალკეულ საწარმოთა და დაწესებულებათათვის, რომელთაც წლების მანძილზე შეუქმნიათ თავიანთი მიზნობრივი საბინაო ფონდი.

თანამედროვე მასშტაბის სამრეწველო საწარმოთა განვითარება, მუშაკთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფა, შრომისა და დასვენების ორგანიზაციის გაუმჯობესება, სპეციალისტთა კადრების შენარჩუნებისა და ახალი კადრებისათვის სათანადო პირობების შექმნა, რაც საბოლოოდ დიდ გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, დაბეჯითებით მოითხოვს, რომ შენარჩუნებული იქნეს საუწყებო საბინაო ფონდის თავისებური სამართლებრივი რეჟიმი. სხვა რომ არა, ეს დადებით გავლენას ახდენს თვით შრომის ფსიქიკაზე. საწარმოთა და დაწესებულებათა მიერ თავიანთი მუშაკების ბინით უზრუნველყოფა ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, ე. წ. საწარმოო კოლექტივების ფორმირებისათვის, რომლებიც განასახიერებენ მათი წევრების შრომის, საბინაო-საყოფაცხოვრებო და კულტურულ-ინტელექტუალური ინტერესების ერთიანობას.

ამიტომ საფუძვლების 62-ე მუხლის მიხედვით ბინიდან დამჭირავებელთა გამოსახლების საკითხის გადაწყვეტისას ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა ვითვალისწინებდეთ როგორც ყველა იმ შეღავათს, რაც მინიჭებული აქვთ დამჭირავებლებს, ისე იმ მიზნობრივ ხასიათს, რაც ნიშანდობლივია საუწყებო საბინაო ფონდისათვის.

საქართველოს ადვოკატურის 50 წელი

საქართველოს ადვოკატურის სახელოვანი გზა

მ. კომახიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მეფის რუსეთის მთელ სახელმწიფო აპარატთან ერთად მოსპო ბურჟუაზიულ-მემამულური სასამართლო სისტემა, გააუქმა დაცვის ინსტიტუტი — ნაფიც ვეჟილთა კორპორაცია და შექმნა სრულიად ახალი სასამართლო და დაცვის ინსტიტუტი, რომლებმაც განვითარების დიდი გზა განვლეს.

1917 წლის 22 ნოემბრის სასამართლოს შესახებ № 1 დეკრეტით გაუქმდა ნაფიც ვეჟილთა კორპორაცია. სახალხო სასამართლოში სისხლის თუ სამოქალაქო სამართლის საქმეების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად ბრალდებულს თუ მხარეს შეეძლო დამცველად მოეწვია ის პირი, რომელსაც პოლიტიკური უფლება ჩამორთმეული არ ჰქონდა. ამასთანავე 1917 წლის 7 მარტის გამოცემული სასამართლოს შესახებ № 2 დეკრეტით შეიქმნა „უფლების დამცველთა“ კოლეგია საზოგადოებრივ საქმეებზე. ამ კოლეგიაში ინიშნებოდა მხოლოდ ის პირი, რომელსაც რეკომენდაციას აძლევდა საბჭოები ან ხელისუფლების სხვა ორგანოები.

გარკვეული დროის განმავლობაში „უფლების დამცველთა“ კოლეგიაში მაინც საკმაო რაოდენობის პოლიტიკურად უცხო ელემენტებმა მოიყარეს თავი. ამის გამო რსფსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატმა 1920 წლის 23 ნოემბერს გამოსცა ინსტრუქცია, რომელიც ახლებურად აწესრიგებდა სასამართლო ინსტანციებში დაცვის საკითხს.

ამიერიდან სახალხო სასამართლოებს, რევოლუციურ ტრიბუნალებს, პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციებს სპეციალურად უნდა შეერჩიათ ის პირნი, რომელნიც შეძლებდნენ ბრალდებისა და დაცვის წარმოებას საბჭოთა კანონმდებლობის შესაბამისად, იქნებოდნენ ობიექტურნი და დაიცავდნენ პროლეტარიატის დიქტატურის ინტერესებს. ამ პირთა სიებს ამტკიცებდნენ სამაზრო, საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტები.

ადვოკატურის ორგანიზაციაში არსებითი ცვლილებანი მოხდა 1922 წლიდან, როდესაც რსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის IX მოწვევის მესამე სესიამ დაამტკიცა

ახალი „დებულება ადვოკატურის შესახებ“. მის საფუძველზე რსფსრ იუსტიციის სამინისტრომ 1922 წლის 26 მაისს შეიმუშავა „დებულება დამცველთა კატეგორიების შესახებ“. ეს თარიღი ითვლება საბჭოთა ადვოკატურის დაბადების დღედ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე 1921 წლის 7 აპრილს ახალგაზრდა რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო დადგენილება რევოლუციამდელი ნაფიც ვეჟილთა სისტემის გაუქმების შესახებ.

ნაფიც ვეჟილთა ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა საქართველოში დამცველთა ახალი ინსტიტუტის ჩამოყალიბების საკითხი. ამის აუცილებლობა განსაკუთრებით ნათელი გახდა 1921 წლის 30 ივლისის შემდეგ, როდესაც საქართველოს საბჭოთა ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსცა სახალხო სასამართლოს დებულება. დამცველთა ინსტიტუტის არ არსებობა ხელს უშლიდა მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას. ამიტომ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წლის 2 ნოემბრის № 15 დადგენილებით, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მოსამართლეთა საბჭოსთან დაარსდა სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის საქმეების დამცველთა კოლეგია.

1923 წელს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ კიდევ ახალი ნაბიჯი გადადგა სასამართლოებში მოქალაქეთა დაცვის გასაუმჯობესებლად. 16 სექტემბრის № 61 დადგენილებით „სასამართლოს საქმეების დამცველთა შესახებ“ გაუქმდა 1922 წლის 2 ნოემბრის დადგენილება და აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოებთან შეიქმნა სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების საწარმოებლად დამცველთა კოლეგიები.

ამჟამად საქართველოს ადვოკატურის მუშაობა წესრიგდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 27 დეკემბრის ბრძანებულებით დამტკიცებულ „საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების დე-

ბულებით“, რომელშიც შეტანილია ცვლილებები და დამატებები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 აგვისტოს დადგენილებით.

საბჭოთა ადვოკატი დაცვის პროცესში პირველყოვლისა სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესების სადარაჯოზე დგას, ემსახურება სოციალისტური კანონების განმტკიცებას. ამ მიზნის განხორციელებისათვის იგი იყენებს მხოლოდ კანონით დაშვებულ საშუალებებს, ხელს უწყობს რათა „გამორკვეს გარემოებანი, რომლებიც ამართლებენ ბრალდებულს ან ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას“. ადვოკატი სასამართლოს დამხმარე ძალაა, რომელიც ყოველმხრივ ხელს უწყობს სასამართლოს ობიექტური ჭეშმარიტების დადგენასა და მართლმსაჯულების სწორად განხორციელებაში.

ადვოკატს საქმის მასალის ზუსტი შესწავლა საშუალებას აძლევს კარგად გაერკვეს საქმის ვითარებაში და შეძლოს პროკურორის თუ სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომის გამოსწორება.

ამ მოვალეობას საქართველოს ადვოკატურის ბევრი წარმომადგენელი შესანიშნავად ართმევს თავს. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი:

ქ. თბილისის ორჯონიძის რაიონის პროკურატურამ საქართველოს სსრ სსკ 187 მუხლის მესამე ნაწილით აღძრა საქმე კ. გოჩიაშვილის მიმართ, რომელიც მუშაობდა ამავე რაიონის მილიციის ავტონსპექციის საგზაო ზედამხედველ ინსპექტორად და 1966 წლის 25 აგვისტოს, დაახლოებით 23 საათზე და 30 წუთზე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ქ. თბილისში, ლენინის ქუჩაზე თითქოს უმიზეზოდ დააკავა ავტომანქანის მძღოლი ვ. ი-ძე და ძალის გამოყენებით წარადგინა მილიციის განყოფილებაში.

წინასწარი გამოძიების სტადიიდან გოჩიაშვილის ინტერესებს იცავდა ადვოკატი ო. ნიკოლაიშვილი, რომელმაც წერილობითი შუამდგომლობა შეიტანა გამოძიებელთან და მოითხოვა გოჩიაშვილის მიმართ საქმის წარმოებით შეწყვეტა.


ადვოკატს შუამდგომლობაზე უარი ეთქვა და საქმე გადაიწვინა სახალხო სასამართლოში. მიუგოჩიაშვილისა, რომ ადვოკატი ამტკიცებდა გოჩიაშვილის უდანაშაულობას და მოითხოვდა მის გამართლებას, ქ. თბილისის ორჯონიძის რაიონის სახალხო სასამართლომ მას 2 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. განაჩენი ძალაში დატოვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ. საქართველოს

სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა ზედამხედველობის წესით ადვოკატის მიერ შეტანილი საჩივრის საფუძველზე მსჯავრდებულ კ. გოჩიაშვილის მიმართ საქმე წარმოებით შეწყვიტა მის მოქმედებაში დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო.

ახმეტის რაიონის სახალხო სასამართლომ ხულისგური მოქმედებისათვის 5-5 წლის პატიმრობა მიუსაჯა ამავე რაიონის სოფელ ფიჩხოვანის კოლმეურნეობის წევრებს ა. ბაგაურსა და თ. ბაგაურს, რომელიც კოლმეურნეობის საერთო კრებაზე არ დაემორჩილნენ თავმჯდომარეს და კოლმეურნეობის თავმჯდომარის სამუშაოდან განთავისუფლება მოითხოვეს. ა. და თ. ბაგაურების მოთხოვნას კრებაზე დამსწრეთა ნაწილმა მხარი დაუჭირა. შეიქმნა ხმაური და უწყისობა. რაიონის პროკურატურამ ა. და თ. ბაგაურების მოქმედება ჩათვალა თავაწყვეტილ საქციელად და დაპატიმრა ისინი. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიაში მსჯავრდებულებს იცავდა ადვოკატი შ. ანდლულაძე, რომელიც მოითხოვდა დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო განაჩენის გაუქმებას და საქმის წარმოების შეწყვეტას. საკასაციო კოლეგიამ ახმეტის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენი ა. და თ. ბაგაურების მიმართ ძალაში დატოვა. ადვოკატმა ზედამხედველობის წესით საჩივარი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის და საქართველოს სსრ პროკურორის სახელზე, მაგრამ ორივე ინსტანციაში საჩივარი უშედეგოდ იქნა დატოვებული. ადვოკატმა შ. ანდლულაძემ საჩივრით მიმართა სსრ კავშირის პროკურატურას, ადვოკატის მოთხოვნა გაზიარებულ იქნა. გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის პროტესტით აქმე განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა. პროტესტი მიღებულ იქნა უმნიშვნელო პროცესუალური შესწორებით — მსჯავრდადებულებს სასამართლოს მიერ დადგენილი სასჯელი — პატიმრობა დაუტოვა უცვლელად. შ. ანდლულაძემ განმეორებით მიმართა სსრ კავშირის პროკურატურას და მოითხოვა საქმის ზემდგომ ინსტანციაში გადატანა. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა ა. და თ. ბაგაურების მიმართ შეწყვიტა სისხლის სამართლის საქმე დანაშაულებრივი ნიშნების უქონლობის გამო.

მსგავსი მაგალითები არც ისე იშვიათია.

ადვოკატის მიერ სწორი დაცვითი პოზიციის არჩევისათვის და დაცვითი სიტყვის მეცნიერულ-კულტურული დონის ამაღლებისათვის დიდ მნიშვნელობის ფაქტი იყო საქართველოს



სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ინიციატივით გამოცემულმა „ლიტერატურა და ხელოვნების“ მიერ 1966 წელს გამოცემული „ქართველ ადვოკატთა სასამართლო სიტყვები“-ს პირველი წიგნი, სადაც შეტანილია ცნობილი ქართველი ადვოკატების — ა. გელოვანის, ბ. ბარათაშვილის, ა. საგინაშვილის, ვ. სიღამონიძის, ნ. გიგინეიშვილის, გ. უგრეხელიძისა და სხვათა დაცვითი სიტყვები.

ადვოკატის მოღვაწეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს მოსახლეობისათვის იურიდიული კონსულტაციების გაწევა. ადვოკატთა დასაბუთებული ახსნა-განმარტება ერთის მხრივ თავიდან აცილებს სახალხო სასამართლოებს ზედმეტ დატვირთვას, მეორეს მხრივ კი წარმოადგენს მოქმედი კანონმდებლობის პოპულარიზაციის საშუალებას. იურიდიულ რჩევა-დარიგებასთან ერთად, ადვოკატი მოქალაქეს უდგენს კანონის შესაბამისად საქმიან ქალაქებს — სასარჩელო განცხადებებს, პროტესტებს ზედამხედველობის წესით და სხვ.

საბჭოთა კანონმდებლობის პრობაგანდა ადვოკატის მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. ამით ისინი ფართო მასებს აცნობენ საბჭოთა სამართლის ძირითად საფუძვლებს და ხელს უწყობენ თითოეულ მოქალაქეში კანონისადმი პატივისცემის გრძნობისა და პასუხისმგებლობის განვითარებას.

ადვოკატები სოციალისტური სამართლის პრობაგანდის ეწევიან სხვადასხვა ფორმით: კითხულობენ ლექციებს წარმოება-დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, სკოლებში. ლექციები იკითხება ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორიცაა „სოციალისტური საკუთრების დაცვა“, „ბრძოლა ხულიგნობის წინააღმდეგ“, „შრომის კანონმდებლობა“ და სხვა. ამასთანავე წარმოება-დაწესებულებებში ეწყობა იურიდიულ საკითხებზე კითხვა-პასუხის საღამოები, სადაც ადვოკატები დამსწრე საზოგადოებას ათვისცნობიერებენ სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებში.

ადვოკატები სისტემატურად გამოდიან პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში. საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის 100 ადვოკატი პარ-

ტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების შტატგარეშე ლექტორია, ხოლო 230 ადვოკატი — საზოგადოება „ცოდნას“ წევრი.

გარკვეული წვლილი შეიტანეს ქართული ადვოკატურის განვითარებასა და წინსვლაში შ. მესხივილმა, აკ. ჭავჭავაძემ, ივ. სამთელაძემ, ალ. ჭიჭინაძემ, ი. ცივაძემ, ა. შარაშენიძემ, იბ. კაკულიამ და სხვ.

დღეისათვის ქართულ ადვოკატურაში მოღვაწეობს მაღალი კულტურისა და მეცნიერული მომზადების მრავალი ადვოკატი, რომელნიც, აქტიურად ემსახურებიან იმ დიდ ამოცანების განხორციელებას, რაც სკკპ XXIV ყრილობამ დააყენა ჩვენს ქვეყანაში დანაშაულის აღმოფხვრისა და მოსახლეობის კომუნისტური სულისკვეთების აღზრდის საქმეში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ადვოკატების — ა. გელოვანის, გ. თარხნიშვილის, ბ. ხომერკის, ნ. გიგინეიშვილის, ვ. სიღამონიძის, ვ. ყურაშვილის, ვ. ჭედუას, შ. ტყეშელაშვილის, ა. ჭილაძის, უ. კაპანაძის, შ. ლეკვიშვილის, ეკ. ხარატიშვილის, ბ. ბარათაშვილის, ფ. ბააზოვას, ო. ლასხიშვილის, გ. უგრეხელიძის, ა. ხოჭოლავას, ილ. კაშიას, ე. ჭიჭიშვილის, ჯ. ბაქრაძის, ალ. საგინაშვილის, ალ. ლომინაძის და სხვათა მოღვაწეობა.

სახელოვანი თარიღი საბჭოთა საქართველოს ადვოკატურის 50 წელი ხელისუფლების ორგანოების მიერ 17 მაისს საზეიმო ვითარებაში აღინიშნა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მიღწეულით დავკმაყოფილდეთ. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ინტერესები საბჭოთა იუსტიციის ორგანოების წინაშე, მათ შორის ადვოკატურის წინაშე ახალ ამოცანებს აყენებს. ეს ამოცანებია, რაც შეიძლება ეფექტურად გავშალოთ მოსახლეობაში სოციალისტური კანონმდებლობის პრობაგანდა, თითოეულ მოქალაქემდე დავიყვანოთ საბჭოთა სამართლის მიზანდასახულობა და ამით ხელი შევუწყვით დანაშაულის თანდათანობით შემცირებას და მთლიანად მოსპობას.

პროცესზე დამხმარის დახმარის შესახებ

6. დავითია,

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და პროფილაქტიკური მუშაობის გაუმჯობესების ამოცანები მოითხოვენ სასამართლო პროცესის მაღალ დონეზე ჩატარებას. ამის განსახორციელებლად დაცვას გარკვეული მოვალეობა აკისრია.

სასამართლო სამსჯავრო პროცესში დამცველის მონაწილეობას და მის სიტყვას უდიდესი პოლიტიკური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 23-ე მუხლის საფუძველზე დამცველი მოვალეა დაცვას ბრალდებულის ინტერესები კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალებითა და ხერხით, რათა გამოიკვეს ის გარემოებები, რომლებიც ამართლებს ბრალდებულს ან უმსუბუქებს მას პასუხისმგებლობას. მხოლოდ ამ გზით შეუძლია დამცველს შეიტანოს წვლილი კემპარიტების დადგენაში, საბჭოთა მართლმსაჯულების განხორციელებაში.

ჩვენ ბევრი გვყავს ნიჭიერი და მაღალკვალიფიციური სასამართლო ორატორები, რომელთა გამოსვლა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი დამცველი პროცესზე მონაწილეობის დროს არ იცავს ზომიერებას, უხეშობს და ამით საზოგადოების თვალში ბლავს დაცვის ავტორიტეტს. ასეთი მოქმედება ნდობას უკარგავს მას სასამართლოს შემადგენლობის წინაშე და ზიანს აყენებს სამართალში მიცემულის კანონიერ ინტერესებს.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი და იურიდიული კონსულტაციები სისტემატურად ამოწმებენ თუ როგორ მონაწილეობენ ადვოკატები პროცესზე, განაზოგადებენ მათს საქმიანობას და ახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს მუშაობის გასაუმჯობესებლად.

შესაძლოა მომავალში კიდევ მეტის ვაკეთებაა საჭირო, მაგრამ დღეისათვის არსებითად ასეთი კონტროლი არსებობს და იგი თავის მიზანს ამართლებს.

ამ წერილში ჩვენ გვინდა შევჩერდეთ იმ პირებზე, რომლებიც არ არიან ადვოკატთა კოლეგიის წევრები და ისე ასრულებენ დაცვის ფუნქციას.

შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ჯეროვანი კონტროლი და მეტვალყურეობა არ ეწევა იმ პირთა საქმიანობას, რომლებიც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 43-ე მუხლის საფუძველზე მონაწილეობენ სასამართლო პროცესებში და ასრულებენ დაცვის ფუნქციებს.

ყველამ, ვინც სასამართლო პროცესებს ესწრება, როდი იცის, რომ კანონით, სასამართლოში დაცვის ფუნქციები, გარდა ადვოკატებისა, შეუძლია განახორციელოს პროფესიული კავშირებისა და სხვა ორგანიზაციითა წარმომადგენლებმა.

ამასთან სასამართლოს განჩინებით ან მოსამართლის ერთპიროვნულ დად-

გენილებით დამცველებად შეიძლება დაშვებულ იქნენ სამართალში მიცემულის ახლო ნათესავები, აგრეთვე სხვა პირები.

ბევრს შეცდომით ჰგონია, რომ თითქოს „დამცველი“ იგივე „ადვოკატი“ და არ იცის თუ რა განსხვავებაა მათს შორის.

შემჩნეულია, რომ ზოგჯერ საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან გამოყოფილი დამცველები ვერ უწევენ მოქალაქეებს კვალიფიციურ იურიდიულ მომსახურებას, რაც ბევრ გაუგებრობას და ცალკეულ პირთა უკმაყოფილებას ჰქმნის, ამასთან, გარკვეულ ჩრდილს აყენებს ადვოკატის სახელს, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ყველამ არ იცის, რომ ამ პირებს არავითარი საერთო არა აქვთ ადვოკატურასთან.

მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინათ თბილისის გარნიზონის სამხედრო ტრიბუნალმა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს აცნობა ვინმე ვ. ს. იკოევის მიერ ადვოკატისათვის შეუფერებელი უტაქტო მოქმედების შესახებ. იკოევი, რომელიც იცავდა დაზარალებულის ინტერესებს, პროცესზე უხეშად იქცეოდა, არღვევდა საპროცესო ნორმებს, ორჯერ ჩაშალა სხდომა და სხვ.

შემოწმებით გამოირკვა, რომ მოქ. იკოევი არასდროს არ ყოფილა ადვოკატთა კოლეგიის წევრი, ამასთან, ისიც დადგინდა, რომ იგი არსად არ მუშაობს, მაგრამ მაინც სისტემატურად ახერხებს გამოვიდეს სასამართლო პროცესებზე რომელიმე პირის ინტერესების დასაცავად. პროცესებზე იგი გამოდის სანოტარო კანტორების მიერ გაცემული მინდობილობით და თუ როგორ იცავს ის მოქალაქეთა ინტერესებს, ამას ადასტურებს სამხედრო ტრიბუნალის აღნიშნული წერილი. იკოევის უღირსი საქციელი სამხედრო ტრიბუნალმა იმიტომ გვაცნობა, რომ იგი ადვოკატთა კოლეგიის წევრი ეგონათ.

ანალოგიური შინაარსის სიგნალების მიღების საფუძველზე ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმში დაინტერესდა ამ საკითხით და გამოირკვა, რომ მხოლოდ ქ. თბილისის სანოტარო კანტორების მიერ 1971 წელს სამასზე მეტ პიროვნებას მიეცა მინდობილობა პროცესზე დამცველად მონაწილეობის შესახებ. მათ შორის რწმუნების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი გაიცა ახლო ნათესავებზე. ბევრ შემთხვევაში მინდობილობა მიღებული აქვთ ისეთ პირებს, რომლებიც წინათ გასამართლებული იყვნენ სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის ან შეუფერებელი საქციელისათვის გარიცხული არიან ადვოკატთა კოლეგიის რიგებიდან. მათ შორის ბევრს არ გააჩნია არავითარი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა იურისპრუდენციის დარგში.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ასეთი რწმუნების გაცემა შეუძლიათ კოოპერატიულ, სპორტულ ორგანიზაციებს, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს (რეგრესის საქმეებზე) და სხვ., ადვილი წარმოსადგენია რამდენ პირს აქვს შესაძლებლობა გამოვიდეს სასამართლო პროცესებზე, როგორც დამცველი და რაკი მათ მიმართ დაწესებული არაა სათანადო კონტროლი, საეჭვოა ყველა მათგანი კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად ასრულებდეს მოქალაქეთა და ორგანიზაციების ინტერესების დაცვას.

არც ეს არის შემთხვევითი, რომ უკანასკნელ წლებში ზოგიერთი საწარმო-დაწესებულების, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები იშვიათად თუ მიმართავენ ადგილებზე იურიდიულ კონსულტაციებს ადვოკატის გამოყოფის შესახებ, და რწმუნებას აძლევენ ცალკეულ პირებს სასამართლოში მათი ორგანიზაციის ინტერესების დაცვის შესახებ. ამასთან, არავის

არ აინტერესებს, თუ რამდენად ხარისხიანად ასრულებენ ისინი დამცველის მოვალეობას.

ვფიქრობთ, ეს საკითხი მნიშვნელოვანია და სათანადო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

ჩვენ ვაყენებთ საკითხის კანონის ამ მუხლის შეცვლის ან მასში არსებითი ხასიათის დამატების შეტანის შესახებ. დაცვის ეს ინსტიტუტი, რომელიც შეიქმნა ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებში, თავის დანიშნულებას ამართლებდა და მომავალშიც შეიტანს წვლილს საბჭოთა მართლმსაჯულების განხორციელებაში.

მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ უკანასკნელ წლებში გაიზარდა ადვოკატურის როლი. მისი რიგები განმტკიცდა და გაფართოვდა. ამჟამად საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიებში გაერთიანებულია 650-ზე მეტი კვალიფიციური ადვოკატი, რომელთაც უნარი შესწევთ მაღალ დონეზე განხორციელონ დაცვის ფუნქციები. ამის გათვალისწინებით საჭიროა მომავალში განსაკუთრებული სიფრთხილით მივუდგეთ სასამართლოში დამცველებად იმ პირთა დაშვების საკითხს, რომლებიც ადვოკატთა კოლეგიის წევრები არ არიან.

სასამართლო პროცესზე დაცვის განსახორციელებლად სანოტარო კანტორებმა რწმუნება არ უნდა მისცენ ისეთ პირს, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ამ მოვალეობის შესრულებას.


ცნობილია, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან გამოყოფილი დამცველი თავისი სახელით მოქმედებს და მას იგივე უფლება-მოვალეობა აქვს მიიღებულ, რაც ადვოკატთა კოლეგიის წევრს. ამ სახით გამოყოფილი დამცველი არ შეიძლება მივიჩნიოთ საზოგადოებრივ დამცველად, რომლის პროცესუალური მდგომარეობა სულ სხვაა (იხ. საქართველოს სსრ სსსკ 251-ე მუხლი).

პროფესიული კავშირების ძირეული კოლექტივები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ ბრალდებულის ან მისი ოჯახის წევრების თხოვნას და სასამართლოზე დაცვის ფუნქციის შესასრულებლად მხოლოდ ღირსეული პირი გამოყონ. მიზანშეწონილია ამ მოვალეობის შესრულება, უპირველეს დაეკისროს იურისკონსულტს ან სოც-უფლებრივი განყოფილების თანამშრომელს.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, საქართველოს სსრ სსსკ 43-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს განჩინებით ან მოსამართლის ერთპიროვნული დადგენილებით დამცველად შეიძლება დაშვებულ იქნას ბრალდებულის უახლოესი ნათესავი და კანონიერი მემკვიდრე (მათ არ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა წინასწარ გამოძიებაში).

კანონით, ახლოებელ ნათესავებად ითვლებიან: მშობლები, შვილად ამყვანი, შვილები, შვილად აყვანილნი, ძმები და დები, პაპა, ბებია, შვილიშვილები, აგრეთვე ქმარი და ცოლი. ხოლო კანონიერი წარმომადგენლები — მშობელი, შვილის ამყვანი, მეურვე, ბრალდებულის ან დაზარალებულის მზრუნველი. იმ დაწესებულებისა და ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომლის მზრუნველობაში ბრალდებულის ან დაზარალებულის იმყოფება.

ამიტომ სასამართლო ვალდებულია გაარკვიოს წარმოდგენილი ცნობის რეალობა კანონიერ მემკვიდრეობისა და უახლოეს ნათესაობის შესახებ, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმას, აღნიშნულ პირს აქვს თუ



არა ცოდნა და გამოცდილება, რომ დაიცვას სამართალში მიცემულის ინტერესები.

რაც შეეხება საკითხს „სხვა პირების“ დამცველად დაშვების შესახებ, თუმცა კანონით ის დაზუსტებული არ არის, მაგრამ, ჩვენი აზრით, არ შეიძლება იმ პირთა წრე განუსაზღვრული იყოს.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ წინასწარ უნდა შეისწავლოს თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნება ამა თუ იმ პირის დამცველად დაშვება.

ამ საკითხის გამო სავსებით სწორი მოსაზრებაა გამოთქმული იურიდიულ ლიტერატურაში. ასეთი პირების მიერ დაცვის ფუნქციების განსახორციელებლად საჭიროა:

ა) არსებობდეს განსაკუთრებული დამოკიდებულება სამართალში მიცემულსა და იმ პირს შორის, რომელიც გამოყოფილია დამცველად (მაგალითად უახლოესი მეგობრობა, სამსახურებრივი მოვალეობა და ა. შ.).

ბ) იმ პირს უნდა ჰქონდეს სათანადო ცოდნა, რომ ეფექტურად განახორციელოს სამართალში მიცემულის დაცვა;

გ) აღნიშნული პირი უნდა იმსახურებდეს სასამართლოს ნდობას.

ამიტომ არის, რომ კანონი ეგრეთწოდებულ „სხვა პირების“ დამცველად დაშვების საკითხის გადაწყვეტას, თავის შეხედულებისამებრ, უშუალოდ სასამართლოს ანდობს.

საერთოდ, არ უნდა დავუშვათ დამცველის სახით სასამართლო პროცესზე ისეთი პირის მონაწილეობა, რომელიც სამართალშია მიცემული ან რომელსაც აქვს ნასამართლობა, აგრეთვე ის პირები, რომლებიც სერიოზული გადაცდომისათვის გარიცხულნი იყვნენ ადვოკატთა კოლეგიის რიგებიდან ან დათხოვნილნი სასამართლო-პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებიდან.

სასამართლოს ტრიბუნაზე გამოსვლის უფლება არ უნდა მივცეთ ისეთ პირს, რომელიც მორალური სახითა და საქმიანობით ღირსი არ არის შეასრულოს დაცვის საპატიო მოვალეობა.

უხუცესი ადვოკატი



ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ხუციშვილი დაიბადა 1892 წლის 12 სექტემბერს, თბილისში. უმაღლესი განათლება მიიღო მოსკოვის ყოფილ საიმპერატორო უნივერსიტეტში.


ორმოცდაჩვიდმეტი წლის წინათ, 1915 წ. 23 ოქტომბერს, სრულიად ახალგაზრდამ — ოცდასამი წლისამ განცხადებით მიმართა თბილისის სასამართლო პალატას: „უმორჩილესად გთხოვთ ჩამრიცხოთ თბილისის საოლქო სასამართლოს ოლქის ნაფიც ვეჭილთა პრაქტიკანტად და მიმამაგრეთ ვეჭილ ა. ი. ანდრონიკოსს“. 1920 წ. დაწერილ თხოვნაში კი ვკითხულობთ: „იმის გამო, რომ დამთავრდა სტაჟი, რომელიც საჭიროა ნაფიც ვეჭილად გადასვლისათვის და ამ ხნის განმავლობაში მე ვაწარმოებდი სხვადასხვა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებსაც ამ თხოვნას ვურთავ, გთხოვთ ჩამრიცხოთ თბილისის სასამართლო პალატის ოლქის ნაფიც ვეჭილთა რიცხვში“. აქვეა ა. ანდრონიკო-

ვის რეკომენდაცია: „ვადასტურებ, რომ ნაფიცი ვეჭილის თანაშემწემ ა. ხუციშვილმა ჩემთან მუშაობის დროს გამოავლინა საკმარისი ცოდნა როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებისას და ჩემი ხელმძღვანელობით მის მიერ შეძენილი გამოცდილება მას საშუალებას აძლევს სრულიად დამოუკიდებლად აწარმოოს საქმეები და ღირსია ჩაირიცხოს ნაფიც ვეჭილად“.

და მას შემდეგ ალექსანდრე ხუციშვილს ადვოკატურისთვის არ უღალატია. 1915 წლიდან პენსიის ასაკამდე იგი დაუღალავად მუშაობდა ნაფიც ვეჭილად, შემდეგ კი — ადვოკატად.

წლებს 13 სექტემბერს ალექსანდრე ხუციშვილს, ერთ-ერთ უხუცესთაგანს ადვოკატთა შორის, 80 წელი შეუსრულდება, მაგრამ მას მაინც მაგარი მუხლი და ფხიზელი თვალი აქვს, ჩვეული სიმტკიცით აუყვება ხოლმე აღმართს ათარბეგოვის ქუჩამდე... სათვალე რა სათქმელია — შეუძლია ჩანაწერი „შეუიარაღებელი“ თვალითაც წაიკითხოთ. საუბარი მშვიდი და აუღელვებელი აქვს, ხალისიანად გვიამბობს თავისი ბავშვობისა და ახალგაზრდობის დროინდელ ამბებს. გულთბილად იგონებს მამას — თბილისის ყოფილ პირველი გიმნაზიის მათემატიკის მასწავლებელს ალექსანდრე ლუარსაბის ძე ხუციშვილს. თვითონაც ეს გიმნაზია დაამთავრა 1910 წელს.

— ჩემი სტუდენტობის წლებს დაემთხვა ლ. ნ. ტოლსტოის გარდაცვალება, — გვიამბობს ალექსანდრე ხუციშვილი. — ლ. ტოლსტოი ეკლესიამ მტრად გამოაცხადა და სწყევლიდა მას, რასაც სტუდენტთა აღფლავება და რევოლუციური მოძრაობა მოჰყვა. მთავრობის განკარგულებით დაიკეტა უნივერსიტეტი, მოსკოვის



უნივერსიტეტის ყველა პროფესორ-მასწავლებელი სამუშაოდან გაათავისუფლეს, განათლების მინისტრად დაინიშნა მონარქისტი კასო...

სტუდენტთა მღელვარებაში ალექსანდრე ხუციშვილიც მონაწილეობდა.

მოწინავე ქართველებთან — მიხეილ ზანდუკელთან, ნიკოლოზ გამრეკელთან, ვიქტორ იმედაშვილთან და სხვებთან ერთად ალექსანდრე ხუციშვილი წვერი იყო „ქართველთა საზოგადოებისა“, რომელსაც სუმბათოვ-იუჟინი თავმჯდომარეობდა.

დღეს იგი წარსულის მოგონებებით ტკებება... უყვარს ფეხით სიარული, გზაზე სვდება თავის თანატოლებს გიორგი თარხნიშვილსა და სხვებს, მათთან ერთად იგონებს გიმნაზიაში გატარებულ დღეებს, ახალგაზრდობას, სვდება თავის გაზრდილებს, სიყვარულით და მზრუნველად ესაუბრება მათ. ოჯახური საზრუნავი და სიხარულიც ბევრი აქვს ხუთი შვილის მამასა და ცხრა შვილიშვილის პაპას ალექსანდრე ხუციშვილს.

დ. ნანოგაშვილი.

მეზიქონი სულის იუჯისზი



რი პირობების გამო პირველი ორი კურსის დამთავრების შემდეგ შეწყვიტა სწავლა და მუშაობა დაიწყო. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა იგი დუშეთის საშუალო სკოლაში ქართული ენის მასწავლებლად დანიშნა. აქტიური მუშაკი, იგი მალე განათლების მუშაკთა პროფკავშირის სამაზრო გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს, ამავე დროს საქართველოს რესპუბლიკის განათლების პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის წევრად ირჩევენ, შემდეგ კი საქართველოს პროფკავშირის საბჭოს პლენუმის წევრად. 1924 წლიდან 1927 წლამდე დუშეთის სამაზრო საბჭოს დეპუტატია. ამ პერიოდს განეკუთვნება ერთი საინტერესო ეპიზოდი მისი ცხოვრებისა.

ბენიამინ ერმალოვის ძე ულენტი თითქმის ნახევარი საუკუნეა პირნათლად ემსახურება საბჭოთა ადვოკატურას, პრინციპულად იცავს პიროვნების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

1925 წლის აგვისტოში საქართველოს ეწვია ევროპის მასწავლებელთა დელეგაცია. სტუმრებს შორის იყვნენ ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები და სხვები. საქართველოს რესპუბლიკის საზღვარზე, დარიალის თვალწარმტაც ხეობაში, მათ შეხვდა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის დელეგაცია, რომელშიც ბ. ულენტიც შედიოდა.

ბ. ე. ულენტი დაიბადა 1900 წლის 6 ნოემბერს დაბა ჩოხატაურში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ჩოხატაურის ორკლასიან სასწავლებელში, შემდეგ კი სწავლა განაგრძო ჩოხატაურის გიმნაზიაში. 1920 წელს იგი უკვე ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაშია, რომლის სრული კურსი 1922 წელს დაასრულა. იმავე წელს ბ. ულენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხა, მაგრამ მძიმე ოჯახუ-

დელეგაციამ სტუმრები დუშეთში ჩამოიყვანა. მასპინძლობა დავალებული ჰქონდა დუშეთის მაზრის განათლების მუშაკთა პროფესიულ კავშირს, რომლის თავმჯდომარე ბენიამინ ულენტი იყო. ბ. ულენტი იკონებს: „1925 წლის აგვისტოში შევიტყუეთ, რომ საქართველოს სამხედრო გზით საქართველოში სტუმრად მოდიოდა ევროპის მასწავლებელთა დელეგაცია. ჩვენმა კავშირმა მათ შეხვედრა მოუწყო თავად ჭილაშვილთა ყოფილი სასახ-

ლის ეზოში. თბილისიდან ჩამოვიდა განათლების სახალხო კომისარიატის სპეციალური დელეგაცია თარჯიმნებითურთ. სტუმრების შეხვედრისადმი მიძღვნილი სხდომა განათლების კავშირის დავალებით მე გავხსენი და ვთქვი, რომ მასწავლებლები და განათლების მუშაკთა პროფკავშირი შეხმატბილებული ვმუშაობთ პარტიასთან და ხელისუფლებასთან. როცა ეს სიტყვები სტუმრებს სხვადასხვა ევროპულ ენებზე უთარგმნეს, ისინი ამას ოვაციით შეხვდნენ. დუშეთშივე სტუმრებთან ერთად სურათიც გადავიღეთ, რომლის ერთი ცალი დღესაც ჩემთან არის დაცული. საღამო ხანს სტუმრები თბილისში გავისტუმრეთ.

ევრობის ქვეყნების მასწავლებლები დიდი ინტერესით გაეცნენ საქართველოს სკოლების მუშაობას“.

1926 წელს ბენიამინ ულენტმა გამოცდები ჩააბარა ადვოკატის წოდების მოსაპოვებლად, ჩიირიცხა ადვოკატთა კოლეგიაში და სამუშაოდ დუშეთის მაზრაში იქნა გამწესებული. ამ დროიდან მას არაერთხელ უსახელებია თავი, როგორც მებრძოლი სულის იურისტს და სამშობლოსათვის თავდადებულ მოქალაქეს. საქმარისია მოვიგონოთ თუნდაც ერთი მაგალითი, რომლითაც ჩანს, თუ როგორ იბრძოდა ადვოკატი ბ. ულენტი სახალხო ქონების დასაცავად.

1933 წელს ბ. ულენტი ჭერ ისევ დუშეთის მაზრაში მუშაობდა. ზოგიერთმა გადაგარებულმა ხელმძღვანელმა მოხერხებულად გაძარცვა დუშეთის მაზრის არსებული ეკლესია-მონასტრები, საიდანაც დაიტაცეს საუკუნეობით დაცული დიდი ღირებულების ოქროსა და ვერცხლის ძვირფასეულობა.

ამ გაუგონარმა ამბავმა ხალხი აღაშფოთა. სახალხო ქონების დამტაცებელთა წინააღმდეგ ხმა ვაჟაკურად აღიმართა ბენიამინ ულენტმაც, რომელიც, მართალია, დევნასა და შევიწროებას ვერ ასცდა, მაგრამ ბოლომდე გაიტანა სამართლიანობისათვის ბრძოლის ლელო.

ბენიამინ ულენტმა გაზეთ „მუშაში“ 1933 წლის სექტემბერში მოათავსა წერილი სათაურით „გამანადგურებელი პასუხი სოციალისტური საკუთრების გამწიფებებს“. ეს წერილი დაიბეჭდა ხელმოწერით „მამზიბებელი“. ამის მიუხედავად დამწნავენი დაუსჯელი რჩებოდნენ. ამიტომ ბ. ულენტი წავიდა მოსკოვში. საჩივრით მიმართა ი. ბ. სტალინს, ინახულა კლიმენტი ვოროშილოვი. გაზეთ „პრავდის“ და სსრ კავშირის პროკურორის ჩარევით საქმე ადგილიდან დაიძრა. „პრავდის“ კოლეგიის დავალებით ცნობილი საბ-

ჭოთა ყურნალისტი დ. ზასლავსკი გაზეთ „პრავდაში“ ორჯერ გამოვიდა ფელეტონებით: „არაგვის ერისთავები“ („პრავდა“, 1934 წ. 30 ივნისი) და „გვიანი, მაგრამ მოწყალე სამართალი“ („პრავდა“, 1935 წ. 29 ივნისი). ეს ფელეტონები რესპუბლიკის გაზეთებმაც („კომუნისტმა“ და „ზარია ვოსტოკამ“) გადმობეჭდეს.

ამ ნაწყვეტები ამ ფელეტონებიდან: „ღარიკის ხეობის ვიწროებიდან გასხლტელი, ტურისტებით სავსე ავტომობილი ჭვარის უღელტეხილზე გადასვლის შემდეგ დიდხანს არტყამს წრეებს დაღმართზე. არაგვის გასწვრივ მთავრდება უკანასკნელი ასი კილომეტრი საქართველოს სამხედრო გზისა. უკანასკნელისწინა გაეჩრებაზე ექსკურსიამძღოლი ათასმეერთედ უბრუნდება მრავალჯერ ნათქვამ სიტყვებს: თქვენ წინა ძველი ქალაქი დუშეთი, არაგვის ერისთავთა საცხოვრებელი ადგილი. ისინი იყვნენ ძალაუფლებიანი ფეოდალები მთელ კავკასიაში. არაგვის შეეძლო მათთან გამკლავება, თვით თბილისის მმართველნიც უძლური იყვნენ მათ წინაშე. ერისთავები დაუზოგავად ძარცვავდნენ მოსახლეობას, ნაძარცვს კი უყოფდნენ მღვდლებს. გლეხები აქ ღარიბად ცხოვრობდნენ, მღვდლები კი ფუფუნებაში იყვნენ. შემორჩენილი ძველი მონასტრები და ეკლესიები. ერთერთში არის ვერცხლის ჭვარი, რომელსაც ცეცხლოვანს ეძახიან, რაც მიუთითებს ცეცხლისადმი კერპთაყვანისმცემლობის კვალზე. თუმცა მღვდლების მფარველობა სულაც არ უშლიდა ხელს არაგვის ერისთავებს ზოგჯერ გაძარცვათ საეკლესიო ქონება.

ავტობუსის მძღოლს დიდი ხანია მობეზრდა ისტორიული ლაპარაკი და სულ ერთი და იგივე ორიგინალური მახვილსიტყვაობა. ავტომანქანა ბრაზიანად სჩივიანებს, ხოლო გზის მტკვრში იმალება პატარა დუშეთი თავისი პირქუში ფეოდალური წარსულით, ძველი ნაგებობებით, კერპთაყვანისმცემელთა ჭვრით, თავისი დევანდელი მოკრძალებული საბჭოთა ცხოვრებით, რითაც არ ინტერესდებიან ტურისტები და ნაკლებ ინტერესს იჩენენ თბილისელი ბელისუფლები.

არაფერს საინტერესოს დუშეთი არ წარმოადგენს, ერისთავები დიდი ხანია, რაც აღარ არიან, მათ სახელიც კი დავიწყებას მიეცა, ძველი ნაგებობები თანდათან ინგრევიან, ისტორიული ჭვარი ცეცხლთაყვანისმცემელთა დიდი ხანია აღარ არის, ჩვენამდე ვერ მოაღწია... ცხოვრება ახლა სულ სხვაა, და როცა ადგილობრივი კორესპონდენტი იუწყება, რომ დუშეთის რაიონის ზოგიერთ სასოფლო საბ-

კოებსა და კოოპერატივებში მოკალათდნენ თაღლითები და მძარცველები, რაიონული პარტიული კომიტეტის მდივნის გოგოლაძის თანხმობით აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მდივნიშვილის ხელისშეწყობით და აშკარა მფარველობით, მუშათა კომიტეტებს არ სჯიან სიკვდილით, არ კლავენ ხანჯლით, არამედ ძალიან მშვიდობიანად ასახლებენ იმ სახლიდან, რომელშიაც ის ცხოვრობს 12 წელიწადი, შემდეგ კი მთელი ძალით აიძულებენ რაიონიდან წავიდეს. ხოლო როცა რაიონის პროკურორი ხაფავა აწარმოებს გამოძიებას და მტკიცდება ყველა ფაქტი თავხედური გატაცებისა, პროდუქტების განიავებისა, გაფლანგვისა, როცა მტკიცდება აგრეთვე, რომ გოგოლაძე „განაკულებს“ პატიოსან კომპიურნებს, რომელთაც პირად ანგარიშს უსწორებს, რომ რაიონში სუფევს არეულობა, გამოძიების შედეგების მიხედვით გოგოლაძე და მისი თანამშრომლები უნდა გადაეცნენ სასამართლოს და დაუყოვნებლივ უნდა მოხსნილიყვნენ. — პროკურორს არ აგდებენ არაგვში, არამედ მშვიდად და წყნარად გადაჰყავთ სხვა რაიონში, საქმე კი გატაცებასა და უკანონობაზე ეძლევა დავიწყებას, როგორც ისტორიული მასალა, რომელიც აინტერესებს მარტო არქივის ვირთავებს.

არაგვის ერისთავები დიდი ხანია აღარ არიან ამ ქვეყნად, ისინი გაქრნენ 150 წლის წინათ, მათი თანატოლი — ისტორიული ცეცხლის ჭვარი კი გაქრა წელიწადნახევრის წინათ. ეს იყო გადმოცემით სასწაულთმოქმედი ჭვარი, მაგრამ ნამდვილი საოცრება ჩაიდინა მხოლოდ თავისი დაღუპვის წინ; ვერცხლით მოოჭვილი ის გადაიქცა „ტორგისინის“ ბონებად, რომლებიც თავის მხრივ გადაიქცნენ: პაპროსებად და სხვა კარგ პროდუქტებად, რომელთა მთავარი ხარისხის შესახებაც, შეუძლიათ თქვან იმათმა მომხმარებლებმა: გოგოლაძემ, მდივნიშვილმა, „ტორგისინის“ დირექტორმა მახარაძემ და სხვა მონაწილეებმა, ცეცხლისა და ბოლის თაყვანისმცემლებმა.

ყოველივე ამის შესახებ ეპიურად არის მოთხრობილი არა გზისმაჩვენებელში, არამედ რაიონის პროკურორის დასკვნაში, რომელიც ჩაბარდა არქივს. დასკვნაში მოთხრობილია, რომ ვერცხლით მოოჭვილი ძველი ძეგლები

გადაიქცნენ კოვერკოტებად და სხვა ნაჭრებად, რომლებმაც დაამშვენეს აგრეთვე ღუშეთის თავყაცნი.

ფეოდალური გადმონაშთი კი ღუშეთში შეიმჩნევა იმით, რომ თბილისელი პროკურორებს სრულიად უძლურად და მორიდებით უვლიან გვერდს ამ მიუდგომელ ბუდეს... ამრიგად, ყველაფერი, რაც ერთი წლის წინათ დაიბეჭდა ფელეტონად „არაგვის ერისთავები“ (1984 წლის 30 ივნისის „პრავდა“), არამცთუ მთლად დადასტურდა, არამედ მეტი რამეც აღმოჩნდა“.


მხოლოდ მას შემდეგ, რაც „პრავდაში“ დაიბეჭდა მეორე ფელეტონი, დაიწყო სასამართლო კვლევა-ძიება.

სასამართლო გამოარკვია, რომ ღუშეთის რაიონში დიდხანს თარეშობდა ძმებიჭური კომპანია, რომელშიც შედიოდნენ რაიონული პარტიული კომიტეტის მდივანი გოგოლაძე, რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მდივნიშვილი, კოოპერატივის თავმჯდომარე აბურჯანია და ადგილობრივი ხელი-სუფლების სხვა წარმომადგენელი. ამ ვაჟბატონებმა სამუშეუშო ფონდებიდან გაიტაცეს ოქრო-ვერცხლი, გაჰყიდეს იგი „ტორგისინში“, სარგებლობდნენ რა თვითონი სამსახურებრივი მდგომარეობით, ისინი ითვისებდნენ განკუთვნილულთა ქონებას. გოგოლაძე ხელს აფარებდა აშკარა სისხლის სამართლის დამნაშავეებს და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებად ქურდებსა და გამფლანგველებს ნიშნავდა. იგი ხელს აფათურებდა კოოპერატივში, ისე როგორც თავის საკუჭნაოში, ხოლო შემდეგ თავისი დავალიანება, რომელიც რამდენიმე ათას მანეთს უდრიდა, დაფარა საწელმწიფო დაწესებულების კუთვნილი ფულით.

ეს სახელს უტეხდა რაიონში საბჭოთა ხელისუფლებას და ყოველგვარ წარმოდგენას უკარგავდა ხალხს სოციალისტურ კანონიერებაზე.

ბენიამინ ულენტი დღესაც მიუხედავად ხანდაშულობისა ინარჩუნებს მებრძოლ სულს. მას ახარებს ახალგაზრდა იურისტების წარმატებები. იგი თვალისჩინივით უფროხილდება საბჭოთა ადვოკატის ღირებასა და სახელს.

ლვანდის დაუასება



არჩან ადამიანები, რომლებიც ათეული წლების მანძილზე კეთილსინდისიერად ემსახურებიან საზოგადოებას. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის საჩხერის რაიონის სოფელ კალვათის მკვიდრი, პერსონალური პენსიონერი, 77 წლის სიმონ გიორგის ძე კაპანაძე.


ს. კაპანაძე დაიბადა შრომისმოყვარე ოჯახში. ჭიათურის ექვსკლასიანი სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო თბილისის კერძო სრულფლებიან გიმნაზიაში და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა მარტყოფის პირველდაწყებით სკოლაში, შემდეგ კახეთში უხდებოდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერის ექსპედიციის ინსტრუქტორად მუშაობა. 1928 წელს ს. კაპანაძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის იურიდიული განყოფილება, ამავე წლიდან მუშაობა დაიწყო ქ. ჭიათურის იურიდიულ კონსულტაციაში ადვოკატად.

1932 წელს ს. კაპანაძე დანიშნეს ბორჯომის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგედ, 1934 წლიდან კი — საჩხერისა და ჭიათურის რაიონების იურიდიუ-

ლი კონსულტაციის გამგედ. 1936 წლიდან 1954 წლამდე იგი ჭიათურის იურიდიული კონსულტაციის უცვლელი გამგე იყო, 1954 წლიდან 1958 წლის ივნისამდე — ამავე კონსულტაციაში მუშაობდა ადვოკატად.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის 1953 წლის 10 აგვისტოს დადგენილებით ს. კაპანაძე დასავლეთ საქართველოში ადვოკატთა მუშაობის ხარისხის შემმოწმებელი კომისიის წევრად მუშაობდა. შრომისმოყვარეობამ, პატიოსნებამ და ღრმა იურიდიულმა ცოდნამ მას ხალხის ნდობა, ავტორიტეტი და სიყვარული მოუპოვა. 1958 წლიდან ს. კაპანაძე, როგორც გამოცდილი იურისტი ჭიათურის ლენინის ორდენოსან „მარგანტრესტის“ იურიდიული განყოფილების უფროსად მიიწვიეს, სადაც იგი პენსიაში გასვლამდე მუშაობდა.

ს. კაპანაძე მუდამ დიდი ყურადღებით, გულმოდგინებითა და მონღომებით ეცნობოდა საქმეს, აგროვებდა საქმისათვის ყველა საჭირო მასალას. ამიტომაც იყო, რომ იგი ხშირად აღწევდა მიზანს, როგორც ბრალდებულის ჭეშმარიტი დამცველი. ს.



კაპანაძე ახალგაზრდობის მასწავლებელი, აღმზრდელი და სწორი გზის მაჩვენებელია.

1970 წლის 2 ნოემბერს ლენინის სახელობის ჭიათურის მარგანეცის ტრესტის სამმართველომ ს. კაპანაძეს დაბადების 75 და შრომითი საქმიანობის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო მოუწყო. საღამოზე ს. კაპანაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე დამსწრეთ ესაუბრა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის ჭიათურის იურიდიული კონსულტაციის გამგე ბ. ასათიანი. იუბილარს მიესალმნენ: ლენინის ორდენოსანი ჭიათურის მანგანუმის ტრესტის კოლექტივის, ჭიათურის ქალაქის პროკურატურისა და ქალაქის სახალხო სასამართლოს მუშაკები. სიტყვები წარმოთქვეს: საქართველოს იურისკონსულტთა საბჭოს სახელით — პროფესორმა ნ. წერეთელმა, საჩხერის აკ. წერეთლის სახელობის საშუალო სკოლის დირექტორმა,

საქართველოს სსრ დამსახურებულმა მასწავლებელმა გ. სადუნიშვილმა, აკ. წერეთლის სახლ-მუზეუმის დირექტორმა კ. კუჭერაძემ, საჩხერის რაიონული გაზეთის „ახალი ცხოვრების“ რედაქტორმა ს. ლაშხმა.

იუბილარს გადაეცა მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის საპატიო სიგელი, ქ. ჭიათურის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საპატიო პიონერის მოწმობა და ფასიანი საჩუქრები. ს. კაპანაძეს მოსალოცი დეპეშები გამოუგზავნეს: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა სერგი დურმიშიძემ და აკადემიკოსმა გ. ჭოლოშვილმა...

ამაგდარმა იუბილარმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას თავისი ღვაწლის დაფასებისათვის.

ა. ანასაზვილი.

დ ა რ გ ე ნ ი რ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ საქართველოს სსრ კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ 1972 წლის 1 სექტემბრიდან.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს ჯანმრთელო-

ბის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესი და საქართველოს სსრ კანონმდებლობა შეუსაბამოს ამ კანონს.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუსაბამოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებები საქართველოს სსრ კანონს ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწინიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამჩხიძე

თბილისი, 1972 წლის 15 ივნისი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ

ხალხის ჯანმრთელობის დაცვა საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილება უზრუნველყოფს ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის გაწევის უწყვეტელ ამადლებას, შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებას.

სსრ კავშირში, რომლის შემადგენლობაშიც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ნებაყოფლობითი გაერთიანებისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე შედის საქართველოს საბ-

ჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, სორციელებდა სოციალურ-ეკონომიურ და სამედიცინო ღონისძიებათა ფართო სისტემა, რომელიც ხელს უწყობს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებას; ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომი, უფასო და კვალიფიციური სამედიცინო დახმარებით, ფართოდება გამაჯანსაღებელი და სანიტარული ღონისძიებანი, ყოველმხრივ ვითარდება მასობრივი ფიზიკური კულტურა და სპორტი, სოციალისტური საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვას.

საბჭოთა კავშირში ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელოვანი საფუძველია მედიცინის მეცნიერება, რომელიც განუწყვეტლივ ვითარდება. მეცნიერული გამოკვლევები მედიცინის დარგში მიზნად ისახავს ადამიანის ჯანმრთელობისა და ხანგრძლივი აქტიური სიცოცხლისათვის ზრუნვას.

სსრ კავშირში ხალხის ჯანმრთელობის დაცვის სისტემა, რომელიც სოციალიზმის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია, უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის

მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ავადობის შემცირება, წინათ ვაჭრულეული მთელი რიგი ინფექციური დაავადებების ლიკვიდაცია, საერთო და ბავშვთა სიკვდილიანობის მკვეთრი შემცირება, ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობის მნიშვნელოვანი ზრდა.

ჯანმრთელობის დაცვის საბჭოთა კანონმდებლობა აქტიურად უნდა ემსახუროდეს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შემდგომ გაუმჯობესებას, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ამ დარგში კანონიერების განმტკიცებას.

კ ა რ ი ი

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის ამოცანები

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობა აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის დარგში იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს მოქალაქეთა ფიზიკური და სულიერი ძალების ჰარმონიული განვითარება, მათი ჯანმრთელობა, შრომისუნარიანობის მაღალი დონე და ხანგრძლივი აქტიური სიცოცხლე; ავადობის თავიდან აცილება და შემცირება; ინვალიდობისა და სიკვდილიანობის შემდგომი შემცირება; იმ ფაქტორებისა და პირობების აღკვეთა, რომლებიც მავნე გავლენას ახდენენ მოქალაქეთა ჯანმრთელობაზე.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობა შედგება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლებისა და სსრ კავშირის სხვა მათი შესაბამისი საკანონმდებლო აქტებისაგან ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, ამ კანონისა და საქართველოს სსრ სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

მუხლი 3. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოვალეობაა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მოვალეობაა. აღნიშნული ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების უფლებამოსილებას მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში განსაზღვრავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

პროფესიული კავშირები, კოოპერაციული ორგანიზაციები, წითელი ჯვრის საზოგადოება

და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავიანთი წესდებების (დებულებების) შესაბამისად, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მონაწილეობენ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის საქმეში.

საქართველოს სსრ მოქალაქენი უნდა უფრო-ბრძოლიდებოდნენ როგორც თავიანთ, ისე საზოგადოების სხვა წევრთა ჯანმრთელობას.

მუხლი 4. მოქალაქეთა უზრუნველყოფა სამედიცინო დახმარებით

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების მე-4 მუხლის შესაბამისად სსრ კავშირის მოქალაქენი უზრუნველყოფილი არიან სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებათა ყველასათვის ხელმისაწვდომი უფასო და კვალიფიციური სამედიცინო დახმარებით.


მუხლი 5. ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის საფუძვლები საქართველოს სსრ რესპუბლიკაში

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა საქართველოს სსრ რესპუბლიკაში უზრუნველყოფილია სოციალურ-ეკონომიური და სამედიცინო სანიტარული ღონისძიებების მთელი სისტემით და ხორციელდება:

1) ფართო გამაჯანსაღებელი და პროფილაქტიკური ღონისძიებებით და მოზარდი თაობის ჯანმრთელობის დაცვისათვის განსაკუთრებული ზრუნვით;

2) წარმოებისა და ყოფა-ცხოვრების სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შექმნით, საწარმოო ტრავმატიზმის, პროფესიულ დაავადებათა მიზეზებისა და აგრეთვე სხვა იმ ფაქტორების აღმოფხვრით, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ ჯანმრთელობაზე;

3) გარემოს გაჯანსაღების ღონისძიებათა განხორციელებით, წყალსატევების, ნიადაგისა და ატმოსფერული ჰაერის სანიტარული დაცვის უზრუნველყოფით;



4) ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა და სამედიცინო მრეწველობის საწარმოთა ქსელის გეგმიანი განვითარებით;

5) ყველა სახის სამედიცინო დახმარებაზე მოსახლეობის მოთხოვნილებების უფასოდ დაკმაყოფილების, სამედიცინო დახმარების ხარისხისა და კულტურის ამაღლების, დისპანსერული დაკვირვებების თანდათანობითი გაფართოებისა სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების განვითარების გზით;

6) სტაციონარული მკურნალობის დროს სამკურნალო და დიაგნოსტიკურ საშუალებათა უფასოდ გაცემის, სხვა სახის სამედიცინო დახმარების დროს სამკურნალო საშუალებათა უფასოდ ან შეღავათიან პირობებში მიცემის თანდათანობითი გაფართოების გზით;

7) სანატორიუმების, პროფილაქტორიუმების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, ტურისტული ბაზებისა და მშრომელთა სხვა სამკურნალო და დასასვენებელი დაწესებულებების ქსელის გაფართოებით;

8) მქაღალაქეთა ფიზიკური და ჰიგიენური აღზრდის, მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებით;

9) მეცნიერების განვითარებით, მეცნიერული კვლევის გეგმიანი განხორციელებით, ჯანმრთელობის დაცვის დარგში მეცნიერული კადრებისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებით;

10) ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა საქმიანობაში მეცნიერების, ტექნიკისა და სამედიცინო პრაქტიკის მიღწევათა გამოყენებით, ამ დაწესებულებათა აღჭურვიტ, უახლესი აპარატურით;

11) მოსახლეობის კვების მეცნიერულ-ჰიგიენური საფუძვლების განვითარებით;

12) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების ფართო მონაწილეობით.

მუხლი 6. სსრ კავშირის კომპეტენცია ჯანმრთელობის დაცვის დარგში

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის განმდებლობის საფუძვლების მე-6 მუხლის შესაბამისად ჯანმრთელობის დაცვის დარგში სსრ კავშირის კომპეტენციას, მისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოსა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სახით განეკუთვნება:

1) ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელების საერთო-საკავშირო გეგმების დადგენა;

2) მეცნიერული კვლევის განვითარების, სამედიცინო დანიშნულების ახალი პრეპარატე-

ბისა და მოწყობილობის შემუშავების, ამ კვლევისა და სამუშაოთა კოორდინაციის, სამედიცინო პრაქტიკაში მეცნიერების მიღწევების, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის ახალი მეთოდების დანერგვის საერთო-საკავშირო გეგმების დადგენა;


3) სამედიცინო და ფარმაცევტული განათლების განვითარების, უმაღლესი სამედიცინო და ფარმაცევტული სასწავლებლების კურსდამთავრებული სპეციალისტების განაწილების, მეცნიერული კადრების მომზადებისა და მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა დახელოვნების საერთო-საკავშირო გეგმების დადგენა; სამედიცინო და საფარმაცევტო წოდებების დაწესება, მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა მომზადების ვადების დადგენა;

4) მოკავშირე რესპუბლიკებსა, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს შორის სამედიცინო მრეწველობის პროდუქციის წარმოებისა და განაწილების, მედიკამენტების, სამედიცინო ტექნიკის საგნებისა და სამედიცინო დანიშნულების სხვა ნაწარმის ექსპორტისა და იმპორტის საერთო-საკავშირო გეგმების დადგენა;

5) სამედიცინო მრეწველობის დარგში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა დაპროექტებისათვის ერთიანი სამედიცინო-ტექნოლოგიურ მოთხოვნათა დადგენა; სამედიცინო დანიშნულების პროდუქციაზე სახელმწიფო და დარგობრივი სტანდარტების, ტექნიკური პირობებისა და ამ პროდუქციის ფასების დამტკიცება; სსრ კავშირში წარმოებული და საზღვარგარეთიდან შემოტანილი სამედიცინო დანიშნულების პროდუქციის ხარისხის კონტროლის ორგანიზაცია; ნარკოტიკულ ნივთიერებათა წარმოების მოცულობის განსაზღვრა და მათი ბრუნვისა და მოხმარების კონტროლის ორგანიზაცია;

6) სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელობა; საკავშირო დაქვემდებარების სამედიცინო მრეწველობის საწარმოების, ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სამედიცინო და ფარმაცევტული სასწავლებლების, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტების მართვა;

7) საერთო-საკავშირო სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიისაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების დამტკიცება; სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის განხორციელების წესის დადგენა; საკარანტინო დაავადებების შემოტანისაგან სსრ კავშირის ტერიტორიის სანიტარიული დაცვის ღონისძიებების,



აგრეთვე- სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური კეთილდღეობისა და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საერთო-საკავშირო ღონისძიებების განხორციელება;

8) მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მოწყობილობით, ინვენტარითა და ტრანსპორტით აღჭურვის ნორმატივების, მედიკამენტების ხარჯვის ნორმების დამტკიცება, სამკურნალო-პროფილაქტიკურ და ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებებში მყოფ პირთა კვების ნორმების დამტკიცება.

9) ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ერთიანი ნომენკლატურისა და ამ დაწესებულებათა შესახებ ტიპობრივ დებულებათა დამტკიცება; ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა სამედიცინო, ფარმაცევტული, ინჟინერ-ტექნიკური, პედაგოგიური და სხვა პერსონალის საშუალო ნორმატივების განსაზღვრის წესის დადგენა;

10) იმ ძირითად დებულებათა დადგენა, რომლებიც განსაზღვრავენ შრომისუნარიანობის, სისამართლო-სამედიცინო და სისამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ორგანიზაციისა და წარმოების წესს;

11) ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებსა და დაწესებულებებში ერთიანი სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემის დაწესება;

12) ჯანმრთელობის დაცვის იმ სხვა საკითხთა გადაწყვეტა, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად განეკუთვნება სსრ კავშირის გამგებლობას.

მუხლი 7. საქართველოს სსრ კომპეტენცია ჯანმრთელობის დაცვის დარგში

ჯანმრთელობის დაცვის დარგში საქართველოს სსრ კომპეტენციას, მისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სახით, განეკუთვნება:

1) ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელების რესპუბლიკური გეგმების დადგენა;

2) საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელობა; ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა, ორგანიზაციათა, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სამედიცინო და ფარმაცევტულ სასწავლებელთა, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტების მართვა;

3) ჯანმრთელობის დაცვის დარგში საქანონმდებლო აქტების მიღება;

4) სამეცნიერო კვლევის განვითარების, სამედიცინო პრაქტიკაში მეცნიერების მიღწევების, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის ახალი მეთოდების დანერგვის რესპუბლიკური გეგმების დადგენა;

5) სამედიცინო და ფარმაცევტული განათლების განვითარების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სამედიცინო თუ ფარმაცევტული სასწავლებლების კურსდამთავრებულ სპეციალისტთა განაწილების, მეცნიერული კვლების მომზადების და მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა დახელოვნების რესპუბლიკური გეგმების დადგენა;

6) სამედიცინო პრეპარატებისა და მოწყობილობათა წარმოების რესპუბლიკური გეგმების დადგენა; კონტროლის გაწევა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საფუძვლიურ დაწესებულებებისა და საწარმოების მიერ დამზადებულ სამკურნალო საშუალებათა ხარისხზე; კონტროლი ნარკოტიკულ ნივთიერებათა ბრუნვისა და მოხმარებაზე;

7) სამედიცინო პრეპარატებით, მოწყობილობებითა და ავადმყოფთა მოვლისათვის საჭირო საგნებით ვაჭრობის საქონელბრუნვის რესპუბლიკური გეგმების დადგენა;

8) საკარანტინო დაავადებათა შემოტანისაგან ტერიტორიის სანიტარიული დაცვის ღონისძიებები, აგრეთვე სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური კეთილდღეობისა და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება;

9) ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებისა და ორგანოების მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საბატიო წოდებების დაწესება და მინიჭება;

10) ჯანმრთელობის დაცვის იმ სხვა საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციის და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისდ განეკუთვნება საქართველოს სსრ გამგებლობას.

მუხლი 8. ჯანმრთელობის დაცვის ხელმძღვანელობა საქართველოს სს რესპუბლიკაში

ჯანმრთელობის დაცვას სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციების და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების მე-8 მუხლის შესაბამისად ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი

საქართველო
საგარეო ურთიერთობების
მინისტრო

ორგანოები და სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების მე-8 მუხლის შესაბამისად:

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ჯანმრთელობის დაცვას საქართველოს სსრ რესპუბლიკაში, როგორც წესი, ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეშვეობით და მართავს იმ დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც უშუალოდ მას ექვემდებარებიან;

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ჯანმრთელობის დაცვას ხელმძღვანელობს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებისა და მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მეშვეობით და მართავს იმ დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც უშუალოდ მას ექვემდებარებიან;

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებსა და მათ ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის დაცვის, მედიცინის მეცნიერების არსებული მდგომარეობისა და შემდგომი განვითარების, მოსახლეობისათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხისათვის;

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები ხელმძღვანელობენ მათდამი დაქვემდებარებულ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებსა და დაწესებულებებს, ზომებს იღებენ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელის განვითარების, მათი სწორად განლაგებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ორგანიზაციისათვის; კოორდინაციასა და კონტროლს უწევენ ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობას იმ ღონისძიებათა შემუშავებისა და გატარებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას, სანიტარიულ კეთილდღეობას, მშრომელთა დასვენების ორგანიზაციას, ფიზიკური კულტურის განვითარებას, გარემოს დაცვასა და გაჯანსაღებას, აგრეთვე კონტროლს უწევენ თუ როგორ სრულდება

კანონმდებლობა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების კომპეტენციაა ჯანმრთელობის დაცვის დარგში განისაზღვრება კანონებით მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოების შესახებ.

მუხლი 9. ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა უწყებრივი დაქვემდებარება

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები იყოფება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების, მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების გამგებლობაში.

სხვა სამინისტროებს, უწყებებს და ორგანიზაციებს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შეიძლება ექნეთ თავიანთ გამგებლობაში მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებართვით. აღნიშნული სამინისტროები, უწყებები და ორგანიზაციები მოვალენ არიან მართონ ისინი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო კოორდინაციასა და კონტროლს უწევს სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების, მოსახლეობის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მომსახურების, საკარანტინო და სხვა ინფექციურ დაავადებათა შემოტანისა და გავრცელებისაგან სსრ კავშირის ტერიტორიის დაცვის სფეროში ჯანმრთელობის დაცვის იმ დაწესებულებათა მუშაობას, რომლებიც არ შედის მის სისტემაში.

მუხლი 10. ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა, საბავშვო დაწესებულებათა და სპორტულ ნაგებობათა ქსელის განვითარება

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა განლაგება და მათი ქსელის განვითარება უნდა ხორციელდებოდეს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების დადგენილი ნორმატივების საფუძველზე და საქართველოს სსრ რაიონების ეკონომიურ, გეოგრაფიულ და სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით.

დასახლებული პუნქტების, საცხოვრებელი მასივების, საწარმოებისა და სხვა ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჯანმრთელობის დაცვის აუცილებელი დაწესებულებების, ბაღ-



შეთა სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულ ბუნების, სკოლების, სპორტულ შენობათა და ნაგებობათა მშენებლობა.

მუხლი 11. ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა საქმიანობის ორგანიზაციის წესი
სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების მე-11 მუხლის შესაბამისად სამკურნალო-პროფილაქტიკური, სანიტარიულ-პროფილაქტიკური და სააფთიაქო დაწესებულებების საქმიანობის ორგანიზაციის წესის ძირითად დებულებებს ადგენს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ სამკურნალო-პროფილაქტიკური, სანიტარიულ-პროფილაქტიკური

და სააფთიაქო დაწესებულებების საქმიანობის ორგანიზაციის წესს ამ ძირითად დებულებათა შესაბამისად ადგენს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

მუხლი 12. საზოგადოებრიობის მონაწილეობა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების მუშაობაში

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების მუშაობა, რომელიც მიმართულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისაკენ, ხორციელდება საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობით.

სამკურნალო-პროფილაქტიკურ, სანიტარიულ-პროფილაქტიკურ, სააფთიაქო და ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებებთან იქმნება საზოგადოებრივი საბჭოები.

პ ა რ ი II

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობა

მუხლი 13. სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობა

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობა წებადართულია იმ პირებისათვის, რომლებსაც სპეციალური მომზადება და წოდება მიღებული აქვთ სსრ კავშირის შესაბამის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სსსწავლებლებში.

სსრ კავშირში მუდმივად მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არამქონე პირთ, რომელთაც სპეციალური მომზადება და წოდება მიღებული აქვთ სსრ კავშირის შესაბამის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სსსწავლებლებში, შეუძლიათ საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ეწეოდნენ სამედიცინო და ფარმაცევტულ საქმიანობას მიღებული სპეციალობისა და წოდების შესაბამისად.

იმ პირთ, რომლებმაც სამედიცინო ან ფარმაცევტო მომზადება და წოდება მიიღეს უცხოეთის სახელმწიფოთა შესაბამის სსსწავლებლებში, ნება ეძლევათ ეწეოდნენ საქართველოს სს რესპუბლიკაში სამედიცინო ან ფარმაცევტულ საქმიანობას სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობა ეკრძალება იმ პირთ, რომლებიც დადგენილი წესით არ არიან დაშვებული ასეთი საქმიანობისათვის.

მუხლი 14. პასუხისმგებლობა უკანონო ექიმობისათვის

ექიმობა, თუ ის პროფესიად გაიხადა პირმა, რომელსაც არ აქვს სათანადო სამედიცინო განათლება, იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 250-ე უმხლით.

მუხლი 15. ექიმის ფიც

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების მე-13 მუხლის შესაბამისად სსრ კავშირის მოქალაქენი, რომლებმაც დაამთავრეს სსრ კავშირის უმაღლესი სამედიცინო სსსწავლებლები და მიიღეს ექიმის წოდება, დებენ საბჭოთა კავშირის ექიმის ფიცს.

ფიცის ტექსტსა და მისი დადების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 16. მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა პროფესიული მოვალეობანი და უფლებანი

მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა ძირითად პროფესიულ მოვალეობებსა და უფლებებს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების სხვა მუშაკთა პროფესიულ მოვალეობებსა და უფლებებს, ცალკეულ სპეციალობათა მიხედვით, განსაზღვრავს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

ექიმებისა და მედიცინის სხვა მუშაკებთან პროფესიულ უფლებებს, პატივსა და ღირსებას იცავს კანონი.

მუხლი 17. მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა პროფესიული ცოდნის სრულყოფა

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს ევალებათ შეიმუშაონ და გაატარონ ღონისძიებანი მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა სპეციალიზაციის, მათი პროფესიული ცოდნის სრულყოფისათვის, რაც ხორციელდება დახე-



ლოგების ინსტიტუტსა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა შესაბამის დაწესებულებებში მათი პერიოდულად გადამზადების გზით.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები მოვალენი არიან მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკებს შეუქმნან საჭირო პირობები იმისათვის, რომ მათ შეძლონ სისტემატური მუშაობა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების მე-15 მუხლის შესაბამისად მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა ატესტაციის წესს ადგენს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო მედიცინის მუშაკთა პროფესიული კავშირის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად.

მუხლი 18. მოვალეობა საექიმო საიდუმლოების დაცვისა

ექიმებისა და მედიცინის სხვა მუშაკებს უფლება არა აქვთ გაახმაურონ ცნობები ავადმყოფის სენის, ინტიმური და ოჯახური ცხოვრების შესახებ, რაც მათ გაიგეს პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს.

იმ შემთხვევებში, როცა ამას მოითხოვს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ხელმძღვანელები ვალდებული არიან ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს მიაწოდონ ცნობები მოქალაქეთა სენის შესახებ, ხოლო საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებს ცნობებს მიაწვდიან მათი მოთხოვნით.

მუხლი 19. მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა შეღავათები

მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა შეღავათებს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

სოფლად და მუშათა დასახლებებში მცხოვრებ და მომუშავე ექიმებს, პროფიზოორებს, საშუალო სემედიცინო და ფარმაცევტულ პერსონალს, აგრეთვე მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრებს, საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფასოდ ეძლევათ საცხოვრებელი ბინები გათბობით და განათებით.

მუხლი 20. მედიცინის, ფარმაცევტიკისა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა მუშაკების წახალისება

მედიცინის, ფარმაცევტიკისა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა მუშაკებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს თავიანთ პროფესიულ მოვალეობათა შესრულებისას, წახალისებს სახელმწიფო სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 21. მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა პასუხისმგებლობა პროფესიულ მოვალეობათა დარღვევისათვის

მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკებს, რომლებიც დაარღვევენ პროფესიულ მოვალეობებს, ეკისრებათ კანონმდებლობით დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ ეს დარღვევა კანონით არ იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

კ ა რ ი III

საქართველოს სსრ მოსახლეობის სანიტარულ-ეპიდემიური კეთილდღეობის უზრუნველყოფა

მუხლი 22. მოსახლეობის სანიტარიულ-ეპიდემიური კეთილდღეობა

საქართველოს სსრ მოსახლეობის სანიტარიულ-ეპიდემიური კეთილდღეობას უზრუნველყოფს სანიტარიულ-ჰიგიენურ და სანიტარიულ-ეპიდემიისაწინააღმდეგო კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელება და სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სისტემა.


სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიისაწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელება გარემოს გაუქუყიანების ლიკვიდაციისა და თავიდან აცილებისათვის, მოსახლეობის შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაჯანსაღებისა და დაავადებათა თავიდან აცილებისათვის ყველა სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის, კოლმეურნეობის, პროფესიუ-

ლი კავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოვალეობაა.

სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიისაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების დარღვევა იწვევს დისციპლინურ, ადმინისტრაციულ ან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 23. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოები

სახელმწიფო ორგანოების, აგრეთვე ყველა საწარმოს, კოლმეურნეობის, დაწესებულების, ორგანიზაციის, თანამდებობის პირისა და მოქალაქის მიერ სანიტარიულ-ეპიდემიისაწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარების, სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიისაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების დაც-



ვის სახელმწიფო სანიტარიულ ზედამხედველობას ახორციელებენ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოები და დაწესებულებები.

მუხლი 24. სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოებისა და დაწესებულებების უფლებამოსილება

სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის იმ ორგანოებისა და დაწესებულებების უფლებამოსილება, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო სანიტარიულ ზედამხედველობას, განისაზღვრება სსრ კავშირის კანონმდებლობით.

მუხლი 25. ატმოსფერული ჰაერის, წყალსატევების, მიწისქვეშა წყლისა და ნიადაგის გაჭუჭყიანების თავიდან აცილების ღონისძიებათა უზრუნველყოფა

საწარმოთა და დაწესებულებათა, საპროექტო, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, კოლმეურნობათა გამგეობები ვალდებული არიან საწარმოთა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტთა დაპროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ექსპლოატაციის დროს გაითვალისწინონ და განახორციელონ ღონისძიებანი ატმოსფერული ჰაერის, წყალსატევების, მიწისქვეშა წყლისა და ნიადაგის გაჭუჭყიანების თავიდან ასაცილებლად, ხოლო ამ მოვალეობის შეუსრულებლობისათვის პასუხს აგებენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 26. იმ მოქმედი ობიექტების ექსპლოატაციის აკრძალვა ან დროებით შეჩერება, რომელთა ნაგავს, გამოწყობისა და ნარჩენებს შეუძლიათ ზიანი მიაყენონ ადამიანთა ჯანმრთელობას

აკრძალულია ისეთი ახალი და რეკონსტრუირებული საწარმოების, საამქროების, უბნების, დანადგარებისა და სხვა ობიექტების ამუშავება, რომლებიც არ უზრუნველყოფენ მკვნი ნაგავის, გამოწყობისა და ნარჩენების ეფექტიან გაწმენდას, გაუვნებლებასა და დაჭერას.

სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოებს უფლება აქვთ აკრძალონ ან დროებით შეაჩერონ მოქმედი ობიექტების ექსპლუატაცია, რომელთა ნაგავს, გამოწყობისა და ნარჩენებს შეუძლიათ ზიანი მიაყენონ ადამიანთა ჯანმრთელობას.

მუხლი 27. სანიტარიული მოთხოვნები სამეურნეო-სასმელი წყალმომარაგების მიმართ

სამეურნეო-სასმელი მოხმარებისათვის გამოსაყენებელი წყლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს იმ სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს,

რომლებიც დადგენილი წესით მტკიცდება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წარდგინებით.

სამეურნეო-სასმელი დანიშნულების წყალსადენებისა და მათი წყაროებისათვის წესდება სპეციალური რეჟიმის სანიტარიული დაცვის ზონები, რომლებიც უზრუნველყოფს წყლის სათანადო ხარისხს.

წყალსადენებისა და მათი წყაროების სანიტარიული დაცვის ზონების განსაზღვრის წესს ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა, ხოლო ამ ზონების სანიტარიულ რეჟიმს — სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

მუხლი 28. სანიტარიული ზედამხედველობა რადიაქტიული, შხამიანი და ძლიერმოქმედი ნივთიერებების წარმოებაზე, გამოყენებაზე, შენახვაზე, ტრანსპორტირებასა და დამარხვაზე

რადიაქტიული ნივთიერებების, მაიონიზებელი გამოსხივების წყაროების, შხამიანი და ძლიერმოქმედი ნივთიერებების წარმოება, გამოყენება, შენახვა, ტრანსპორტირება და დამარხვა ხორციელდება სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოებისა და დაწესებულებების ზედამხედველობით.


მუხლი 29. დასახლებული პუნქტების დაგეგმარებისა და განაშენიანების სანიტარული მოთხოვნები

დასახლებული პუნქტების დაგეგმარება და განაშენიანება უნდა ითვალისწინებდეს მოსახლეობის ცხოვრებისა და ჯანმრთელობის ყველაზე ხელშემწყობი პირობების შექმნას.

საცხოვრებელი მასივები, სამრეწველო საწარმოები და სხვა ობიექტები ისე უნდა განლაგდეს, რომ გამორიცხული იყოს მკვნი ფაქტორების ცუდი გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობასა და მისი ცხოვრების სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო პირობებზე.

ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების დაპროექტებისა და მშენებლობის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს წყალმომარაგება, კანალიზაცია, ქუჩის საფარის მოწყობა, გამწვანება, განათება, სანიტარიული დასუფთავების უზრუნველყოფა და კეთილმოწყობის სხვა სახეები.

მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფისას, დაპროექტების ნორმების, დასახლებული პუნქტების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების დამტკიცებისას, აგრეთვე საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობების, სამრეწველო და სხვა საწარმოებისა და ნაკვებობების საექსპლუატაციოდ გადაცემის დროს აუცილებელია სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოების სავალდებულო დასკვნა.



სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოებთან საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტების შეთანხმების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

მუხლი 30. სანიტარიული მოთხოვნები საცხოვრებელ სადგომებში შესახლებისას

საცხოვრებელ სადგომებში შესახლების სანიტარიულ მოთხოვნებს აწესებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

არ შეიძლება ისეთ სადგომში შესახლება, რომელიც არ შეესაბამება სანიტარიულ მოთხოვნებს.

მუხლი 31. დამატებითი საცხოვრებელი ფართობის მიცემა იმ პირებისათვის, რომლებსაც აქვთ მძიმე ფორმის ზოგიერთი ქრონიკული დაავადება

იმ პირებს, რომლებსაც აქვთ მძიმე ფორმის ზოგიერთი ქრონიკული დაავადება, ეძლევათ დამატებითი საცხოვრებელი ფართობი იმ შემთხვევებში და იმ წესით, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

მუხლი 32. საწარმოო სადგომებისა და სამუშაო ადგილების მოვლის სანიტარიული წესების დაცვა

საწარმოთა, კოლმეურნეობათა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ვალდებული არიან უზრუნველყონ საწარმოო სადგომებისა და სამუშაო ადგილების მოვლა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების შესაბამისად.

საწარმოები, კოლმეურნეობები, დაწესებულებები და ორგანიზაციები უნდა უზრუნველყოფდნენ საჭირო პირობებს მუშაკთა სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

მუხლი 33. საცხოვრებელი და სხვა შენობებისა და ტერიტორიების მოვლის სანიტარიული წესების დაცვა

საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებისა და იმ ტერიტორიების მოვლის სანიტარიული წესების დაცვას, სადაც ეს შენობებია განლაგებული, ახორციელებენ საწარმოები, კოლმეურნეობები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, მოქალაქეები, რომელთაც ეკუთვნით ისინი, განაგებენ მათ ან სარგებლობენ ამ შენობებით.

საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობათა მოვლა-პატრონობის სანიტარიული წესებს და დაცვისა და დასახლებული პუნქტების სათანადო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფის საერთო ღონისძიებათა განხორციელება ევალებათ მშრომელთა დეპუტატების

ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონულ და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში) საბჭოებს შეუძლიათ გაითვალისწინონ მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დასახლებული პუნქტების სანიტარიული მოვლის თაობაზე მათ მიერ დადგენილი წესების დარღვევისათვის.

მუხლი 34. სპეციალური ტანსაცმლითა და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებებით უზრუნველყოფა

საწარმოებისა და დაწესებულებების ადმინისტრაცია იმ სამუშაოებზე, სადაც შრომის მაგნე პირობებია, აგრეთვე იმ სამუშაოებზე, რომლებიც წარმოებს განსაკუთრებულ ტემპერატურულ პირობებში ან იწვევს მომუშავეთა დასვრას, ვალდებულია მუშებსა და მოსამსახურეებს, დადგენილი ნორმებით, უფასოდ მისცეს სპეციალური ტანსაცმელი, სპეციალური ფეხსაცმელი და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებანი.

მუხლი 35. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების შეთანხმების სავალდებულობა


ახალ სახეობათა ნედლეულის, კვების პროდუქტების, სამრეწველო ნაწარმის, ახალი სამშენებლო მასალების, ტარისა და შესაფუთი მასალების, პოლიმერული და სინთეზური მასალების და მათი ნაწარმის სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების პროექტები მტკიცდება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, ხოლო სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

აღნიშნული წესით გაცემენ აგრეთვე იმ ახალი ტექნოლოგიური პროცესების, ახალი სახის მოწყობილობის, ხელსაწყოების და სამუშაო ინსტრუმენტების შემოღების ნებართვას, რომლებმაც შესაძლოა მაგნე გავლენა მოახდინონ ჯანმრთელობაზე.

მუხლი 36. ზედამხედველობა სანიტარიული წესების დაცვაზე

ზედამხედველობას ქუჩების, ეზოებისა და დასახლებული პუნქტების სხვა ტერიტორიის მოვლის სანიტარიული წესების დაცვაზე ახორციელებენ მილიცია და სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოები.

ზედამხედველობას დასუფთავებაზე, ამ მიზნისათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფაზე, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო, საწარმოო და სხვა ნარჩენისა და ნაგვის უტილიზაციისა და



გაუგნებლების ორგანიზაციაზე ახორციელებენ სანიტარული ზედამხედველობის ორგანოები.

მუხლი 37. სანიტარული მოთხოვნები კვების პროდუქტების წარმოების, დამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის დროს

წარმოება, შენახვა და ტრანსპორტირება კვების პროდუქტებისა, ტექნოლოგიური მოწყობილობისა პროდუქტების მომზადების და შემდგომი კულინარიული დამუშავებისათვის, კვების პროდუქტების ტარის, შესაფუთი მასალებისა და ქუთქლის წარმოება, აგრეთვე კვების პროდუქტების რეალიზაცია შეიძლება ნებადართულ იქნეს მხოლოდ იმ პირობით, თუ დაცული იქნება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და წესები.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების 27-ე მუხლის შესაბამისად კვების პროდუქტების წარმოებისა და დამუშავებისათვის ახალ ქიმიურ ნივთიერებათა, საშუალებათა და მეთოდების გამოყენება, აგრეთვე საკვები სასოფლო-სამეურნეო მცენარეებისა და ცხოველების ზრდის სტიმულატორების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების, პოლიმერული და პლასტიკური მასალებისა და სხვა ქიმიური პროდუქტების გამოყენება დასაშვებია სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნებართვით.

მუხლი 38. ხმაურის თავიდან აცილება და აღკვეთა

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სხვა სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან განახორციელონ ღონისძიებები ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების საწარმო, საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებში, ეზოებში, ქუჩებსა და მოედნებზე ხმაურის შესამცირებლად და აღსაკვეთად.

საყოფაცხოვრებო პირობებში ხმაურის შემცირებისა და აღკვეთის წესების დაცვა ყველა მოქალაქის მოვალეობაა.

ხმაურის შემცირებისა და აღკვეთისათვის მუშაობის ორგანიზაციის წესს ადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

ხმაურის შემცირებისა და აღკვეთის წესების დარღვევა იწვევს თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა პასუხისმგებლობას სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 39. სავალდებულო სამედიცინო შემოწმება

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, ინ-

ფექციურ და პროფესიულ დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით კვების მრეწველობის, საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის საწარმოების, წყალსადენების ნაგებობების, სამკურნალო-პროფილაქტიკური და საბავშვო დაწესებულებების, მეცხოველეობის ფერმების, ზოგიერთი სხვა საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის, აგრეთვე შრომის მავნე პირობებიანი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკთა სამედიცინო შემოწმება სავალდებულოა სამუშაოზე მიღებისას წინასწარ, ხოლო შემდგომ — პერიოდულად.

იმ პროფესიათა და საწარმოთა სიას, რომელთა მუშაკების სამედიცინო შემოწმება სავალდებულოა, და ამ შემოწმების მოწყობის წესს ადგენს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით.

თვრამეტ წელზე უმცროსი ასაკის პირთა სამუშაოზე იღებენ მხოლოდ წინასწარი სამედიცინო გასინჯვის შემდეგ და შემდგომში თვრამეტი წლის მიღწევამდე სავალდებულოა მათი ყოველწლიური სამედიცინო შემოწმება.

მუხლი 40. ინფექციურ დაავადებათა თავიდან აცილება და ლიკვიდაცია

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, საწარმოთა, კოლმეურნეობათა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და სხვა თანამდებობის პირნი მოვალენი არიან დროულად მიიღონ ღონისძიებები ინფექციურ დაავადებათა გავრცელების საწინააღმდეგოდ და აგრეთვე ამ დაავადებათა სალიკვიდაციოდ მათი წარმოშობის შემთხვევაში.

ეპიდემიურ ინფექციურ დაავადებათა წარმოშობის ან გავრცელების საფრთხის დროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ დადგენილი წესით შესაბამის ტერიტორიებზე შემოიღონ შრომის, სკოლის, მიმოსვლისა და ტვირთბრუნვის განსაკუთრებული პირობები და რეჟიმი, რომელთა მიზანია ამ დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილება და ლიკვიდაცია.

მუხლი 41. ინფექციური სნეულებებით დაავადებულ ავადმყოფთა ჰოსპიტალიზაცია და ბაქტერიების მატარებელ პირთა გაჯანსაღება

ინფექციური სნეულებებით დაავადებულ პირთ, რომლებიც საფრთხის უქმნიან გარშემო მყოფთ, უნდა ჩაუტარდეთ სავალდებულო სტაციონალური მკურნალობა, ხოლო ის პირნი, რომელთაც კონტაქტი აქვთ ინფექციურ

ავადმყოფებთან, — უნდა გატარდნენ კარანტინში.

ინფექციურ დაავადებათა ბაქტერიების მატარებელი პირნი გაჯანსაღებულ უნდა იქნენ. იგივე პირნი, თუ ისინი შეიძლება გახდნენ ინფექციურ დაავადებათა გამავრცელებელნი იმ საწარმოს თავისებურებებთან დაკავშირებით, სადაც დასაქმებული ან შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებით, დროებით გადაჰყავთ სხვა სამუშაოზე, ხოლო თუ გადაყვანა შეუძლებელია, მათ დროებით გადააყენებენ სამუშაოდან და აძლევენ დახმარებას სოციალური დაზღვევის სახსრებიდან, სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად.

ინფექციურ დაავადებათა და იმ დაავადებათა ნუსხას, რომელთა დროს პირებს ბაქტერიების მატარებლად აღიარებენ, განსაზღვრავს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

მუხლი 42. პროფილაქტიკური აცრა

ინფექციურ დაავადებათა თავიდან ასაცილებლად წარმოებს მოქალაქეთა პროფილაქტიკური აცრა.

აცრის წესსა და ვადებს განსაზღვრავს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

მუხლი 43. მოსახლეობის სანიტარიული განათლება

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები და დაწესებულებანი მეცნიერების, კულტურისა და სახალხო განათლების ორგანოებსა და დაწესებულებებთან ერთად წითელი ჯვრისა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აქტიური მონაწილეობით მოწოდებული არიან უზრუნველყონ მოსახლეობაში მეცნიერული სამედიცინო და ჰიგიენური ცოდნის პროპაგანდა.

პ ა რ ი V

მოსახლეობისათვის სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების გაწევა

მუხლი 44. მოქალაქეთა უზრუნველყოფა სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარებით

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების 32-ე მუხლის შესაბამისად სსრ კავშირის მოქალაქეებს უწევენ სპეციალიზებულ სამედიცინო დახმარებას პოლიკლინიკებში, საავადმყოფოებში, დისპანსერებსა და სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, აგრეთვე სასწრაფო სამედიცინო დახმარებასა და სამედიცინო დახმარებას ბინაზე.

დიდი სამამულო ომის ინვალიდებს სამედიცინო დახმარებას უწევენ აგრეთვე სპეციალურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, სტაციონარის გარეშე მკურნალობისას კი ისინი სარგებლობენ სსრ კავშირის კანონმდებლობით დაწესებული დამატებითი შეღავათებით.

ავადმყოფობისას შრომის უნარის დროებითი დაკარგვით მოქალაქენი თავისუფალი არიან სამუშაოდან და დადგენილი წესით მათ აძლევენ დახმარებას სოციალური დაზღვევის სახსრებიდან.

დაავადებათა თავიდან ასაცილებლად სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებანი მოვალენი არიან ფართოდ გამოიყენონ მოსახლეობის პროფილაქტიკური შემოწმება და დავიერების დისპანსერული მეთოდი.

საწარმოები, კოლმეურნეობები, დაწესებუ-

ლებები და ორგანიზაციები ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებსა და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ვალდებული არიან განახორციელონ საწარმოო ტრავმატიზმის, პროფესიული დაავადების პროფილაქტიკისა და შრომის უნარის აღდგენისათვის საჭირო ღონისძიებანი.

მუხლი 45. უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უზრუნველყოფა სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარებით

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების 32-ე მუხლის შესაბამისად:

უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირნი, რომლებიც სსრ კავშირში მუდმივად ცხოვრობენ, საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სარგებლობენ სამედიცინო დახმარებით სსრ კავშირის მოქალაქეების თანაბრად;

უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირთა, რომლებიც დროებით ცხოვრობენ სსრ კავშირში და იმყოფებიან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, სამედიცინო დახმარებას უწევენ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 46. მოქალაქეებისათვის სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების გაწევის წესი

მოქალაქეებს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დახმარებას უწევენ ჯანმრთელობის დაცვის

დაწესებულებანი საცხოვრებელი ადგილისა და სამუშაო ადგილის მიხედვით.

პირებს, რომლებიც უბედური შემთხვევის შედეგად დაშავდნენ ან უეცარი დაავადების შედეგად აღმოჩნდნენ ისეთ მდგომარეობაში, რომელიც სასწრაფო სამედიცინო დახმარებას მოითხოვს, ამ დახმარებას დაუყოვნებლივ უწევს უახლოესი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება მისი საუწყებო დაქვემდებარების მიუხედავად.

საპატოო მიზეზის გარეშე ავადმყოფისათვის დახმარების აღმოუჩენლობა მედიცინის მუშაკის მიერ, რომელიც ვალდებული იყო აღმოეჩინა ეს დახმარება, იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 131-ე მუხლით.

მუხლი 47. მედიცინის და ფარმაცევტიკის მუშაკთა მიერ მოქალაქეებისათვის პირველი დაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მოვალეობა

მედიცინის და ფარმაცევტიკის მუშაკები მოვალენი არიან პირველი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინონ მოქალაქეებს გზაში, ქუჩაში, სხვა საზოგადოებრივ ადგილებსა და ბინაზე.

მუხლი 48. სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში ავადმყოფების გაგზავნის წესი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლებზე 33-ე მუხლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში ავადმყოფები შეიძლება გაიგზავნონ საქართველოს სსრ შესაბამის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, ხოლო სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში — სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 49. ექიმების მონაწილეობა მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმების კომისიებში

საჭიროების შემთხვევაში ექიმები ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების განკარგულებით მონაწილეობას იღებენ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმების კომისიებში.

მუხლი 50. დიაგნოსტიკის, მკურნალობის მეთოდებისა და სამკურნალო საშუალებათა გამოყენება

სამედიცინო პრაქტიკაში ექიმები იყენებენ დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკისა და მკურნალობის მეთოდებს, სამკურნალო საშუალებებს, რომლებიც ნებადართულია სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ.

და მისი თანხმობით, ხოლო არასრულწლოვან ავადმყოფთა და ფსიქიკურად დაავადებულთა სამკურნალოდ მათი მშობლების, მეურვეების ან მზრუნველების თანხმობით ექმს შეუძლია გამოიყენოს დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკის, მკურნალობის ახალი, მეცნიერულად დასაბუთებული, მაგრამ საყოველთაოდ ჯერ კიდევ გამოუყენებელი მეთოდები და სამკურნალო საშუალებანი. დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკის, მკურნალობის აღნიშნული მეთოდებისა და სამკურნალო საშუალებათა გამოყენების წესს ადგენს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

მუხლი 51. ქირურგიული ჩარევისა და დიაგნოსტიკის რთული მეთოდების გამოყენების წესი

ქირურგიულ ოპერაციებს, აგრეთვე დიაგნოსტიკის რთულ მეთოდებს მიმართავენ ავადმყოფთა თანხმობით, ხოლო არასრულწლოვანი ავადმყოფისათვის, რომლებსაც არ მიუღწევიათ თექვსმეტი წლის ასაკამდე, და ფსიქიკურად დაავადებულთათვის — მათი მშობლების, გადაუდებელ ქირურგიულ ოპერაციებსა და დიაგნოსტიკის რთულ მეთოდებს თვით ავადმყოფების ან მათი მშობლების, მეურვეების ან მზრუნველების თანხმობის გარეშე იყენებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დიაგნოზის დადგენისა და ოპერაციის დაყოვნება საფრთხეს უქმნის ავადმყოფის სიცოცხლეს, ხოლო აღნიშნულ პირთა თანხმობის მიღება შეუძლებელია.

მუხლი 52. მედიცინის მუშაკებისათვის ხელის შეწყობა მოქალაქეთათვის სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების აღმოჩენის საქმეში

საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების ორგანიზაციისათვის აღმინისტრაციის მოვალეა გამოიყოს აუცილებელი შენობები და ტრანსპორტი, აგრეთვე დაეხმაროს ექიმებსა და მედიცინის სხვა მუშაკებს მათი პროფესიული მოვალეობების შესრულებაში.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, საწარმოების, კოლმეურნეობების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელები და სხვა თანამდებობის პირნი ვალდებული არიან მოქალაქეებისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას ტრანსპორტით, კავშირგაბმულობის საშუალებითა და სხვა აუცილებელი დახმარებით ხელი შეუწყონ მედიცინის მუშაკებს.

მუხლი 53. დონორობა

სამკურნალო მიზნებისათვის სისხლის ჩაბა-

რება (დონორობა) მაღალი ჰუმანურობის აქტადა აღიარებული.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ადმინისტრაციისა და წითელი ჯვრის საზოგადოების ხელშეწყობით მოვალენი არიან ყოველმხრივ განავითარონ დონორობა.

დონორებს ეძლევათ სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათები და მათი წახალისება ხდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 54. სამუშაო ადგილზე ავად გამხდარი მუშებისა და მოსამსახურეების გადაყვანა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში

მუშა ან მოსამსახურე, თუ იგი სამუშაო ადგილზე გახდება ავად, როცა აუცილებელია, გადაჰყავთ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში იმ საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ხარჯით, სადაც იგი მუშაობს.

მუხლი 55. ტრანსპორტის გამოყოფა კოლმეურნეობის წევრებისათვის ავადმყოფების გადასაცემად სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში

კოლმეურნეობა თავისი წესდების შესაბამისად, როცა აუცილებელია, კოლმეურნეობის წევრებს უფასოდ და გადაუღებელი წესით გამოუყოფს ტრანსპორტს ავადმყოფების გადასაცემად სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში.

მუხლი 56. მედიცინის მუშაკის უფლება — უფასოდ გამოიყენოს ყოველი სახეობის ტრანსპორტი იმ შემთხვევებში, როდესაც საფრთხეშია ავადმყოფის სიცოცხლე

იმ შემთხვევებში, როდესაც საფრთხეშია ავადმყოფის სიცოცხლე, ექიმს ან მედიცინის სხვა მუშაკს უფლება აქვს, დადგენილი წესით უფასოდ გამოიყენოს მისთვის ხელმისაწვდომი ყოველი სახეობის ტრანსპორტი ავადმყოფთან მისასვლელად ან უახლოეს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში მის გადასაცემად. პასუხისმგებლობას ამ საჭიროებისათვის ტრანსპორტის მიუცემლობის გამო ადგენს საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

მუხლი 57. პროფილაქტიკისა და მკურნალობის სპეციალური ღონისძიებანი

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები მოვალენი არიან განახორციელონ სპეციალური ღონისძიებანი იმ დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის, რომლებიც საფრთხეს უქმნიან გარემოში მყოფთ (ტუბერკულოზი, ფსიქიკური, ვენერიული დაავადებანი, კეთრი, ქრონიკული ალკოპოლიზმი, ნარკომანია), აგრევე

საკარანტინო დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის.

აღნიშნული დაავადებით შეპყრობილ პირთა იძულებითი მკურნალობისა და იძულებითი ჰოსპიტალიზაციის შემთხვევებსა და წესს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

მუხლი 58. ტუბერკულოზით დაავადებულთა მკურნალობა

ტუბერკულოზით დაავადებულთათვის სავალდებულოა მუდმივი დისპანსერული მეთვალყურეობა და მკურნალობა სრულ განკურნებამდე.

ტუბერკულოზით დაავადებულებს უფასოდ უზრუნველყოფენ ტუბერკულოზის საწინააღმდეგო პრეპარატებით; სანატორიუმებისა და პროფილაქტორიუმებში მათი მკურნალობა აგრეთვე უფასოა.

ტუბერკულოზით დაავადებულთათვის, რომლებიც გამოყოფენ მიკრობაქტერიებს, სავალდებულოა ჰოსპიტალიზაცია. ნებაყოფლობითს ჰოსპიტალიზაციაზე უარის თქმისას მათი ჰოსპიტალიზაცია და მკურნალობა ხდება იძულებითი წესით სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 59. ფსიქიკურად დაავადებულთა მკურნალობა

ფსიქიკურად დაავადებულთათვის სავალდებულოა მუდმივი დისპანსერული მეთვალყურეობა და მკურნალობა

როდესაც ფსიქიკურად დაავადებულის მოქმედება აშკარად საშიშია გარემოში მყოფთათვის ან თვით ავადმყოფისათვის, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებსა და დაწესებულებებს უფლება აქვთ გადაუღებელი ფსიქიატრიული დახმარების წესით მოაპავესონ ავადმყოფი ფსიქიატრიულ (ფსიქონევროლოგიურ დაწესებულებაში თვით ავადმყოფის, მისი მეუღლის, ნათესავების, მეურვის ან მზრუნველის თანხმობის გარეშე. ამ შემთხვევაში ავადმყოფი დღე-ღამის განმავლობაში უნდა შეამოწმოს ექიმ-ფსიქიატრთა სპეციალურმა კომისიამ, რომელიც განიხილავს ჰოსპიტალიზაციის სისწორის საკითხს და დაადგენს ფსიქიატრიულ (ფსიქონევროლოგიურ) დაწესებულებაში ავადმყოფის შემდგომი ყოფნის აუცილებლობას. კომისია თავისი გადაწყვეტილების შესახებ აცნობებს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოს, აგრეთვე ავადმყოფის მეუღლეს ან მის რომელიმე ახლო ნათესავს, მეურვეს ან მზრუნველს.

შინაგან საქმეთა ორგანოებში ვალდებული არიან ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების მოთხოვნით აღმოუჩინონ მათ აუცილებელი დახმარება ფსიქიკურად დაავადებულთა ჰოსპიტალიზაციაში.



მუხლი 60. კეთრით დაავადებულთა მკურნალობა

კეთრით დაავადებულთათვის სავალდებულოა მუდმივი დისპანსერული მეთვალყურეობა და მკურნალობა სრულ განკურნებამდე.

თუ კეთრით დაავადებულნი, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენენ გარშემო მყოფთათვის, თავს აარიდებენ ჰოსპიტალიზაციასა და მკურნალობას, სავალდებულოა მათი იძულებითი ჰოსპიტალიზაცია და მკურნალობა.

მუხლი 61. ვენერიული სენით დაავადებულთა მკურნალობა

ვენერიული სენით დაავადებულთათვის სავალდებულოა მუდმივი დისპანსერული მეთვალყურეობა და მკურნალობა სრულ განკურნებამდე.

თუ ვენერიული სენით დაავადებულნი ავადმყოფობის გადამდებ პერიოდში თავს არიდებენ მკურნალობას, სავალდებულოა მათი იძულებითი ჰოსპიტალიზაცია და მკურნალობა სსრ

კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ვენერიული სენის შეყრა სხვა პირისათვის იმ პირის მიერ, რომელმაც იცოდა, რომ ეს სენი სჭირდა, ან ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისაგან მიღებული ვაფრთხილების შემდეგ ვენერიული სენის მკურნალობისათვის თავის არიდება იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 122-ე მუხლით.

მუხლი 62. ქრონიკული ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების მკურნალობა

ქრონიკული ალკოჰოლიზმით ან ნარკომანიით დაავადებულთათვის სავალდებულოა მუდმივი დისპანსერული მეთვალყურეობა და მკურნალობა სრულ განკურნებამდე.

თუ ქრონიკული ალკოჰოლიკები და ნარკომანები თავს არიდებენ მკურნალობას, სავალდებულოა მათი იძულებითი მკურნალობა იმ შემთხვევებში და იმ წესით, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

პ ა რ ი V

დედისა და ბავშვის დაცვა

მუხლი 63. დედობის წახალისება. დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში დედობას იცავს და წახალისებს სახელმწიფო.

დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვა უზრუნველყოფილია ორსული ქალებისა და ბავშვიანი დედებისათვის ქალთა კონსულტაციების, სამშობიარო სახლების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების, ბაგების, საბავშვო ბაღებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების ფართო ქსელის ორგანიზაციით; ორსულობის ან მშობიარობის გამო ქალისათვის შევსებულების და ამისთანავე სოციალური დაზღვევიდან დახმარების მიცემით; მუშაობაში შესვენების დაწესებით ბავშვის კვებისათვის; ბავშვის დაბადების გამო და ავადმყოფი ბავშვის მოვლის დროისათვის დადგენილი წესით დახმარების გაცემით; მძიმე და ჯანმრთელობისათვის მავნე წარმოებაში ქალთა შრომის აკრძალვით, ორსული ქალების გადაყვანილ უფრო მსუბუქ სამუშაოზე საშუალო ხელფასის შენარჩუნებით; შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებითა და გაჯანსაღებით; ოჯახისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივი დახმარებით და სხვა ღონისძიებებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით მას

უფლება ეძლევა თვითონ გადაწყვიტოს დედობის საკითხი.

მუხლი 64. ორსული ქალებისა და ახალშობილთა უზრუნველყოფა სამედიცინო დახმარებით

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი ყოველი ქალისათვის უზრუნველყოფენ კვალიფიციურ სამედიცინო მეთვალყურეობას ორსულობისას, სტაციონარულ სამედიცინო დახმარებას მშობიარობის დროს და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დახმარებას დედისა და ახალშობილი ბავშვებისათვის.


მუხლი 65. ბავშვებისა და მოზარდების უზრუნველყოფა სამედიცინო დახმარებით

ბავშვებისა და მოზარდების სამედიცინო დახმარებას უზრუნველყოფენ სამკურნალო-პროფილაქტიკური და გამაჯანსაღებელი დაწესებულებანი: ბავშვთა პოლიკლინიკები, დისპანსერები, საავადმყოფოები, სანატორიუმები და ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებანი. საბავშვო სანატორიუმების საგზურებზე ბავშვებს უფასოდ ეძლევათ.

ბავშვებსა და მოზარდებზე დაწესებულია დისპანსერული მეთვალყურეობა.

მუხლი 66. ზრუნვა ბავშვებისა და მოზარდების ჯანმრთელობის განმტკიცებისა და დაცვისათვის

პარმონიულად განვითარებული ფიზიკური



და სულიერი ძალების მქონე ჯანსაღი ახალ-გაზრდა თაობის აღზრდის მიზნით სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, კოლმეურნეობები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები უზრუნველყოფენ საბავშვო ბაგებისა და ბაღების, სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სატყეო სკოლა-სანატორიუმების, პიონერთა ბანაკებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა ფართო ქსელის განვითარებას.

ბავშვებისათვის, რომლებიც იზრდებიან საბავშვო დაწესებულებებში და სწავლობენ სკოლებში, უზრუნველყოფილია ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და განმტკიცების და ჰიგიენური აღზრდისათვის საჭირო პირობები. ბავშვთა სასწავლო-შრომითი დატვირთვა, აგრეთვე მეცადინეობის სანიმუშო რეჟიმი განისაზღვრება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვასა და საბავშვო დაწესებულებებსა და სკოლებში გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელების კონტროლს უწევენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები და დაწესებულებანი სახალხო განათლების ორგანოებსა და დაწესებულებებთან ერთად საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით.

მუხლი 67. მოქალაქეებისათვის სახელმწიფო დახმარების გაწევა ბავშვთა მოვლის საქმეში. შეღავათები ავადმყოფი ბავშვის დედას

ბავშვში, ბაღებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში ბავშვთა შენახვის ძირითად ხარჯს გაიღებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, პროფესიული კავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრებიდან.

ფიზიკური ან ფსიქიკური დეფექტების მქონე ბავშვები სახელმწიფო ხარჯზე ცხოვრობენ

ბავშვთა სახლებში, საბავშვო სახლებსა და სხვა სპეციალურ საბავშვო დაწესებულებებში.

როცა შეუძლებელია ავადმყოფი ბავშვის ჰოსპიტალიზაცია ან არ არის საფუძველი მისი სტაციონარული მკურნალობისათვის, დედა ან ოჯახის სხვა წევრი, რომელიც ბავშვს უვლის, შეიძლება გაათავისუფლონ სამუშაოდან და მისცენ დახმარება სოციალური დაზღვევის სახსრებიდან, დადგენილი წესის მიხედვით.

ერთ წლამდე ბავშვების, აგრეთვე უფროსი ასაკის მძიმე ავადმყოფი ბავშვების სტაციონარული მკურნალობის დროს, თუ ექიმების დასკვნით მათ დედის მოვლა სჭირდებათ, დედას შეუძლია ბავშვთან იყოს სამკურნალო დაწესებულებაში და მას ეძლევა დახმარება სოციალური დაზღვევის სახსრებიდან დადგენილი წესით.

მუხლი 68. კონტროლი მოზარდთა შრომითა და საწარმოო სწავლებასა და შრომის პირობებზე

დასაშვებია მოზარდთა საწარმოო სწავლება ისეთი პროფესიების დაუფლებისათვის, რომლებიც შეესაბამება მათს ასაკს, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებასა და ჯანმრთელობის მდგომარეობას. შრომითი და საწარმოო სწავლება ხორციელდება სისტემატური სამედიცინო კონტროლით.

კონტროლს მოზარდთა შრომის იმ პირობების დაცვაზე, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, აგრეთვე იმ სპეციალურ ღონისძიებათა განხორციელებაზე, რომელთა მიზანია მოზარდთა დაავადების თავიდან აცილება, ახორციელებენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები და დაწესებულებანი პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოებთან, სახალხო განათლების ორგანოებთან, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად.

პ ა რ ი VI


სანატორიულ-საკურორტო მკურნალობა და სპეციალური კულტურის ორგანიზაცია

მუხლი 69. მოქალაქეთა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის მიხედვით, სანატორიუმების და სპეციალური კულტურის ორგანიზაციების 44-ე მუხლის შესაბამისად:

საქართველოს სსრ ყველა კურორტზე და სანატორიუმებში სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობისათვის ჩვენებასა და საწინააღმდეგო ჩვენებას აწესებს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო;

სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისათვის ავადმყოფებს სპეციალურ შენახვასა და მკურნალობის დაცვის სამინისტრო პროფკავშირთა თელობის დაცვის სამინისტრო პროფკავშირთა სრულიად საქავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით. დადგენილი წესის შესაბამისად ავადმყოფებს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებში გზავნიან უფასოდ, შეღავათიანი პირობებით ან ახდენენ სრულ ღირებულებას.



მუხლი 70. კურორტები და სანატორიული დაცვის ზონები

კურორტებად შეიძლება ჩაითვალოს ის ადგილები, სადაც არის ბუნებრივი სამკურნალო საშუალებანი, მინერალური წყაროები, სამკურნალო ტალახი, კლიმატური და სხვა პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ მკურნალობასა და პროფილაქტიკას.

ადგოს კურორტად მიიჩნევს, კურორტების სანატორიული დაცვის ზონის საზღვრებს ადგენს და მათ რეჟიმს განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და პროფკავშირთა სრულიად საქავშირო ცენტრალური საბჭოს ან საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ერთობლივი წარდგინებით, რაც შეთანხმებულია იმ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, რომლის ტერიტორიაზეც არის ეს კურორტი.

მუხლი 71. სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა ორგანიზაცია და გახსნა

სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა ორგანიზაცია და გახსნა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შეიძლება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და პროფკავშირთა სრულიად საქავშირო ცენტრალური საბჭოს ნებართვით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით.

სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა სპეციალიზაციას (სამედიცინო პროფილს) განსაზღვრავს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და პროფკავშირთა სრულიად საქავშირო ცენტრალური საბჭო.

მუხლი 72. სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაცია

სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაციას, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, სამკურნალო საშუალებათა და საკურორტო ფაქტორების გამოყენებასა და სანატორიულ-საკურორტო რეჟიმის ორგანიზაციაში ახორციელებენ კურორტების მართვის შესაბამისი ორგანოები.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ ჯანმრ-

თელობის დაცვის სამინისტრო და აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ახორციელებენ კონტროლს სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზაციაზე. სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებში, აგრეთვე უწევენ მათ სამეცნიერო-მეთოდურ დახმარებასა და კონსულტაციებს.

მუხლი 73. დასასვენებელი სახლებით, პანსიონატებით, ტურისტული ბაზებითა და სხვა დასასვენებელი დაწესებულებებით სარგებლობა

დადგენილი წესის შესაბამისად მოქალაქეები დასასვენებელი სახლებით, პანსიონატებით, ტურისტული ბაზებითა და სხვა დასასვენებელი დაწესებულებებით სარგებლობენ უფასოდ, შეღავათიანი პირობებით ან იხდიან სრულ ღირებულებას.

მუხლი 74. ფიზიკური კულტურის, სპორტისა და ტურიზმის ორგანიზაცია

სახელმწიფო ორგანოებმა, პროფესიულმა კავშირებმა, კომკავშირულმა და კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა, სპორტულმა საზოგადოებებმა, საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ მოსახლეობაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ, სპორტულ და ტურისტულ-საექსკურსიო მუშაობას, ფიზიკური კულტურის კოლექტივების, ტურისტული კლუბებისა და ორგანიზაციების შექმნასა და განმტკიცებას, საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვას.

ბავშვთა სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებათა მუშაობის გეგმებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდა.

ფიზკულტურული და სპორტული მეცადინეობისათვის მოქალაქეებს დადგენილი წესით გამოუყოფენ სპორტულ ნაგებობებს, სპორტულ ინვენტარსა და ტურისტულ აღჭურვილობას.


იმ მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობას, რომლებიც ფიზიკურ კულტურასა და სპორტს მისდევენ, სამედიცინო კონტროლს უწევენ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი.

**პ ა რ ო VII
სამედიცინო ექსპერტიზა**

მუხლი 75. დროებითი შრომისუუნარობის სამედიცინო ექსპერტიზა

მოქალაქეთა დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზა ხდება ჯანმრთელობის დაცვის

დაწესებულებებში და მას აწარმოებს ექიმი ან ექიმთა კომისია, რომლებიც იძლევიან შვებულებებს ავადმყოფობისა და დასახიჩრების, ორსულობისა და მშობიარობის, ოჯახის ჭედა-



მყოფი წევრის მოსავლელად და კარანტინის გამო, პროთეზირებისათვის, სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისათვის, განსაზღვრავენ ავადმყოფობის გამო მუშაკის სხვა სამუშაოზე დროებით გადაყვანის სპირობასა და ვადებს დადგენილი წესით, აგრეთვე იღებენ გადაწყვეტილებებს საექიმო-შრომით საექსპერტო კომისიაზე გაგზავნის შესახებ.

მუხლი 76. შრომის უნარის ხანგრძლივად ან მუდმივად დაკარგვის სამედიცინო ექსპერტიზა
შრომის უნარის ხანგრძლივად ან მუდმივად დაკარგვის ექსპერტიზას აწარმოებენ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები, რომლებიც აღდგენენ შრომის უნარის დაკარგვის ხარისხს, ინვალიდობის ჯგუფსა და მიზეზს, განსაზღვრავენ ინვალიდთა შრომის პირობებსა და სახეობას, იმ სამუშაოებსა და პროფესიებს, რომლებიც მისაწვდომია მათთვის ჯანმრთელობის მიხედვით; ამოწმებენ გაცემული დასკვნების შესაბამისად ინვალიდების სამუშაოზე გამოყენებას; ხელს უწყობენ ინვალიდთა შრომის უნარის აღდგენას.

მუხლი 77. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების დასკვნების სავალდებულობა
საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების დასკვნები ინვალიდთა შრომის პირობებისა და სასიათის შესახებ სავალდებულოა საწარმოთა,

დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციისათვის.

მუხლი 78. შრომისუნარიანობის ექსპერტიზის ორგანიზაციისა და წარმოების წესი

შრომისუნარიანობის ექსპერტიზის ორგანიზაციისა და წარმოების წესს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

მუხლი 79. სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზები

სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად წარმოებს მოქალაქევი პირის, გამომძიებლის, პროკურორის დადგენილებით, აგრეთვე სასამართლოს განჩინებით.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების 51-ე მუხლის შესაბამისად სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზების ორგანიზაციისა და ჩატარების წესს ადგენს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოსთან, სსრ კავშირის პროკურატურასთან, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა უწყებებთან შეთანხმებით.

კ ა რ ი VIII

სამკურნალო და საპროთეზო დახმარება

მუხლი 80. მოქალაქეთათვის სამკურნალო დახმარების წესი

მოქალაქეებს სამკურნალო დახმარებას უწყვენ სახელმწიფო სააფთიაქო დაწესებულებები, აგრეთვე სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებანი.

ამოიკიდებენ საპროფილაქტიკური მკურნალობის დროს მოქალაქეთა უფასო ან შეღავათიანი პირობებით სამკურნალო დახმარების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების 52-ე მუხლის შესაბამისად სააფთიაქო დაწესებულებებს შეუძლიათ გასცენ მხოლოდ ისეთი სამკურნალო საშუალება, რომელთა გამოყენება ნებადართულია სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ:

მუხლი 81. სამკურნალო საშუალებათა წარმოებაზე კონტროლის უზრუნველყოფა
სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკე-

ბის ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების 53-ე მუხლის შესაბამისად:

სამედიცინო მიზნებისათვის ახალ სამკურნალო საშუალებათა წარმოება შეიძლება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნებართვით, მათი სამკურნალო თუ პროფილაქტიკური ეფექტიანობის დადგენის შემდეგ;

სამკურნალო საშუალებათა ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სსრ კავშირის სახელმწიფო ფარმაკოპეის ან დადგენილი წესით დამტკიცებული ტექნიკური პირობების მოთხოვნებს;

სამკურნალო საშუალებათა ხარისხს კონტროლს უწევს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო. რესპუბლიკური დაქვემდებარების სააფთიაქო დაწესებულებებისა და საწარმოების მიერ დამზადებულ სამკურნალო საშუალებათა ხარისხს კონტროლს უწევს აგრეთვე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

მუხლი 82. მოქალაქეთა უზრუნველყოფა საპროთეზო დახმარებით

პარტი IX

საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი

საჭირო შემთხვევებში მოქალაქეებს უზრუნველყოფენ პროთეზებით, ორთოპედიული, მაკორიგირებელი ნაკეთობებით, სმენის აპარატებით, სამკურნალო ფიზკულტურის საშუალებებითა და მიმოსვლის სპეციალური საშუალებებით.

იმ პირთა კატეგორიებს, რომელთაც უფასოდ ან შეღავათით უზრუნველყოფენ აღნიშნული ნაკეთობითა და საგნებით, აგრეთვე ამ ნაკეთობითა და საგნებით უზრუნველყოფის პირობებსა და წესს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

მუხლი 88. საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი

თუ სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ მონაწილეობით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით დადგენილი წესები განსხვავდება იმ წესებისაგან, რომლებსაც შეიცავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობა, მაშინ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე იყენებენ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით დადგენილ წესებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწინიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვახაძე**.

თბილისი, 1972 წლის 15 ივნისი.



რ ე ზ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

ზოგადი დეპუტატების ადგილობრივი საზოგადოების საქმიანობის შესახებ კულტურულ-აღმავადობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის საზოგადოებრივი კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. შ. კიკნაძის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის შესახებ კულტურულ-აღმავადობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის, აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მშრომელები, ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ახალ წარმატებებს აღწევენ ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების საქმეში; უფრო ფართოდ ახალბეენ სოციალისტურ შეჯიბრებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის შესახებ ვერად.

საქართველოს მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს მერვე ხუთწლედის დავალებანი და ახალი ძალით გაშალეს ბრძოლა მეცხრე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის.

პარტიისა და მთავრობის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებულმა ღონისძიებებმა, ახალმა კანონებმა მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, რაიონული და საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების შესახებ, ადგილობრივი საბჭოების მატერიალურ-ფინანსური ბაზის განმტკიცებამ უფრო აქტიური და მრავალმხრივი გახადა საბჭოების საქმიანობა. ისინი ქმედითს გავლენას ახდენენ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე, სერიოზულ ყურადღებას უთმობენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, მშრომელთა მასების კულტურული ღონის ამაღლებას.

რესპუბლიკაში 5.588 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა და მათი ქსელი 6. საბჭოთა სამართალი № 4.

სისტემატურად ფართოვდება. მიმდინარე ხუთწლედში გაიხსნება 826 ახალი კლუბი, ბიბლიოთეკა და კულტურის სახლი.

მრავალი რაიონისა და ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი ნაყოფიერად მუშაობენ მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისა და გაზრდილ კულტურულ მოთხოვნებთან დაკმაყოფილებისათვის.


მშრომელთა იდეური და კულტურული აღზრდის დარგში დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან პრესა, რადიო, კინო, თეატრი, ტელევიზია.

კულტურულ-აღმავადობითი მუშაობის გაუმჯობესებამ დიდად შეუწყო ხელი საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეს. დანაშაულთა რიცხვი რესპუბლიკაში 1971 წელს 10,4 პროცენტით ნაკლები იყო 1970 წელთან შედარებით. მართლწესრიგის დარღვევის შემთხვევებმა იკლო აგრეთვე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში. შემცირდა ისეთ საშიშ დანაშაულთა რიცხვი, როგორც არის მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, ძარცვა, ხელიგნობა და სხვ.

წინა წელთან შედარებით 1971 წელს 18,2 პროცენტით შემცირდა არასრულწლოვანთა მიერ მართლწესრიგის დარღვევის შემთხვევები.

საბჭოები, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად, დიდ ყურადღებას უთმობენ მოსახლეობაში სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდას. მარტო გასულ წელს წაითხულია 12.539 ლექცია-მოსხენება; ხშირად ეწყობა იურიდიული კონსულტაციები, კითხვა-პასუხის საღამოები და სხვ.

კულტურულ-აღმავადობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში ფართოდ არიან ჩაბმული დეპუტატები, მუდმივი კომისიები, აქტივო, თითქმის ყველა ადგილობრივ საბჭოსთან შექმნილი განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალისტური კანონიერების



სა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიები, რომელთა რიცხვი 2.349 აღწევს. მათში გაერთიანებულია 13.989 დეპუტატი და 17.500 აქტივისტი.

ადგილობრივი საბჭოების სესიებზე, აღმასკომების სხდომებზე, მშრომელთა კრებებსა და სოფლის ყრილობებზე რეგულარულად განიხილვენ მშრომელთა აღზრდისა და მართლწესრიგის განმტკიცებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ახორციელებენ პრაქტიკულ ღონისძიებებს ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ამასთან ერთად ზოგიერთი ადგილობრივი საბჭო ჯერ კიდევ არ აქცევს სათანადო ყურადღებას კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებასა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას. ბევრ ქალაქსა და რაიონში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის დონე ვერ უზასუხებს მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს.

ცალკეულ დასახლებულ პუნქტებში იშვიათად ეწყობა ლექცია-მოსხენებები, არ წარმოებს მეცნიერულ-ათვისტური პროპაგანდა, ფორმალურად არსებობენ თვითმოქმედი კოლექტივები.

რესპუბლიკის ყველა სოფელში არ არის ბიბლიოთეკა.

მასობრივ-ორგანიზაციულ მუშაობაში ბიბლიოთეკებს ნაკლებად ეხმარებიან დმანისის, კასპის, ლენტეხის, მარნეულის, ქარელის და სხვა რაიონების ადგილობრივი საბჭოები.

საქალაქო, რაიონული და სადაბო საბჭოები სკამო ყურადღებას არ აქცევენ მოსახლეობაში კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაშლას, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ჯეროვნად არ ზრუნავენ დასვენების ორგანიზაციასა და სპორტული ღონისძიებების ჩატარებაზე მშრომელთათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დაბალი დონე უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაზე. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი ქალაქსა და რაიონში მატულობს დანაშაულთა შემთხვევები.

ზოგიერთი ადგილობრივი საბჭო, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად, ყოველთვის სათანადოდ არ სწავლობს ჩადენილი დანაშაულის წარმომქობ მიზეზებს და დროულად არ იღებს ზომებს მათ აღსაკვეთად. საჭირო ყურადღებას არ ექცევა არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას.

მშრომელთა დეპუტატების, ბევრი საბჭო ჯეროვნად არ აფასებს ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობას, ზოგ შემთხვევაში

ურვივდება ალკოპოლიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევას.

საწარმოების, კოლმეურნეობების, მშენებლობებისა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ყოველთვის არ ხლიან მსჯელობის საგნად ლოთობის, ხელისუფლებისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი გამოვლინების ფაქტებს, რომლებსაც სჩადიან მათი კოლექტივების წევრები.

გაუმჯობესებას საჭიროებს სახალხო რაზმებისა და ამხანაგური სასამართლოების მუშაობა.

ბევრ ორგანიზაციაში სათანადო ყურადღება არ ექცევა სახელმწიფო ქონების დაცვას. არააღმკაყაფოვლებლად არის დაყენებული სარევიზო მუშაობა, მოუწყესრიგებელია აღრიცხვა, შექმნილი არ არის პირობები, რომლებიც გამოირიცხავენ სოციალისტური საკუთრების დაცვების შემთხვევებს.

ერთგვარი შემცირების მიუხედავად რესპუბლიკაში კვლავ დიდია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რიცხვი. ავტოავარიების რაოდენობის ზრდას ადგილი აქვს აბაშის, ზესტაფონის, ლანჩხუთის, მარნეულის, თელავისა და სხვა რაიონებში.

ცალკეულ რაიონებსა და ქალაქებში არააღმკაყაფოვლებლად წარმოებს ბრძოლა იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სისარგებლო შრომას და ეწყვიან პარაზიტულ ცხოვრებას, მაშინ როცა სწორედ ასეთი პირები ხდებიან სამართლის დამრღვევნი და დანაშაულის ჩამდენნი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების შესახებ კანონების შესაბამისად, ადგილობრივი საბჭოების უმთავრეს ამოცანად იქნას მიჩნეული მშრომელთა ფართო აქტივის ჩაბმა კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში. ამასთან, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა წარმართოს ისე, რომ იგი ყოველმხრივ უწყობდეს ხელს საბჭოთა ადამიანების აღზრდა კომუნისტური სულისკვეთებით და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას.
2. დავეალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონულ და საქალაქო საბჭოებს:

- ა) გადაჭრით გააუმჯობესონ კულტურის სახლების, კულუბების, ბიბლიოთეკების, კულტურისა და დასვენების პარკების მუშაობა, მათ

საქმიანობაში უფრო ფართოდ ჩააბან ინტელიგენცია, მოწინავე ახალგაზრდობა;

ბ) რეგულარულად მოაწყონ მოსახლეობისათვის საინტერესო თემებზე ლექციები და მოხსენებები, კითხვა-პასუხისა და თემატური საღამოები, იზრუნონ მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების მუშაობის ღონის ამაღლებაზე;

გ) მეტი ყურადღება მიაქციონ კულტურის დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებას, დროულად შეაკეთონ და კეთილმოაწყონ კლუბების, ბიბლიოთეკების, კულტურის სახლების შენობები. უზრუნველყონ ისინი საჭირო ინვენტარით, მოწყობილობით და დააკომპლექტონ შესაფერისი კაღრებით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს და მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონულ და საქალაქო საბჭოებს:

გაუმჯობესონ მოსახლეობის კინომოსახურება. მიადწიონ იმას, რომ ყველა სოფელში სისტემატურად უჩვენებდნენ მხატვრულ და დოკუმენტურ კინოსურათებს.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა, საოლქო, რაიონულმა და საქალაქო საბჭოებმა:

გააძლიერონ მუშაობა ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი აღმავლობისათვის, ფართოდ გაშალონ სპორტული მოედნების მშენებლობა საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საცხოვრებელ მასივებში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით, სისტემატურად ჩაატარონ სპორტული შეჯიბრებები, ლაშქრობები, ტურისტული სვლები. მიიღონ ზომები, რათა ახალგაზრდობა მაქსიმალურად იყენებდეს სპორტულ ბაზებს.

5. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონულმა და საქალაქო აღმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად:

ა) დასახონ და განახორციელონ ღონისძიებები ყველა დასახლებულ პუნქტში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად. სისტემატურად შეისწავლონ დამნაშავეობასთან ბრძოლის მდგომარეობა თვითიულ ქალაქში, რაიონში, დაბასა და სოფელში. განსაკუთრებით გაამახვილონ ყურადღება იმ მიზეზების შესწავლაზე, რომლებიც იწვევენ დანაშაულის წარმოშობას და მიიღონ ზომები დანაშაულის თავიდან აცილებისათვის.

ბ) უზრუნველყონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების დაცვა, გააძლიერონ ბრძოლა სპეკულაციის, მუქთანაზრობის, მეჭრთამეობის, ლოთობის, ნარკომანიისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების წინააღმდეგ.

გ) გააუმჯობესონ მოსახლეობაში სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდა, ხშირად მოაწყონ ლექციები და მოხსენებები სამართლის საკითხებზე, იურიდიული კონსულტაციები, კითხვა-პასუხის საღამოები, რისთვისაც ფართოდ გამოიყენონ ბეჭდვითი სიტყვა, რადიო, კინო, ტელევიზია;

დ) მიადწიონ სახალხო რაზმებისა და ამხანაგური სასამართლოების აღმზრდელობითი როლის ამაღლებას, სისტემატურად დაეხმარონ მათ, განაზოგადონ და გაავრცელონ მათი მუშაობის დადებითი გამოცდილება;

ე) არასრულწლოვანთა შორის აღმზრდელობით მუშაობაში მეტად ჩააბან დეპუტატები, სახალხო განათლების მუშაკები, საზოგადოებრიობა. პერიოდულად მოისმინონ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების ანგარიში და საჭირო დახმარება გაუწიონ მათ ბავშვთა და მოზარდთა უზედამხედველობის და დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში.


6. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადვილობრივ საბჭოებს:

ა) ხესიებსა და აღმასკომის სხდომებზე, მოსახლეობის კრებებზე, სოფლის ყრილობებზე სისტემატურად განიხილონ კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საკითხები. პრაქტიკაში დაწერგონ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საბჭოების გამსვლელი ხესიების, აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების სხდომების ჩატარება აღნიშნულ საკითხებზე;

ბ) უფრო აქტიურად ჩააბან საბჭოების მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აქტივი კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში. პერიოდულად მოაწყონ თათბირ-სემინარები და მოხსენებები, შეკრებები გამოცდილების გაზიარების მიზნით;

გ) გააძლიერონ მუშაობა იმ ბირთა გამოსავლინებლად, რომლებიც გაურბიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან. უმოკლეს დროში უზრუნველყონ მათი წარმოებაში ჩაბმა, ხოლო იმათ მიმართ, ვინც თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს უზრუნველყონ მათი დაქვემდებარების საწარმოებში მატერიალურ ფასეულობათა ზუსტი აღრიცხვა და სათანადოდ დაცვა, გააძლიერონ საკონტროლო-სარევიზო მუშაობა, გაზარდონ საწარმოთა დირექტორების პერსონალური პასუხისმგებლობა სახელმ-



წიფო საკუთრების დაცვისა და მოვლა-პატრონობის საქმეში.

8. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, სოფლის მეურნეობის სამინისტროებს, პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს ქმედითი ღონისძიებანი გაატარონ ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის, შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადონ წარსულის ყველა მავნე ვადმონაშთს, უყურადღებოდ არ დატოვონ მოსწავლისა და სტუდენტის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის არც ერთი შემთხვევა, ახალგაზრდობასთან აღმზრდელი მუშაობაში უფრო ფართოდ ჩააბან პროფესორ-მასწავლებლები, ჩვენს ქვეყნის მოწინავე ადამიანები.

9. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ავალებს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებს, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებს ვადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, საზოგადოებრივი წესრი-

გის დაცვისათვის; ადგილობრივ საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტით მიადწიონ დანაშაულთა გახსნის მაქსიმალურ რაოდენობას, ამასთან მეტი ყურადღება მიაქციონ პროფილაქტიკური მუშაობის გაუმჯობესებას.

* * *

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო რწმუნას გამოთქვამს, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც ჩაბმული არიან საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით, დარაზმავენ მასებს ახალი შრომითი მიღწევებისათვის და ყველაფერს გააკეთებენ, რათა ყველა ქალაქში, რაიონში, სოფელსა და დაბაში იყოს სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი და მაღალი კულტურა. ამით ისინი უზრუნველყოფენ ლენინური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანცაძე.

თბილისი, 1972 წლის 14 ივნისი.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ რ ე ბ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შესახებ კანონების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე

„საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შესახებ კანონების სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1971 წლის 9 დეკემბრის დადგენილ-

ბის მე-3 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ცნობილ იქნეს ძალადაკარგულად საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი, თანახმად დანართისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვბაძე

თბილისი, 1972 წლის 30 მაისი.

დანართი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 31 მაისის ბრძანებულებისა „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შესახებ კანონების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე“

ნ უ ს ს ა

იმ საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს

1. სრულიად საქართველოს ცაკის 1928 წლის 29 იანვრის დადგენილება „ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების დებულების დამტკიცების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ., № 3, მუხ. 18).

2. სრულიად საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს 1929 წლის 26 აგვისტოს დადგე-

ნილება „ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ., № 18, მუხ. 197).

3. სრულიად საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს 1930 წლის 11 მარტის დადგენილება „ადგილობრივი საბჭოების ქონებრივ უფლე-



ბათა დებულების დამტკიცების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ., № 9, მუხ. 73).

4. სრულიად საქართველოს ცაკის და სახ-კომსაბჭოს 1930 წლის 22 აგვისტოს დადგენილება „ადგილობრივი საბჭოების ქონებრივ უფლებების დებულების მე-8 მუხლის პირველი ნაწილის რედაქციის შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ., № 16, მუხ. 246).

5. „ქ. ზესტაფონში საქალაქო საბჭოს დაარსების შესახებ“ სრულიად საქართველოს ცაკის 1931 წლის 21 დეკემბრის დადგენილების 11 ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ., № 2, მუხ. 11).

6. „ქალ. ზუგდიდში და ოზურგეთში საქალაქო საბჭოების დაარსების შესახებ“ სრულიად საქართველოს ცაკის 1932 წლის 29 იანვრის დადგენილების 11 ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ., № 3, მუხ. 20).

7. სრულიად საქართველოს ცაკის 1932 წლის 22 თებერვლის დადგენილება „ქალაქ ტფილისის სარაიონო საბჭოების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ., № 5, მუხ. 44).

8. სრულიად საქართველოს ცაკის 1932 წლის 22 თებერვლის დადგენილება „საქართველოს სსრ საბჭოთა სარაიონო ყრილობებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების დებულების დამტკიცების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ., № 8, მუხ. 65).

9. „ქალაქ თელავში საქალაქო საბჭოს დაარსების შესახებ“ სრულიად საქართველოს ცაკის 1932 წლის 13 მაისის დადგენილების 11 ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ., № 13, მუხ. 88).

10. „ქალაქ სენაკში საქალაქო საბჭოს დაარსების შესახებ“ სრულიად საქართველოს ცაკის 1932 წლის 23 ოქტომბრის დადგენილების 11 ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ., № 24, მუხ. 235).

11. სრულიად საქართველოს ცაკის 1932 წლის 21 ნოემბრის დადგენილება „სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შემადგენლობაში საგზაო განყოფილებების შექმნის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ., № 2, მუხ. 29).

12. სრულიად საქართველოს ცაკის 1932 წლის 22 დეკემბრის დადგენილება „ქალაქის მუშა-

თა, გლეხთა და წითელარმიელთა დებუტატების საბჭოს დებულების 42—45 მუხლების შეცვლისა და ამავე დებულებისათვის 45¹—45⁵ მუხლების დამატების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ., № 2, მუხ. 27).

13. სრულიად საქართველოს ცაკის 1932 წლის 28 დეკემბრის დადგენილება „საქალაქო საბჭოების სადებუტატო ჯგუფების დებულების დამტკიცების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ., № 2, მუხ. 28).

14. სრულიად საქართველოს ცაკის 1932 წლის 28 დეკემბრის დადგენილება „მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დებუტატების საქალაქო საბჭოების დებულების პირველი მუხლის შენიშვნის შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ., № 9, მუხ. 112).

15. „ქალაქ ხონში საქალაქო საბჭოს დაარსების შესახებ“ სრულიად საქართველოს ცაკის 1933 წლის 27 მაისის დადგენილების II ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ., № 14, მუხ. 196).

16. სრულიად საქართველოს ცაკის 1933 წლის 27 დეკემბრის დადგენილება „სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შედგენილობაში ჯანმრთელობის განყოფილებების დაარსების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ., № 1, მუხ. 1).

17. „ქალაქ ახალციხეში საქალაქო საბჭოს დაარსების შესახებ“ სრულიად საქართველოს ცაკის 1933 წლის 14 დეკემბრის დადგენილების მე-2 ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1939 წ., № 1, მუხ. 2).

18. „ქალაქ გურჯაანის დაარსების შესახებ“ სრულიად საქართველოს ცაკის 1934 წლის 1 თებერვლის დადგენილების II ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ., № 7, მუხ. 67).

19. სრულიად საქართველოს ცაკის 1934 წლის 15 აგვისტოს დადგენილება „საბჭოების საორგანიზაციო მასობრივი მუშაობის გარდაქმნის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ., № 27, მუხ. 204).

20. სრულიად საქართველოს ცაკის 1934 წლის 15 აგვისტოს დადგენილება „საქალაქო საბჭოების სადებუტატო ჯგუფების დებულების შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ., № 27, მუხ. 205).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძიწინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამჩაძე.

საქართველოს საბჭოთაო პარტიის 50-წელი

ჯილდო-ღირსეული

სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში დამსახურებისათვის საბჭოთა პროკურატურის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 25 მაისის ბრძანებულებით დაჯილდოებულ იქნა სსრ კავშირის პროკურატურის ორგანოების მუშაკთა დიდი ჯგუფი. მათ შორის საქართველოს სსრ პროკურატურის მუშაკები:


შრომის წითელი დროშის ორდენით
გრიგოლ სამსონის ძე ბიწაძე — საქართველოს სსრ პროკურატორის პირველი მოადგილე „საპატიო ნიშნის“ ორდენით
გივი იუსტინეს ძე ვასალია — ქ. ზუგდიდის პროკურატორი
დანიელ ვასილის ძე ფოჩიანი — ქ. თბილისის პროკურატორის უფროსი თანაშემწე

მედლით — „შრომითი მამაცობისათვის“
ზაურ მიხეილის ძე კვიციანი — რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი მედლით — „შრომითი წარჩინებისათვის“
სერგო კონსტანტინეს ძე მაღლაკელიძე — ქ. ქუთაისის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 26 მაისის ბრძანებულებით პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის პროკურატურის ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

გორგი მარკის ძე აღმანოვი — მარნეულის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი,
ჯემალ სკენდერის ძე ბაქელიძე — აჭარის ასსრ პროკურატორი,
ნიკოლოზ აღექსანდრეს ძე გოლოვაჩევი — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურატორის უფროსი თანაშემწე,
ივანე მიკიტაძის ძე გუმბა — სამხედრო ნაწილის პროკურატორი,
ადამ ივანეს ძე დიასამიძე — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურატორი,
ნიკოლოზ ვასილის ძე დმიტრიევი — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურატორი,
ოლღა გიორგის ასული ზანგური — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურატორი,
ნინო ილიას ასული თევზაძე — ქ. გორის პროკურატურის გამომძიებელი,
შოთა ფილიპეს ძე კალმახელიძე — ზესტაფონის რაიონის პროკურატორი,
ლილი მიხეილის ასული კვერნაძე — აჭარის ასსრ პროკურატორის თანაშემწე.

ედუარდ სტანისლავის ძე ლეონოვიჩი — სამხედრო პროკურატორი,
მიხეილ ვლადიმერის ძე მამუჩაშვილი — დუშეთის რაიონის პროკურატორი,
ივანე იაკიმის ძე საძაგლიშვილი — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურატორი,
გიორგი ალასის ძე შერენცი — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურატორის უფროსი თანაშემწე,
ვალენტინა იოსების ასული შადური — ქ. თბილისის პროკურატორის თანაშემწე,
ვლადიმერ იაკობის ძე შონია — პენსიონერი.
ალბერტ დავითის ძე ჩხატარაშვილი — ქ. ფოთის პროკურატორი.
გივი სტეფანეს ძე ცირამუა — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილე,
ნოე ფარსადანის ძე ჭელიძე — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურატორი,
ქსენია ივანეს ასული ხიდუშელი — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურატორი.



სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1972 წლის 5 მაისის ბრძანებით საბჭოთა პროკურატურის შექმნის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის სახელმწიფო დაწესებულების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ პროკურატურის შემდეგი თანამშრომლები:

ელენე გიორგის ასული აბაშიძე — რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების პროკურორი

ისაკ ოგანეზის ძე აბრამიანი — ახალქალაქის რაიონის პროკურორი

არჩილ გიორგის ძე ანთელავა — ქ. სოხუმის პროკურორი

ანგელინა პავლეს ასული ბაკურაძე — რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებული და საერთო ნაწილის უფროსი ინსპექტორი

ანზორ მიხეილის ძე ბარაბაძე — რესპუბლიკის პროკურორის უფროსი თანამემწე

შოთა ბორისის ძე ბარკალაია — აფხაზეთის ასსრ პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების პროკურორი

ზაქარია როსტომის ძე ბასიშვილი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორი

გივი ივანეს ძე ბახტაძე — რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი

ნიკოლოზ სოლომონის ძე გოჩაშვილი — გორის რაიონის პროკურორი

გივი იუსტინეს ძე გვასალია — ზუგდიდის რაიონის პროკურორი

შალვა კონსტანტინეს ძე გვასალია — აფხაზეთის ასსრ პროკურორის თანამემწე სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის ხაზით

ენვერ გრიგოლის ძე გოგუაძე — მახარაძის რაიონის პროკურორი

ვასილ არტემის ძე გოგუაძე — რესპუბლიკის პროკურორის თანამემწე აღსრულების კონტროლის დარგში

იური ნესტორის ძე ენალდიევი — ქ. ცხინვალის პროკურორი

ალექსანდრე პარშენის ძე ვაიტაძე — ლაგოდეხის რაიონის პროკურორი

მაკარ ხარიტონის ძე ვერულიძე — აჭარის ასსრ პროკურორის თანამემწე სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის ზედამხედველობის ხაზით

კუკური სოლომონის ძე თენიშვილი — ქ. ბათუმის პროკურორი

თამარ ვლადიმერის ასული ინასარიძე — აჭარის ასსრ პროკურატურის განსაკუთრებული და საერთო ნაწილის უფროსი

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე კანდელაკი — რესპუბლიკის პროკურატურის არასრულწლოვანთა საქმეების განყოფილების პროკურორი

ილია თეოფილეს ძე კეკელიძე — ლანჩხუთის რაიონის პროკურორი

ლილი მიხეილის ასული კვერნაძე — აჭარის ასსრ პროკურატურის არასრულწლოვანთა საქმეების პროკურორის თანამემწე

მიხეილ ზაიმის ძე კიკოლაშვილი — რესპუბლიკის პროკურორის თანამემწე განსაკუთრებული დავალებებისათვის

შალვა გიორგის ძე ლეჟავა — ქ. თბილისის პროკურორი

ირაკლი ნიკოლოზის ძე ლომთათიძე — ახმეტის რაიონის პროკურორი

ელისაბედ ილიას ასული მეგაძე — რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი

ტრისტან ივანეს ძე მეტრეველი — თელავის რაიონის პროკურორი

ნიკოლოზ გრიგოლის ძე მიქაძე — რესპუბლიკის პროკურატურის თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი

იანვო შალვას ძე მიქაუტაძე — ამბროლაურის რაიონის პროკურორი

ნინო ვასილის ასული მირზიაშვილი — რესპუბლიკის პროკურორის თანამემწე ოპერატიული აღრიცხვასა და სტატისტიკაზე

მიხეილ იოსების ძე მირზოევი — რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი

შოთა მალაქიას ძე მიროტაძე — ქ. ჭიათურის პროკურორი

სოლომონ სერგოს ძე ნანიტაშვილი — ქ. თბილისის პროკურორის თანამემწე

კოკი თეოფანეს ძე ნარმანია — ქ. ზუგდიდის პროკურორი

რომან მალხაზის ძე პაჩკორია — რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებულ და საერთო ნაწილის უფროსი

გივი შალვას ძე უორულოაძე — სიღნაღის რაიონის პროკურორი

ვახტანგ აპოლონის ძე რაზმაძე — რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსის მოადგილე

ციცინო მიხეილის ასული სიმონიშვილი — პერსონალური პენსიონერი. რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების ყოფილი პროკურორი

ნორა ალექსანდრეს ასული ფიფია — აფხაზეთის ასსრ პროკურორის თანაშემწე კადრების დარგში

ვასილ ალექსანდრეს ძე ფოცხვერია — ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების უფროსი

თამარ ბათლომეს ასული ფოცხვერია — რესპუბლიკის პროკურატურის არასრულწლოვანთა საქმეების განყოფილების უფროსი

დანიელ ვასილის ძე ფოჩიანი — ქ. თბილისის პროკურორის უფროსი თანაშემწე საერთო ზედამხედველობის ხაზით

ნიკოლოზ მიხეილის ძე ქვაჩახია — აფხაზეთის ასსრ პროკურორის მოადგილე

შოთა მიხეილის ძე ქველიაშვილი — რესპუბლიკის პროკურატურის პარტიული კომიტეტის მდივანი

მიხეილ ზაქარაის ძე ქურდაძე — რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების უფროსი

რევაზ ვიქტორის ძე ყიფიანი — რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე შუშანაშვილი — რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეების განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი

იორამ გაბრიელის ძე ჩადუნელი — რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების პროკურორი

კაპიტონ ბადრის ძე ჩაკაბერია — რესპუბლიკის პროკურატურის სამეურნეო-საფინანსო განყოფილების უფროსი

შოთა ბეგოს ძე ქანტურია — რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი

თინათინ სილოვანის ასული ხვედელიძე — აჭარის ასსრ პროკურორის თანაშემწე სასამართლოებში სამოქალაქო სამართლის საქმეების განხილვაზე ზედამხედველობის ხაზით

ილია თევდორეს ძე ხიონიდი — რესპუბლიკის პროკურორის უფროსი თანაშემწე აღსრულების კონტროლის დარგში

პოლიექტორ ათანასეს ძე ხოფერია — ქ. თბილისის პროკურორის თანაშემწე სასამართლოებში სამოქალაქო საქმეების განხილვაზე ზედამხედველობის ხაზით.

(გაგრძელება იქნება)

ინფორმაცია

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი, რომელმაც პირველ საკითხად მოიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის **თ. შავგულიძის** მოხსენება — „არასრულწლოვან დამნაშავეთა საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 3 ივლისის დადგენილების და ამავე საკითხზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1968 წლის 13 დეკემბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე.

პლენუმმა განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის **გ. იოსავას** მოხსენება — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1971 წლის 19 ოქტომბრის დადგენილების — „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების სასამართლო პრაქტიკაში გამოყენების შესახებ“ შესრულების მიმდინარეობაზე.

მოხსენებათა გამო კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ პროკურორი **ა. ტაკიძე**,

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფ. **შ. ჩხარტიშვილი**, იუსტიციის მინისტრის მოადგილე **გ. ცქიტიშვილი**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე **გ. ვაბუნია**, უმაღლესი სასამართლოს წევრები: **ი. სუნბათაშვილი**, **ნ. ხუციშვილი**, **ვ. ლუკოვკინი**, **ა. ლულუნიშვილი**.

პლენუმმა განიხილა კონკრეტულ საქმეებზე შემოტანილი სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეები.

დასასრულს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ს. ქაჯიამ** შეაჯამა პლენუმის მუშაობის შედეგები, მიღებული იქნა სათანადო დადგენილებაში.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგე **პ. ბერძენიშვილი**, საქართველოს კპ ცკ-ის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორები **გ. ბორჩხიძე**, **ვ. აბულაძე**, საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურორი **ა. ტაკიძე**, იუსტიციის მინისტრი **ვ. მაისურაძე**.

დედაქალაქის ახალგაზრდობის შეხვედრა პროკურატურის მუშაკებთან

მიმდინარე წლის 24 მაისს ძერჯინის სახელობის კულტურის სახლში მოეწყო დედაქალაქის ახალგაზრდობის შეხვედრა საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკებთან, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა პროკურატურის 50-ე წლისთავს.

მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკის პროკურორი **ა. ტაკიძე**.

სიტყვები წარმოთქვეს ქ. თბილისის კომკავშირის აქტივისტებმა.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის მოწინავე კომკავშირე-

ლებს გადაეცათ სახელმწიფო დაწესებულებათა რესპუბლიკური პროფკავშირის და რესპუბლიკის პროკურორის სიგელები, მაჯის საათები.

კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა თავის მხრივ სიგელებით დააჯილდოვა საქართველოს სსრ პროკურატურის ახალგაზრდა ოპერატიული მუშაკები.

რესპუბლიკის პროკურატურამ სიგელით დააჯილდოვა აგრეთვე სპექტაკლ „ხიდი“ ქალაქის პროკურორის თანამემწის როლის შემსრულებელი იზა გიგოშვილი.

საქართველო კომუნისტური

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო სამართლის კათედრამ ჩაატარა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

მოხსენება თემაზე — სკკ XXIV ყრილობა და საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის საკითხები — გააკეთა პროფ. გ. ინწკირველმა.

სკკ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში, — აღნიშნა მომხსენებელმა, — სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებთან ერთად ასახულია კომუნისტური პარტიის დიდი ყურადღება სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცების, სოციალისტური დემოკრატიზმის განვითარებისა და ჩვენი საზოგადოების მთელი პოლიტიკური ორგანიზაციის სრულყოფის საკითხებისადმი.

თანამედროვე პერიოდში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია შეიცავს საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს თავისი ორგანოების მთელი სისტემით აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მშრომელთა სხვადასხვა საზოგადოებას და კავშირს, რომლებიც პოლიტიკურ ურთიერთობაში მონაწილეობენ და პოლიტიკური ხასიათის ამოცანების გადაწყვეტას ემსახურებიან.

კომუნისტური პარტია საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის სრულყოფის ამოცანებს უშუალოდ აკავშირებს სოციალისტური დემოკრატიზმის განვითარებას.

სსრ კავშირის შექმნა — ლენინური პოლიტიკის გამარჯვება — კონფერენციაზე ამ მოხსენებით გამოვიდა პროფ. ვრ. ერემოვი.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირი შეიქმნა მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ნებაყოფლობისა და თანაწორუფლებიანობის საფუძველზე. საკავშირო სახელმწიფოს ჩამოყალიბებით მსოფლიოს მშრომელთა თვალწინ სანიმუშოდ გადაიჭრა ეროვნული საკითხი. ეს არის ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელება. ეროვნული საკითხი პროლეტარული

რედკოლეგიის საერთო რესპუბლიკების ნაწილია. საბჭოთა რუსეთსა და სხვა სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის თანამშრომლობის ფორმები ერთბაშად არ გამოჩნაშულა.


სსრ კავშირი — ეროვნებათა თანამშრომლობის უმაღლესი ფორმაა. მის ფარგლებში ისტორიულად ხანმოკლე პერიოდში გადაიჭრა ხალხთა მეგობრობისა და მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის პრობლემა. ამის შედეგია ჩვენს ქვეყანაში მეურნეობისა და კულტურის აღმავლობა, სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენება.

პროფ. ვ. ფარქოსაძე, თავის მოხსენებაში — სკკ როლი საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნასა და განმტკიცებაში, ვრცლად შეჩერდა იმ ძირეულ სოციალ-ეკონომიურ გარდაქმნებში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით დაიწყო.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კაცობრიობის ისტორიაში არც ერთ მრავალეროვანი ქვეყნის არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც ხელისუფლების სათავეში იდგა, არ ჰქონდა ისეთი სწორი და თეორიულად ყოველმხრივ დამუშავებული პროგრამა და პოლიტიკურ ეროვნული საკითხის გადასაწყვეტად, როგორც ეს კომუნისტურ პარტიას ჰქონდა და აქვს.

ზ. ჯინჯოლავა თავის მოხსენებაში „მოკავშირე რესპუბლიკის უფლებრივი მეგობრობა“ — შეეხა ახალი ტიპის ფედერაციის — საბჭოთა ფედერაციის თეორიის შექმნას და დამუშავებას. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სუვერენული სახელმწიფოთა არა მარტო სსრ კავშირი მთლიანობაში, არამედ მასში შემავალი თითოეული მოკავშირე რესპუბლიკა.

მოკავშირე რესპუბლიკის უფლებრივი მდგომარეობის გამოხატულებას და მისი სუვერენული უფლების გარანტიას წარმოადგენს ის, რომ თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკას გააჩნია თავისი კონსტიტუცია — ძირითადი კანონი, რომელსაც თვითვე ამტკიცებს და ახორციელებს კონტროლს მის შესრულებაზე.



ახალგაზრდა მუხნიერები მსჯელობენ

გაიმართა ახალგაზრდა ეკონომისტთა, სოციალოგთა და იურისტთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა საქართველოს კომკავშირის ორმოცდაათი წლისთავს.

კონფერენციის მოწყობის ინიციატორები იყვნენ საქართველოს ალკც ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი.

მისმა მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, სსრ კავშირის მშენებლობის ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის ეკონომიკა-ორგანიზაციის კათედრის, საქართველოს სსრ პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიკის კათედრის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის ახალგაზრდა ეკონომისტების, სოციალოგებისა და იურისტების მოხსენებანი პოლიტეკონომიის, სოციალოგიისა და იურიდიული მეცნიერების აქტუალურ საკითხებზე.

სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთზემოქმედების ეკონომიურ ასპექტზე ილაპარაკა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა **ბ. ფხალაძემ**: მას შემდეგ, რაც სამართლებრივი ნორმა იწყებს მოქმედებას, ის დამოუკიდებელი ხდება იმ სახელმწიფოებრივი აქტისაგან, რომელიც დასრულდა მისი გამოცემით. ამ მხრივ სამართალი იძენს შეფარდებით დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან და უკუმოქმედებს მასზე. სამართლებრივი ნორმების მეშვეობით იქმნება სახელმწიფო-მეურნეობრივ ურთიერთობათა რაციონალური მოწესრიგების შესაძლებლობა, რაც ნიშნავს ამ ურთიერთობათა განხორციელების ეფექტური ფორმების შერჩევასა და სხვადასხვა სახელმწიფო-მეურნეობრივ ორგანოთა კომპეტენციების ზუსტ რეგლამენტირებას, თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის დადგენას, ხელისუფლებების ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგო გარანტიების სისტემის ჩამოყალიბებას. ამდენად, სამართალი წარმოადგენს სახელმწიფო-მეურნეობრივ ურთიერთობათა ორგანიზაციის იმანენტურ ფორმას.

საინტერესო იყო იურიდიულ მეცნიერებათა

კანდიდატის **ი. ფუტყარაძის** მოხსენება — „საქართველოს სსრ პროკურატურის ისტორიისათვის“: პროკურატურა საქართველოში, იმდროინდელი საბჭოთა სახელმწიფო-სამართლებრივი მშენებლობის პრაქტიკის შესაბამისად, რესპუბლიკური ორგანოს სახით ჩამოყალიბდა. ასეთი მდგომარეობა სავსებით ბუნებრივი იყო დამოუკიდებელი სოციალისტური რესპუბლიკის არსებობის პირობებში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურა შეიქმნა რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარიატის სისტემაში. პროკურატურის სათავეში რესპუბლიკის პროკურორის სახით იდგა იუსტიციის სახალხო კომისარი, მას უშუალოდ ემორჩილებოდა საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის პროკურატურის განყოფილება. საქართველოს სსრ პროკურორი თანამდებობით შედიოდა რესპუბლიკის ცაკისა და სახკომსაბჭოს შემადგენლობაში.

კანონიერების ზედამხედველობის ორგანოები რესპუბლიკებში იუსტიციის სახალხო კომისარიატებს საბჭოთა კავშირის პროკურატურის შექმნისთანავე არ გამოცალკევებია. მაგრამ პროკურატურის ორგანოების თავისებური ორმაგი დაქვემდებარებულობა შედარებით მალე დასრულდა. საქართველოს ცაკისა და სახკომსაბჭოს 1936 წლის 9 აგვისტოს დადგენილებით პროკურატურა ორგანიზაციულად საბოლოოდ გამოეყო იუსტიციის სახალხო კომისარიატს. იგი საკამოძიებო აპარატში ერთად უშუალოდ სსრ კავშირის პროკურორს დაემორჩილა. ამიერიდან პროკურატურა თავის ფუნქციებს რესპუბლიკური ორგანოებისაგან დამოუკიდებლად ახორციელებს.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის **ლ. სურგულაძის** მოხსენება — „საქართველოს სსრ 1921 წლის სისხლის სამართლის სახელმძღვანელო დებულებები“. მან აღნიშნა: რსფსრ ანალოგიური ხასიათის საკანონმდებლო აქტმა — 1919 წლის „სისხლის სამართლის სახელმძღვანელო საწყისებმა“ — დიდი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს 1921 წლის „სახელმძღვანელო დებულებებზე“, მაგრამ მთელი რიგი საკითხის მიმართ „სახელმძღვანელო დებულებებმა“ დამოუკიდებელი პოზიცია დაიკავა. ეს გარემოება შესაძლებლობას იძლევა არ მივიჩნიოთ „დებულებები“ რსფსრ-ს „სახელმძღვანელო საწყისების“ უცვლელ, ქართულ ვარიანტად.

საქართველოს „სახელმძღვანელო დებულებებმა“ თავისებურად გადაჭრა კანონის სივრ-

ცემი მოქმედების, დაუმთავრებელი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის საკითხები.

საქართველოს „სახელმძღვანელო დებულებები“, შერაცხადობის საკითხთან დაკავშირებით, რსფსრ-ის „სახელმძღვანელო საწყისებისაგან განსხვავებით ზოგიერთი დამატებითი მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმა იყო შეტანილი (მე-15, მე-16, მე-17 მუხლები). ამ მუხლებში განისაზღვრა შეუარაღებლობის დადგენის სამართლებრივი ფორმები და საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩამდენ შეუარაცხ პირთა მიმართ გამოსაყენებელ ღონისძიებათა სისტემა.

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა საქართველოს „სახელმძღვანელო დებულებების“ მიხედვით განისაზღვრებოდა როგორც დამნაშავეის, ისე მის მიერ ჩადენილი ქმედობის საზოგადოებრივად საშიშროებათა და თითოეული პირის დანაშაულში მონაწილეობის ხარისხით (24-ე მუხლი).

რსფსრ-ის „სახელმძღვანელო საწყისები“ ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობას მხოლოდ დამნაშავესა და მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხით განსაზღვრავენ (21-ე მუხლი).

უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის **ო. გამყარელიძის** მოხსენების თემა იყო „თანამონაწილეობის აქცესორული ბუნება“.

საბჭოური სისხლის სამართლის ლიტერატურაში უკანასკნელ დრომდე საყოველთაო აღიარებით სარგებლობდა თანამონაწილეთა ე. წ. „დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორია“, აღნიშნა მომხსენებელმა, — ხოლო აქცესორიზმის პრინციპი უარყოფილი იყო. თეორეტიკოსთა დიდი უმრავლესობა ამჟამად უარყოფს აქცესორულ თეორიას, „როგორც ბურჟუაზიულს“ და სრულიად შეუთავსებელს საბჭოური სისხლის სამართლის ძირითად პრინციპებთან. საბჭოთა მეცნიერებიდან მ. კოვალიოვი პირველი იყო, რომელიც წინ აღუდგა ვაბატონებულ თვლსაზრისს და გამოსთქვა მოსაზრება, რომ მოქმედი სისხლის სამართალი თანამონაწილეობის საკითხში აქცესორული თეორიის პოზიციაზე დგას.

თანამონაწილეთა თავისი ბუნებით აქცესორულია. სიტყვა „თანამონაწილეთა“ პირდაპირ მიგვიითებებს იმაზე, რომ პირი დამოუკიდებლად კი არ მოქმედებს, არამედ მოქმედებს სხვის მოქმედებაში. ამიტომ თანამონაწილის მოქმედების კვალიფიკაცია დამოუკიდებელი ამსრულებლის მოქმედების კვალიფიკაციაზე წამკეზების ან დამხმარის მოქმედება დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს მაშინ, როცა უშუ-

ალო ამსრულებელს არ ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შერაცხვალუნარობის, მცირეწლოვანების ან სხვა საპატიო გარემოების გამო. ასეთი პირი ჩაითვლება დანაშაულის შუალობით ამსრულებლად.

რაკი თანამონაწილეთა თავისი ბუნებით აქცესორულია, ამიტომ დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები (მომზადება და მცდელობა თანამონაწილეობის დროს, დანაშაულის დამთავრება დროსა და სივრცეში და სხვ.) თანამონაწილეთა მიმართაც ისე უნდა გადაწყდეს, როგორც ამსრულებლის მიმართ. აქცესორიზმის პრინციპი არ ეწინააღმდეგება პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპს. ამიტომ თანამონაწილის დასჯადობა არ არის დამოკიდებული ამსრულებლის დასჯადობაზე.

ასპირანტმა **გ. კობრიძემ** ისაუბრა მეურნეობრივ ხელშეკრულებაზე თანამედროვე პირობებში: მეურნეობრივი ხელშეკრულების მნიშვნელობა ძირითადად განისაზღვრება იმით, რომ იგი ხელს უწყობს ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვას, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებას, სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას. მეურნეობრივი ხელშეკრულება უზრუნველყოფს გეგმიური დავალებების კონკრეტიზირებასა და დეტალიზირებას, ავლენს და ასწორებს დაგეგმვის შეცდომებს.

სამეურნეო ხელშეკრულება გეგმიურია. ხელშეკრულება, რომელიც გეგმას ეწინააღმდეგება, ბათილია. სწორედ გეგმისა და ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშობა სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის ვალდებულებათა უღიდავი უმრავლესობა. მათი მეოხებით ხდება ვალდებულებების გაფორმება და განმტკიცება, შესრულების კონტროლი და ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება საგანგებო დავალებების შეუსრულებლობისათვის.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის **მ. უგრეხელიძის** მოხსენება — „ვალწინააღმდეგობა“ როგორც გაუფრთხილებლობითი ბრალის ნიშანი“. მან თქვა: სუბიექტური მხარის მიხედვით სისხლის სამართალში ერთმანეთისაგან განასხვავე-



ბენ ვანზრახ და გაუფრთხილებლობით დანაშაულს. ორივე ხასიათდება დანაშაულის ცნების ისეთი საერთო ნიშნებით, როგორცია საზოგადოებრივი საშიშროება, მართლწინააღმდეგობა, ბრალეულობა და დასჯადობა. მაგრამ გაუფრთხილებლობით დანაშაულს ზოგიერთი სპეციფიკური ნიშანიც გააჩნია. ერთ-ერთი ასეთი ნიშანია ვალწინააღმდეგობა ანუ წინდახედულების ნორმასთან სუბიექტის ფსიქიკური მდგომარეობის შეუსაბამობა.

მოქალაქეთა ყოფაცხოვრებითი და პროფესიული საქმიანობის ყველა სფეროში დამკვიდრებულია წინდახედულებისა და სიფრთხილის ნორმები, რომლებიც მართლწესრიგით არიან სანქციონირებული უმნიშვნელოვანეს სოციალურ ღირებულებათა უშიშროების უზრუნველსაყოფად. ასეთი ნორმები განსაზღვრავენ შესაბამის სფეროში უსაფრთხო ქცევის სავალდებულო ფარგლებს, რომელთა დარღვევა მართლწესრიგის მოთხოვნათა შეუსრულებლობას ნიშნავს. ამ თვალსაზრისით ვალწინააღმდეგობა გაუფრთხილებლობითი დელიქტის მართლწინააღმდეგობას აფუძნებს.

გაუფრთხილებლობა, ისევე როგორც ბრალი საზოგადოდ, შეიცავს შეფასებით (ნორმატიულ) მომენტს — ამა თუ იმ საზოგადოებრივი ღირებულებისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულების გასაკიცხობას. შეფასება გულისხმობს შესაფასებელი საგნის გარკვეულ საზომთან შედარებას ანუ მსჯელობას ობიექტური მასშტაბის მიხედვით. მაშასადამე, გაუფრთხილებლობის დასაბუთების დროსაც ობიექტური მასშტაბი უნდა იყოს პირის ფსიქიკური მდგომარეობის გასაკიცხობის საზომი. წინდახედულების სპეციალური თუ საყოველთაოდ სავალდებულო ნორმა სწორედ ის ობიექტური მასშტაბია, რომლისადმი პირის ფსიქიკური მდგომა-

რეობის შეუსაბამობა მისი გასაკიცხობის ელემენტს შეადგენს. ამგვარად, ვალწინააღმდეგობა გაუფრთხილებლობითი ბრალის დაფუძნებაშიც მონაწილეობს და წარმოვედგება როგორც მართლწინააღმდეგობისა და ბრალის დამაკავშირებელი რთული წარმოქმნანი.

ვალწინააღმდეგობის ელემენტი მთლიანად ვერ ამოსწურავს გაუფრთხილებლობით ბრალს, იგი მის ნორმატიულ ნიშანს ქმნის მხოლოდ. ინდივიდის განსაკუთრებული ფსიქო-ფიზიკური მდგომარეობა კონკრეტული ქცევის მომენტში ზოგჯერ გამოირიცხავს წინდახედულების ნორმის შესაბამისი ფსიქიკური აქტივობის შესაძლებლობას. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ვეღარ დასაბუთდება მორალური და იურიდიული ბრალი. ამიტომ ვალწინააღმდეგობა და წინდახედულების ნორმის შესაბამისი ფსიქიკური აქტივობის შესაძლებლობა უნდა განვიხილოთ როგორც გაუფრთხილებლობითი ბრალის აუცილებელი და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ორი ტოლფასოვანი ელემენტი. აქედან პირველი ობიექტურ-პერსონალური ბუნების მოვლენაა, მეორე კი სუბიექტურ-პერსონალური ხასიათისა.

ვალწინააღმდეგობის აღიარება გაუფრთხილებლობითი ბრალის ნიშნად შესაბამის ცვლილებებს იწვევს დანაშაულის ელემენტთა ტრადიციულ კლასიფიკაციაში. სახელდობრ, ძალას კარგავს დებულება, რომლის თანახმად ბრალი წმინდა სუბიექტური ელემენტებით განისაზღვრება, მართლწინააღმდეგობა კი — წმინდა ობიექტური მომენტებით. როგორც ირკვევა, არსებობს აგრეთვე დანაშაულის შერეული ელემენტები, რომლებიც ერთდროულად მონაწილეობენ ბრალისა და მართლწინააღმდეგობის დასაბუთებაში.

ლ. ისაბაძე

პაჭრობის ელგოპარობის გაუფოგუნესიხის

ა. წ. 31 მაისს „ცეკავშირის“ კლუბში გაიმართა საქართველოს სსრ იუსტიციის, შინაგან საქმეთა, ვაჭრობის სამინისტროების, საქართველოს სსრ პროკურატურის და გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ მუშაკების შეხვედრა ქ. თბილისის საეკრო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს პროპაგანდის სამმართველოს უფროსმა **შ. პაპიძემ**.

მოხსენებით — „ქ. თბილისში ვაჭრობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ — გამოვიდა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიის წევრი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსი **ნ. ბიბილეიშვილი**.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს

კოლეგიის წევრის, სოციალისტური საკუთრების მტაცებლობის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსის, მილიციის პოლკოვნიკის **გ. გვეტაძის** მოხსენების თემა იყო — „რესპუბლიკის საეკრო ორგანიზაციებში დანაშაულობრიობასთან ბრძოლის მდგომარეობისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ“.

შეხვედრაში, მონაწილეობდნენ და სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სსრ პროკურატურის, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

შეხვედრის მონაწილეებს უჩვენეს თემატური კინოფილმები.

ნეკროლოგი

ვ. ბ. კეკელია



ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი ვასილ ბეროს ძე კეკელია.

ვ. კეკელია დაიბადა 1902 წელს სენაკის მაზრის სოფ. ბანძაში, გლეხის ოჯახში. 1931 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტი.

ვ. კეკელია ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ჩაება შრომით საქმიანობაში. 1921-25 წლებში მუშაობდა ბანძის საშუალო სკოლის მასწავლებლად, 1925-27 წლებში ჯერ გეჯეთის, შემდეგ კი ნაგებეროვის არასრული საშუალო სკოლის გამგედ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ვ. კეკელიამ სწავლა განაგრძო ასპირანტურაში. 1932 წლიდან მუშაობდა სხვადასხვა ორგანიზაციებში ეკონომისტად, ხოლო 1935 წლიდან იგი საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრია.

37 წლის განმავლობაში ვ. კეკელია კეთილსინდისიერად ემსახურებოდა მართლმსაჯულების განხორციელებას. მისთვის არ არსებობდა დიდი და პატარა საქმე, ყველას სწავლობდა გულმოდგინებით, აღჭურვილი იყო პასუხისმგებლობით. პროფესიულ საქმიანობასთან ერთად იგი ეწეოდა ჟურნალისტურ მოღვაწეობას, აქვეყნებდა წერილებსა და სტატიებს ჟურნალ-გაზეთებში.

ვ. კეკელია იყო ახალგაზრდა თაობის აღმზრდელი, თავისი სამშობლოს პატრიოტი, შესანიშნავი მეგობარი და მოქალაქე, გულთბილი, ჰუმანური ადამიანი.

ვ. კეკელიას სსოვნა დაუვიწყარი იქნება მის მეგობართა გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ბ. 20/101



საქართველოს
საბჭოთაო სოციალისტური
რესპუბლიკის

560 50 333.

ИНДЕКС 76185.

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 4

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Министерства Юстиции Грузинской ССР